ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 ოქტომბერი შაბათი 2012 №255 (13 861) ფასი 80 თეთრი

## დღეს დინამო არენაზე მართლა მამაკაცური თამაშია

# ინტრიგა

## ჩემპიონის და ლიდერის დუელით შეიძლება ტორპედომ იხეიროს





ზაზა ზამთარაძე და დავით მუჯირი



დუშან უჰრინი და ბუბა ტუავაძე



**დინამო**

## დვალს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვს!

**ზესტაფონი**

## მენთეშაშვილი დისკვალიფიცირებულია!

საქართველოს ჩემპიონატის XI ტურის წინათქმა

2



## გურიაში პრობლემაა!

ფეხბურთელებს მეორე თვეა ხელფასი არ მიუღიათ!

4

1 ნოემბერსაც ითამაშებენ და... დაიშლებიან?

# MADE IN ITALY

## ნაპოლიც გასვრილია!

## ალეგრის მართლა ბოლო შანსი

6





## ჩაჯდება სილვიო?

ბერლუსკონის 4 წელი მიუსაჯეს

8

## კანავარომ იცოდა, რომ სამპდორიასთან უნდა წავეგოთ...



გუშინ ღამით სერია A-ს მეორეადგილოსან „ნაპოლის" შესახებ ორი ნეგატიური ინფორმაცია გავრცელდა: კლუბის ხელმძღვანელებს და ფეხბურთელებს მანიპულაციებში ედებათ ბრალი, უეფამ კი ნეაპოლელებს სოლიდური ჯარიმა დააკისრა.

საქმე ეხება 2009/2010 წლების სეზონის მატჩს, რომელშიც „ნაპოლიმ" გენუის „სამპდორიას" უმასპინძლა და 0:1 წააგო. 16 მაისს მოპოვებული ამ გამარჯვებით გენუელებმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს და როგორც ირკვევა, კლუბები შედეგზე წინასწარ მორიგდნენ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ინფორმაციით, „ნაპოლის" ამჟამინდელმა და ყოფილმა ფეხბურთელებმა **მატეო ჯანელომ, პაოლო კანავარომ, ჯანლუკა გრავამ და სილვიო ჯუსტიმ** გარიგების შესახებ იცოდნენ. გამოძიება ბარის პროკურატურის მიერ გავრცელებული ცნობების საფუძველზე დაიწყო. ჯანელო და ჯუსტი გარიგებაში სავარაუდოდ უშუალოდ მონაწილეობდნენ, კანავაროს და გრავას კი ეს ინფორმაცია ჰქონდათ, მაგრამ არ გაახმაურეს, რაც ასევე დანაშაულია.

ამასთან, უეფამ „ნაპოლი" ტიფოზების ცუდი საქციელის გამო 150 000 ევროთი დააჯარიმა და გარდა ამისა, ევროპალიგის მომდევნო საშინაო მატჩში (დნიპროსთან) „სან პაოლოზე" 13 სექტორი ცარიელი იქნება. ეს აიკ-თან მატჩის შედეგია, რომლის დროსაც ნეაპოლელებს ამ კლუბის ფანები შემოელახნათ.

**გოტფრიდ ლენცი**

## ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XI ტურის წინათქმა

27.10. გორი. თ. ბურჯანაძე. 15:00
**დილა-მერანი**
დისკვალიფიკაცია: არავინ

27.10. მცხეთა. მცხეთა პარკი. 15:00
**ვიტ ჯორჯია-კოლხეთი**
დისკვალიფიკაცია:
ვიტ ჯორჯია: ჯავაშვილი; კოლხეთი - არავინ

27.10. ოკაწმინდა. 15:00
**ჩიხურა-დინამო (ბთ)**
დისკვალიფიკაცია: არავინ

27.10. ბოლნისი. თ. სტეფანია. 15:00
**სიონი-ტორპედო**
დისკვალიფიკაცია: არავინ

27.10. თბილისი. დინამო არენა. 18:00
**დინამო (თბ)-ზესტაფონი**
დისკვალიფიკაცია:
დინამო: არავინ; ზესტაფონი - მენთეშაშვილი
LIVE. რეპორტაჟი I არხზე

27.10. განმუხური. 15:00
**ზუგდიდი-მეტალურგი**
დისკვალიფიკაცია:
ზუგდიდი: არავინ; მეტალურგი - ჯაფარიძე

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 10 | 7 | 2 | 1 | 29 | 7 | 23 | 4 | 4 | 0 | 0 | 20 | 4 | 12 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 3 | 11 |
| 2 | ტორპედო | 10 | 7 | 1 | 2 | 24 | 8 | 22 | 6 | 5 | 0 | 1 | 14 | 3 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 10 | 5 | 7 |
| 3 | დილა | 10 | 6 | 1 | 3 | 16 | 7 | 19 | 6 | 3 | 0 | 3 | 11 | 7 | 9 | 4 | 3 | 1 | 0 | 5 | 0 | 10 |
| 4 | ზესტაფონი | 10 | 5 | 2 | 3 | 11 | 6 | 17 | 6 | 2 | 2 | 2 | 4 | 3 | 8 | 4 | 3 | 0 | 1 | 7 | 3 | 9 |
| 5 | ჩიხურა | 10 | 5 | 2 | 3 | 12 | 11 | 17 | 3 | 2 | 1 | 0 | 3 | 1 | 7 | 7 | 3 | 1 | 3 | 9 | 10 | 10 |
| 6 | მეტალურგი | 10 | 5 | 0 | 5 | 7 | 12 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 4 | 8 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 3 | 4 | 6 |
| 7 | ზუგდიდი | 10 | 3 | 5 | 2 | 10 | 7 | 14 | 4 | 2 | 2 | 0 | 7 | 3 | 8 | 6 | 1 | 3 | 2 | 3 | 4 | 6 |
| 8 | მერანი | 10 | 4 | 0 | 6 | 6 | 18 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 4 | 6 | 9 | 5 | 1 | 0 | 4 | 2 | 12 | 3 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 10 | 3 | 2 | 5 | 8 | 14 | 11 | 4 | 0 | 1 | 3 | 3 | 7 | 1 | 6 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 | 10 |
| 10 | დინამო (ბთ) | 10 | 2 | 2 | 6 | 10 | 18 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 7 | 7 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 3 | 11 | 2 |
| 11 | სიონი | 10 | 1 | 4 | 5 | 9 | 18 | 7 | 5 | 0 | 4 | 1 | 3 | 5 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 6 | 13 | 3 |
| 12 | კოლხეთი | 10 | 0 | 3 | 7 | 4 | 20 | 3 | 6 | 0 | 2 | 4 | 2 | 10 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 2 | 10 | 1 |

# ეპიცენტრი დინამო არენაზე, ინტრიგა ექვსივე სტადიონზე


ჯაბა დვალი (ბურთით) დღეს ყოფილ გუნდს ვერ დაუპირისპირდება

დღევანდელი მატჩებით საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის პირველი წრე დასრულდება და პასუხს ბევრ შეკითხვაზე მივიღებთ. ყველაზე საინტერესო კი, ბუნებრივია, ის არის, შეიცვლება თუ არა ლიდერი. ამ შეკითხვაზე პასუხს "დინამოსა" და "ზესტაფონის" დაპირისპირება გაგვცემს.

ამ ორი კლუბის ურთიერთშეხვედრების ისტორია არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ მეტად საინტერესოა. 25 მატჩიდან 12 დედაქალაქელებმა მოიგეს, 7 - ფეროელებმა, ხოლო 6 ფრედ დასრულდა. ორივე მათგანს ბოლო წლებში აღმასვლებიც ჰქონდა და ჩავარდნებიც, თუმცა როგორიც არ უნდა ყოფილიყო "დინამოსა" და "ზესტაფონის" მდგომარეობა, მათი ბრძოლა ქართველ ქომაგებში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ამ წყვილში ფავორიტის ცნება ყოველთვის პირობითი იყო და ასეა ახლაც – რა თქმა უნდა, ლოგიკურია ის მოსაზრება, რომ ლიდერ "დინამოს" საშინაო მატჩში წარმატების მეტი შანსი აქვს, მაგრამ პროგნოზებს მაინც არ აქვს აზრი და ყველა შეკითხვას პასუხს "დინამო არენაზე" გასამართი მატჩი გასცემს.

"დინამოს" ჰყავს ექსზესტაფონელები, "ზესტაფონს" კი – ექსდინამოელები, რაც შეხვედრას დამატებით ინტრიგას სძენს. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ "ზესტაფონიდან" "დინამოში" გადასულ **ჯაბა დვალს** ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშის უფლება იანვრამდე არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასპინძელთა შეტევას დიდი ძალა მოაკლდება. სტუმრებს კი ამ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო გამოცდილი **ზურაბ მენთეშაშვილი** დააკლდებათ.

"ზესტაფონს" შანსი აქვს, გამარჯვებისთვის იბრძოლოს და ამ შემთხვევაში საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბთან ჩამორჩენას სამ ქულამდე დაიყვანს. "დინამოს" ინტერესებშიც მხოლოდ მოგება შედის – სხვაგვარად, დიდი შანსია, **დუშან უჰრინის** გუნდმა ლიდერობა დაკარგოს. მოკლედ, სატურნირო მდგომარეობა მასპინძელსაც და სტუმარსაც შეტევაში აქტიური ქმედებისკენ უბიძგებს, რაც ლაზათიან სანახაობას გვპირდება.

კარგია, რომ სტადიონზე ვერმისულ ქომაგს ძალიან მნიშვნელოვანი დაპირისპირების ტელეეთერით ხილვა შეუძლია – შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს, ტრადიციულად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი გადასცემს.

რასაკვირველია, "დინამო არენაზე" გასამართ მატჩს თავისი მნიშვნელობით სხვა შეხვედრები ვერ შეედრება, მაგრამ ტურის თითოეულ თამაშს სატურნირო ცხრილში სერიოზული კორექტივების შეტანა შეუძლია და, შესაბამისად, მათ შედეგებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

მეორეადგილოსანი "ტორპედო" ბოლნისში ჩადის და იქ გამარჯვებისა და "დინამოს" ვერმოგების შემთხვევაში ერთპიროვნულად გალიდერდება. ასეც რომ არ მოხდეს, **გია გეგუჩაძის** გუნდს დაგეგმილი სამი ქულის მოპოვება ნებისმიერ შემთხვევაში მართებს. მორიგი დანაკარგი კი ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "სიონს" საქმეს კიდევ უფრო გაურთულებს.

"დილა", ჯერჯერობით, მესამეა, მაგრამ თუ ასეთი უდანაკარგო სვლა კიდევ გააგრძელა, კიდევ უფრო მაღლა ასვლის საფუძვლიანი პრეტენზიაც დარჩება. დღეს გორელებს ერთი შეხედვით, არცთუ რთულად დასაძლევი მეტოქე ჰყავთ, თუმცა, ვფიქრობთ, „მერანის" დასამარცხებლადაც საკმაო ბრძოლა მოუწევთ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, გაგრძელდება თუ არა **გიორგი დარასელიას** შესანიშნავი მიღწევა. შეგახსენებთ, "დილამ" ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო და არ უნდა გაგვიკვირდეს, ეს მაჩვენებელი შვიდამდე თუ ავა.

საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია "ზუგდიდისა" და "მეტალურგის" ორთაბრძოლა. ზუგდიდელები რუსთაველებს ერთი ქულით ჩამორჩებიან და ექვსეულის ზონაში შესასვლელად გამარჯვება სჭირდებათ. თავის მხრივ, ქულათა მარაგის შევსება "მეტალურგსაც" არანაკლებ ესაჭიროება, რაც უშელავათო ბრძოლის გარანტიას გვაძლევს.

"ვიტ ჯორჯიამ" მიმდინარე ჩემპიონატში სამი მატჩი მოიგო და სამივე სტუმრად. დღეს ვეტერინარებს პირველი საშინაო გამარჯვების მოპოვების შესანიშნავი შანსი აქვთ, თუმცა ეს იოლი სულაც არ იქნება – აუტსაიდერ "კოლხეთს" გამარჯვებათა გრაფაში ჯერაც ნული უწერია და თუ აქაც ვერ ივარგა, უკანასკნელ პოზიციაზე კიდევ უფრო გაიმყარებს ადგილს. ასე რომ, არც მცხეთაში უნდა ველოდოთ მოსაწყენ სანახაობას.

იმავეს თქმა შეგვიძლია "ჩიხურასა" და ბათუმის "დინამოს" მატჩზეც, სადაც საჩხერელებს ექვსეულში ადგილის განმტკიცების, ბათუმელებს კი აუტსაიდერებთან დაშორების მოტივაცია ამოძრავებთ.

● დინამო-ზესტაფონი. მატჩის წინ

# შეტევისა და გამარჯვების მოლოდინში

**დღევანდელი ცენტრალური მატჩის წინ "ლელომ" ერთი და იმავე შეკითხვებით "დინამოსა" და "ზესტაფონის" გამოცდილ წევრებს, ლევან ხმალაძესა და შოთა ბაბუნაშვილს მიმართა. ორივე საბრძოლოდ არის განწყობილი და მაყურებელს კარგ სანახაობას ჰპირდება.**

**- როგორია განწყობა თქვენს გუნდში ამ მნიშვნელოვანი მატჩის წინ?**

**ლევან ხმალაძე:** პირველ ადგილზე ვართ და განწყობაც შესაბამისი გვაქვს. საკუთარ ძალებში სრულიად დარწმუნებულნი ვართ და გამარჯვების გვჯერა. ცუდია, რომ ჯაბა დვალი და კარლეს კოტო დაგვაკლდებიან, მაგრამ მოსაგებად მათ გარეშეც უნდა ვიბრძოლოთ.

**შოთა ბაბუნაშვილი:** "ზესტაფონისთვის" რიგითი შეხვედრები არ არსებობს, თუმცა, "დინამოსთან" დაპირისპირებას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ემოციები ახლავს. ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. თუ პირადად მე თამაშის საშუალება მომეცა, ჩემი გუნდის წარმატებისთვის ძალებს არ დავზოგავ.

**- რას გაიხსენებთ შაბათის მეტოქის წინააღმდეგ ჩატარებული ძველი მატჩებიდან?**

**ლევან ხმალაძე:** ყველაზე სასიამოვნოდ სუპერთასის მატჩი მახსენდება, სადაც "ზესტაფონის" კარში გამარჯვების გოლი გავიტანე.

**შოთა ბაბუნაშვილი:** ამ ორ გუნდს შორის ყოველთვის გამორჩეული ბრძოლები იმართება და მოხარული ვარ, "დინამოსა" და "ზესტაფონის" არაერთ ურთიერთშეხვედრაში რომ მითამაშია, თანაც, ორივე გუნდის შემადგენლობაში.

**- რის მიღწევა შეუძლია თქვენს გუნდს ამ სეზონში?**

**ლევან ხმალაძე:** ჩემპიონობისთვის ვიბრძვით და ტიტულის მოპოვების კარგი შანსი გვაქვს. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. "დინამოს" მატჩში საშუალოდ სამი გოლი გააქვს, თუმცა დღევანდელზე უფრო ხარისხიანი ფეხბურთის თამაშის ძალაც შესწევს.

**შოთა ბაბუნაშვილი:** მინიმუმ საუკეთესო სამეულში მოხვედრა და ევროთასების საგზურის მოპოვება შეგვიძლია. იმედი მაქვს, უფრო მეტისთვისაც ვიბრძოლებთ.

**- როგორ მატჩს ელით და რამ შეიძლება გადაწყვიტოს თამაშის ბედი?**

**ლევან ხმალაძე:** "დინამო" აუცილებლად შეუტევს და არა მგონია, "ზესტაფონმა" დაცვითი ტაქტიკა აირჩიოს. შესაბამისად, მაყურებელი კარგ სანახაობას იხილავს. ის გაიმარჯვებს, ვინც საკუთარ შანსს უკეთ გამოიყენებს.

**შოთა ბაბუნაშვილი:** ვფიქრობ, საგოლე მომენტები ორივე გუნდს მიეცემა, გააჩნია, ვინ როგორ ისარგებლებს ამ სიტუაციით. დარწმუნებული ვარ, მატჩი საკმაოდ სანახაობრივი გამოვა.

**- თქვენი პროგნოზი.**

**ლევან ხმალაძე:** მჯერა, რომ "დინამო" გაიმარჯვებს.

**შოთა ბაბუნაშვილი:** პროგნოზისგან თავს შევიკავებ, თუმცა ნამდვილად მაქვს "ზესტაფონის" გამარჯვების იმედი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

## I ლიგა

### დასავლეთი ზონა

X ტური

| | |
|---|---|
| ჩხერიმელა – მერცხალი | 0:6 |
| სამტრედია – კოლხეთი (ხ) | 2:0 |
| სამგურალი – ლიახვი | 2:2. |
| ადელი – ლოკომოტივი | 0:2 |
| ზოოვეტი – სპარტაკი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 9 | 7 | 1 | 1 | 22-4 | 22 |
| 2. ლოკომოტივი | 10 | 6 | 2 | 2 | 28-9 | 20 |
| 3. კოლხეთი (ხ) | 9 | 6 | 1 | 2 | 11-9 | 19 |
| 4. შუქურა | 9 | 5 | 1 | 3 | 14-7 | 16 |
| 5. სამტრედია | 9 | 5 | 1 | 3 | 11-7 | 16 |
| 6. სამგურალი | 9 | 4 | 3 | 2 | 16-12 | 15 |
| 7. მერცხალი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-11 | 9 |
| 8. ზოოვეტი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-14 | 9 |
| 9. ლიახვი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-24 | 7 |
| 10. ჩხერიმელა | 9 | 2 | 0 | 7 | 9-29 | 6 |
| 11. ადელი | 9 | 1 | 0 | 8 | 8-24 | 3 |

აქტუალური ინტერვიუ

# ლერი სულაბერიძე: რომან ფიფიას ამ პოზიციაზე ყოფნას არ ვურჩევ

**"დინამოს" თემას გაგრძელება ექნებაო, ვივარაუდეთ და ასეც მოხდა. ჩვენი რესპონდენტი ლერი სულაბერიძე გახლავთ, იმ "დინამოს" დირექტორატის წევრი, რომელიც ახლა კლუბის დაბრუნებას აპირებს "დინამო თბილისის" მეპატრონე რომან ფიფიასგან.**

**სულაბერიძე "დინამოს" შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც იყო იმ პერიოდში, როცა ამ ორგანიზაციას მერაბ ჟორდანია თავკაცობდა.**

**მაშ ასე, რას აპირებს კლუბის ყოფილი დირექტორატი და რა პოზიცია აქვს ჟორდანიას ერთ-ერთ მეგობარს "დინამო თბილისის" ამასწინდელი განცხადების თაობაზე...**

- 1992 წლიდან "დინამოს" დირექტორატის წევრი გახლდით, შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო ბოლო ექვსი თვე, სანამ "დინამოს" წაგვართმევდნენ, კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. გავეცანი "დინამო თბილისის" განცხადებას და მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი არასერიოზულია. ამ განცხადებით "დინამო თბილისის" პრეზიდენტი რომან ფიფია ფაქტობრივად იმას ამბობს, რომ "დინამო" კეთილსინდისიერად შეიძინა. ვიცი, რომ მას ამ კლუბის შეძენაში ფული არ გადაუხდია და თავი რომ მოაქვს იმით, ამდენ ფულს ვხარჯავ "დინამოშიო", მაგაზე გეტყვით, რომ ის თავის ჯიბიდან არ ხარჯავს ფულს, კარგად ვიცი, საიდან და რის შედეგად ფინანსდება "დინამო თბილისი".

**- იქნებ გვითხრათ, მაშინ რა წყაროდან ფინანსდება "დინამო თბილისი"?**

- ამჯერად ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. ფიფიას კი ამ პოზაში ყოფნას არ ვურჩევ. ფიფია არ მიმაჩნია "დინამოს" კეთილსინდისიერად შემძენად. როცა რაღაც ნივთს იღებს, მისი წარმომავლობა უნდა იკითხო. ფიფიამ ძალიან კარგად იცოდა "დინამოს" წარმომავლობა, იცოდა, რომ წართმეულს, ნაქურდალს, ნაყაჩაღარს იღებდა და ამის შემდეგ, როგორ უნდა იყოს ის "დინამოს" კეთილსინდისიერი შემძენი?! "დინამოს" გამო არაერთი ადამიანი გააუბედურეს, ციხეში ჩასვეს და ასეთ კლუბს რომ იღებ, ეს არის კეთილსინდისიერება?! გამიკვირდა "დინამო თბილსის" წარომადგენლის ლაშა დვალიშვილის სატელევიზიო განცხადებაც. განა მან არ იცის, რა ხდებოდა "დინამოს" გარშემო?!

**- რა იურიდიული პროცედურებით აპირებთ თქვენი ინტერესების დაცვას?**

- როცა „დინამო" 2001 წელს წაგვართვეს, გუნდს სახელი შეუცვალეს და "დინამო თბილისი" დაარქვეს. ეს იმის აღიარება იყო, რომ ახალი წარმონაქმნი არ იყო "თბილისის დინამოს" სამართალმემკვიდრე, 1981 წლის თასების თასი და სხვა ტიტულები ამ ახალ კლუბს, "დინამო თბილისს" არ ეკუთვნოდა. გარდა ამისა, რა გამოვიდა: 2000-01 წლების სეზონის პირველ ეტაპზე "თბილისის დინამომ" ითამაშა, ხოლო მეორე ეტაპზე სხვა გუნდმა, "დინამო თბილისმა".

**- ანუ ჯერ სამოქალაქო სასამართლოში არ აპირებთ ამ საქმის წარმოებას და სპორტული მიმართულებით შეეცდებით თქვენი ინტერესების დაცვას?**

- დიახ, სპორტული მხარე ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 1992 წლიდან 2001 წლამდე "დინამოს" დირექტორატის წევრებს ფული სახლიდან მიგვქონდა კლუბში.

**- თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ჟორდანიასდროინდელ "დინამოში" ფეხბურთელების ტრანსფერებიდან შემოსულ თანხებს კლუბის დირექტორატის წევრები ინაწილებდნენ...**

- ტრანსფერებიდან შემოსული თანხები ვერ ფარავდნენ კლუბის ხარჯებს და იძულებული ვიყავით ჩვენი ფული დაგვეხარჯა. არსებობს ამის მთელი დოკუმენტაცია, თუ რა შემოსავლები გვქონდა და რა ხელფასებს ვუხდიდით ფეხბურთელებს. "დინამოში" აფხაზეთიდან ლტოლვილი ფეხბურთელებიც თამაშობდნენ და თავიანთი ხელფასით რამდენიმე ოჯახს ინახავდნენ.

**- როგორ ფიქრობთ, ამ დავაზე რა აზრი აქვს ჩვენს საფეხბურთო სამყაროს?**

- ბატონ რომან ფიფიასგან მოვითხოვ, რომ ამ პოზაში ყოფნას თავი დაანებოს. ქართული საფეხბურთო სამყაროს ყველა წარმომადგენელს კი ვთხოვ, რომ საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს იმაზე, წართმეული იყო თუ არა თბილისის „დინამო".

**- საქმის სპორტული მხარე ახსენეთ. ამის თაობაზე უკვე თუ გქონდათ კონსულტაციები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან?**

- დიახ, ასეთი კონსულტაციები უკვე იყო. სამოქალაქო სასამართლოში ამ საქმის წარმოებას არ გავურბივართ, მაგრამ როცა ამდენი ფაქტორი არსებობს, ჯერ საფეხბურთო ოჯახმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე "დინამოს" სახელის დაბრუნებას ვითხოვთ. თუ კიდევ რამე გახდება საჭირო, მერე ამისდა მიხედვით ვიმოქმედებთ.

**- "დინამო თბილისის" განცხადებაში ნათქვამია იმაზეც, რომ ცოტა ხნის წინ მერაბ ჟორდანია სტუმრობდა "დინამოს" ბაზას და რომან ფიფიასთან მაშინდელ შეხვედრაში ეს თემა არ წამოჭრილა...**

- ეს დაახლოებით ორი თვის წინ იყო და მაშინ იმიტომ არ წამოჭრილა ეს თემა, რომ ზოგადად "დინამოსთვის" ზიანის მიყენება არ გვინდოდა, თუ რამე კარგი გაკეთდება "დინამოსთვის", ამას ჩვენ ყოველთვის მივესალმებით, მაგრამ "დინამო" ისე წაგვართვეს, რომ ადამიანების უბედურების ხარჯზე მოხდა და ამაზე ხელის მოთბობას არავის ვურჩევ.

ჩვენი თაობა ისეა აღზრდილი, რომ ცოცხალი ადამიანის ადგილზე სამუშაოდ არ მიდიოდნენ. ვინც სხვანაირად მოიქცეოდა, მასზე სულ ცოტა იმას ამბობდნენ, უნამუსოაო. ჩვენ ასეთ ოჯახებში გავიზარდეთ და ამიტომაც, წართმეულის დაპატრონებასთან კეთილსინდისერება არაფერ შუაშია.

**დავით თავართქილაძე**

*რედაქციისგან: ამ თემასთან დაკავშირებით „ლელო" სიამოვნებით დაუთმობს ადგილს „დინამო თბილსის" პრეზიდენტს ბატონ რომან ფიფიას.*



## საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის განცხადება

საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" მიმართ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კლუბის ამჟამინდელ და წინამორბედ მესაკუთრეებს შორის არავითარი სადავო საკითხი არ არსებობს და მათ შორის გარიგება მოხდა 2011 წელს კანონმდებლობის სრული დაცვით. რაც შეეხება განცხადებაში აღნიშნულ პერიოდს, მოგახსენებთ, რომ დღევანდელ მესაკუთრეს იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებთან არანაირი კავშირი არ გააჩნია და შესაბამისად გაუგებარია გამოთქმული პრეტენზიები და მოთხოვნები მის მიმართ. ასეთ შემთხვევაში ყველას აქვს კანონით მინიჭებული უფლება, მიმართოს სასამართლოს.

ს.კ „დინამო თბილისის" პრეზიდენტი რომან ფიფია გაკვირვებას გამოხატავს მერაბ ჟორდანიას მიერ გავრცელებული განცხადებით. მერაბ ჟორდანია ცოტა ხნის წინ სტუმრობდა „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზას და რომან ფიფიასთან მაშინდელ და შემდგომ შეხვედრებშიც მსგავსი თემა არ წამოჭრილა.

25.10.2012

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

## მოთელვა ანუ ნიადაგის მოსინჯვა

ბრძოლა "დინამოსთვის" ხელახლა დაიწყო. ჯერ კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** გაავრცელა განცხადება, მერე კი "დინამო თბილისმაც" უპასუხა ასევე განცხადებით.

ჯერჯერობით პრესკონფერენცია არც ერთ მხარეს არ გაუმართავს. ჯერი ალბათ "დინამოს" ყოფილ დამფუძნებლებზეა, რადგან სწორედ მათ გააჩნიათ პრეტენზია "დინამოს" დაბრუნებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ომი უკვე დაიწყო. ბრძოლის კულმინაცია ჯერაც შორია, რაც იყო, ეს უფრო ნიადაგის მოსინჯვას ჰგავდა.

ჟორდანია არ არის კონფლიქტური ადამიანი, მისთვის ღია დაპირისპირება ამა თუ იმ პიროვნებასთან, მოქმედების სტილი არ არის. საკუთარ განცხადებაში ის ამბობს, რომ *"სადავო საკითხებს, რა სირთულისაც არ უნდა იყოს ის, უნდა აგვარებდეს ისევ საფეხბურთო ოჯახი, კომპეტენტური ორგანოების დახმარებით"*.

განცხადების ბოლოს ჟორდანია იმასაც აღნიშნავს, რომ *"მოლაპარაკების არასასურველი შედეგით დასრულების შემთხვევაში მხარეები უფლებას იტოვებენ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკითხი სასამართლო დავის საგანი გახდეს"*.

საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" განცხადება არ ეკუთვნის კონკრეტულ ადამიანს, ის კლუბის განცხადებაა, სადაც ნათქვამია, რომ "დინამო თბილისის" პრეზიდენტი **რომან ფიფია** გაკვირვებას გამოხატავს ჟორდანიას განცხადებით, მანამდელ შეხვედრებში მსგავსი თემა არ განხილულაო.

არ ვიცი, მანამდე როდის შეხვდნენ ერთმანეთს ჟორდანია და ფიფია, მაგრამ თუ ეს შეხვედრა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ ცვლილებამდე მოხდა, რა თქმა უნდა, ჟორდანია და მისი მეგობრები ამ თემას ვერ წამოჭრიდნენ.

**კახა თარგამაძე, ბადრი პატარკაციშვილი,** შინაგან საქმეთა სამინისტრო – "დინამოს" უახლეს ისტორიაში ყველაფერი ეს ტივტივებდა და მოდი ნუ იტყვი, რომ "დინამოს თემა" პოლიტიკასთან კავშირში არ არის.



რომან ფიფია



მერაბ ჟორდანია

ჯერჯერობით უცნობია, რომან ფიფიამ "დინამო თბილისი" ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისგან სიმბოლურ თანხად შეისყიდა თუ გარიგება მილიონები დაუჯდა. ჟორდანიას ამ საკითხზე საჯარო განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ, ხოლო კერძო საუბრებში რას ამბობენ, მოდით ამას ამჯერად გვერდი ავუაროთ - ბრძოლა "დინამოსთვის" უკვე თითქმის ოფიციალურად არის დაწყებული და ასეთ დროს სიზუსტე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

თუ პატარკაციშვილის ოჯახმა 2011 წელს სიმბოლურ ფასად დაუთმო ფიფიას "დინამო თბილისი", ჩნდება კითხვა: რატომ? პატარკაციშვილს ხომ მილიონები აქვს დახარჯული "დინამოსთვის". ერთი საკითხიც: თუ "დინამო" გასაყიდად იყო გამოტანილი და ეს ღია ვაჭრობა იყო, მაშინ რატომ არ გამოთქვეს "დინამოს" დაბრუნების სურვილი კლუბის ჟორდანიასდროინდელმა დამფუძნებლებმა?

ამ ყველაფრის გამო ჩნდება ეჭვი: "დინამო თბილისი" არ ექვემდებარებოდა ღია ვაჭრობით გასხვისებას, "დინამო თბილისი" უნდა აელო იმას, ვინც სასურველი იქნებოდა მაშინდელი ხელისუფლებისთვის.

ისიც საკითხავია, ფიფიამ პატარკაციშვილის ოჯახისგან იყიდა "დინამო თბილისი" თუ კლუბი უკვე სხვის მფლობელობაში იყო.

მოკლედ, გვარიანად რთული საქმე უნდა იყოს. "დინამოს" ყოფილ დამფუძნებლებს თუ მართლა წაართვეს კლუბი, ფიფია ამ საქმეში უბრალოა. თუმცა, შეიძლება, რაიმე კითხვებიც გაჩნდეს...

საზოგადოების აზრი ამ დავასთან დაკავშირებით ალბათ ორად გაიყოფა. ჟორდანია ისეთი პერსონაა, რომ მასზე ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობს. ფიფიას ჯერ ისე კარგად არ იცნობს საზოგადოება და საფეხბურთო სამყარო, როგორც ჟორდანიას. რეპუტაციის საკითხი უმნიშვნელო ვერ იქნება. არ არის გამორიცხული, რომ პიარული ბრძოლაც დაიწყოს.

ჟორდანია, მისაღები იყო თუ არა ის საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლებისთვის, არ იყო ხელისუფლების მხრიდან თავსმოხვეული ფიგურა არც "დინამოში" და არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. თავის დროზე მან ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში **დავით პეტრიაშვილს** მოუგო, რომელსაც ზურგს ბადრი პატარკაციშვილი უმაგრებდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა **ედუარდ შევარდნაძის** პრეზიდენტობის დროს დაბრუნდა პატარკაციშვილი საქართველოში.

ფიფიას "დინამოს" მნიშვნელოვანი სპორტული წარმატებები ჯერ არ ჰქონია. 2011-12 წლების სეზონში გუნდმა სამი მწვრთნელი გამოიცვალა და ევროსაგზურის მიღმა დარჩა. სამაგიეროდ, ფიფიამ ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელა "დინამო თბილისში" და, რა თქმა უნდა, ეს მას აქტივში უნდა ჩავუწეროთ.

თუ დავა სასამართლომდე მივა, სასურველია, რომ ყველაფერი დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა სასამართლომ გადაწყვიტოს, როცა მოსამართლეს არავინ ეტყვის ზემოდან, საქმე ასე უნდა მოაკვარახჭინოო.

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ფრიდონ ინჯია:
# ლიგა გილაურმა ჩაგვიშალა

**მარტვილში ფეხბურთის ისტორია 1955 წლიდან იწყება, როდესაც "სალხინო" ჩამოყალიბდა. სხვებზე არაფერს გეტყვით - კლუბში აღიზარდა თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი მურთაზ ხურცილავა, მარტვილის საფეხბურთო სკოლა კი ხარისხიანად მუშაობდა.**

**დამოუკიდებლობის წლებში მარტვილელებს ფინანსურად გაუჭირდათ და პოზიციები დათმეს. გუნდის აღორძინება კლუბში ფრიდონ ინჯიასა და მისი შვილის, ილია ინჯიას მისვლის შემდეგ დაიწყო: მოაწესრიგეს ინფრასტრუქტურა, "სალხინოს" ბაზაზე დაფუძნებული "მერანი" კი 2011 წელს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადავიდა და ბრძოლისუნარიან გუნდად ჩამოყალიბდა.**

**მაგრამ კლუბის და საერთოდ, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ფრიდონ ინჯია რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს აყენებს:**

- ფეხბურთი საქართველოში ჩვენთან ყველაზე პოპულარული სახეობაა და სხვაზე მეტ ინტერესს აღძრავს. მაგრამ ადრე ფეხბურთი ჩვენში სიამაყის გრძნობას იწვევდა, ახლა კი თავდახრილები ვართ და სულ იმაზე ვოცნებობთ, როდის დავიბრუნებთ ძველ პოზიციებს. ახლა ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა და გულშემატკივრებში იმედი გაჩნდა, რომ ფეხბურთისადმი სახელმწიფოს პოზიცია შეიცვლება.

ჩემი აზრით, აუცილებელია, უცხოეთში მოთამაშეების ნაწილი მაინც დავაბრუნოთ. რუსეთ-უკრაინაში ფეხბურთელები 30 ათას დოლარს მაინც იღებენ და ამხელა ხელფასს საქართველოში არც ერთი კლუბი არ გასცემს, ეს პროცესი ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ადრე თუ გვიან ამაზე ზრუნვა უნდა დავიწყოთ.

**- ბოლო დროს ბევრი ადამიანი ფედერაციის რიგგარეშე ყრილობასა და ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს. თქვენ რას ფიქრობთ?**

- ზვიად სიჭინავას მიმართ მე ძალიან ბევრი პრეტენზია მაქვს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უნდა გადადგეს. კლუბების პრეზიდენტთა საბჭოს ბოლო სხდომაზე ვუთხარი კიდეც, თუ რაიმე დანაშაული არ გაქვთ, რიგგარეშე არჩევნები საჭირო არ არის-მეთქი.

**- საეჭვოა, ახალ გარემოში სიჭინავამ ძველებურად მართვა მოახერხოს.**

- მაინც არ უნდა გადადგეს. 12—თა საბჭოზე ამაზე სერიოზული ლაპარაკი იყო. უნდა დაფიქსირდეს პრეცედენტი და პრეზიდენტმა ვადის ბოლომდე მიაღწიოს. სულ სხვა საკითხია, სიჭინავა ვინ აირჩია და როგორ მოვიდა.

**- ვინ აირჩია?**

- იმ ხალხმა, ვისაც ფაქტობრივად, ფეხბურთის ფედერაციასთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. ეს ვითარება უნდა გაიფილტროს და საფეხბურთო საკითხები და საპრეზიდენტო არჩევნების ბედი პროფესიონალებმა გადაწყვიტონ.

აქვე ვიტყვი, რომ აუცილებლად მიმაჩნია პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენა.

**- მისი აღდგენა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ კლუბებმა უკან დაიხიეთ.**

- აგვისტოში ლიგა აღდგა, საქმე დარეგისტრირებამდე იყო მისული, მაგრამ ნიკა გილაურმა უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტებს დაუძახა და უთხრა, რომ ლიგა არ შეიქმნებოდა.



**- სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი ჭორი მეგონა.**

- ჭორი კი არ არის, მე ვარ ამის მოწმე. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ქართული ფეხბურთი იმ დაფინანსების ნაწილს ვეღარ მიიღებდა, რაც გათვალისწინებული იყო. კლუბებს ორჯერ დაუძახა, საქართველოში პროფლიგის იდეა ჩაკვდა და ამით ჩვენი ფეხბურთი უკან დახია. მაგრამ ეს საკითხი ხელახლა უნდა წამოიწიოს და ლიგამ უმაღლესი და პირველი ლიგების შეხვედრები ჩაატაროს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი: საქართველოში ეროვნული ჩემპიონატის გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე გადასვლა უკეთესი იქნება. რატომ? ჩვენთან სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ბევრი კლუბია, რომელთა ბიუჯეტები წლის დასაწყისში დგინდება და ამ სისტემაზე გადასვლა სწორედ კლუბების ინტერესებიდან გამომდინარე აჯობებს.

**- სხვათა შორის, გავრცელებული ხმების საწინააღმდეგოდ, არსებობს ინფორმაცია, რომ ახალი ხელისუფლება რაიონების კლუბების დაფინანსებას კი არ შეამცირებს, არამედ, გაზრდის.**

- მეც ამის იმედი მაქვს. ფეხბურთისა და კლუბების განვითარებისთვის 4-5 წელი ეს იქნება აუცილებელი. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, ფეხბურთის ფედერაციამ სახელმწიფოსგან დაახლოებით, 100 მილიონ ლარამდე მიიღო, მაგრამ აქედან ჩვენამდე თეთრიც არ მოსულა.

**- "მერანი" კერძო კლუბია და მთავრობა რატომ უნდა დაგეხმაროთ?**

- ქუთაისში მშვენიერი სტადიონი ააშენეს და "ვისოლს", ფაქტობრივად, უფასოდ გადასცეს. ახლა ბათუმში სურდათ სტადიონის აშენება და ერთ-ერთი პიროვნებისთვის ასევე სიმბოლურ ფასში დათმობა. ეს არის მისაბაძი მაგალითი. თუ კლუბით დაინტერესებულ პიროვნებას სტადიონს არ გადასცემენ, ფეხბურთში ფულის დაბანდება ბიზნესისთვის კვლავ უინტერესო იქნება.

მაგრამ მარტვილმა, სამტრედიამ, ხობმა, პატარა ქალაქებმა რა დააშავეს, აქ უფრო არის საჭირო მსგავსი ნაბიჯები. მომეცით სტადიონი და "მერანში" ჩემი საქმიანობა ბევრად ეფექტური და შედეგიანი იქნება.

კიდევ ერთი საკითხია სახელმწიფოს მიერ ეროვნული ჩემპიონატისთვის გამოყოფილი პრემიალური თანხები: ის უნდა განაწილდეს უმაღლესი ლიგის ყველა მონაწილეზე და არა მხოლოდ სამეულზე და თასის მფლობელზე. ასეთ შემთხვევაში, გუნდისთვის ერთი ადგილით დაწინაურებასაც ფასი დაედება. ახლა კი სულ ერთია, ჩემპიონატს მე-6 ადგილზე დაასრულებ თუ მე-9-ზე, მთავარია, რომ არ გავარდე.

სახელმწიფოს მიერ ფეხბურთისთვის გამოყოფილ თანხებზეც გეტყვით: ეს საკითხი ფედერაციამ კლუბებთან ერთად უნდა გადაწყვიტოს, თანხები მაქსიმალურად რაციონალურად და ეფექტურად რომ გამოვიყენოთ. ამაში სათაკილო არაფერია. აქამდე ყველაფერი ვიღაცის ხუშტურებით შენდებოდა. უმაღლეს ლიგაში გუნდი გვყავს და მარტვილის სტადიონის კეთილმოწყობით არ დაინტერესდნენ. ამ დროს, მშენებლობა ისეთ ქალაქში წამოიწყეს, რეგიონული ლიგის გუნდიც რომ არ ჰყავს. ბათუმის "დინამო" უმაღლეს ლიგაში ძლივს დაბრუნდა და სტადიონს ქობულეთში აშენებ?! სამწუხაროა, რომ ფეხბურთი პოლიტიზირებული გახდა.

სულაც არ მინდა იფიქროთ, რომ კლუბების სახელმწიფოს ზურგზე დასმის მომხრე ვარ. არც მინდა, ვიღაცამ ფული მაჩუქოს, მერე ყურებით დამიჭიროს და მითხრას, ხმა ჩემთვის სასურველ კანდიდატს მიეციო. ეს თანხა ჩემი ბრძოლითა და შრომით მოპოვებული უნდა იყოს და თავად უკეთ განვკარგავ – ჩემპიონატისთვის დაწესებულ პრემიებს ვგულისხმობ.

ზოგადად კი, სახელმწიფო დახმარებაზე უფრო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივებია. აუცილებელია, რომ შეიკრიბოს ჯგუფი, რომელიც კანონებს შეიმუშავებს და პარლამენტს მიმართავს. ფეხბურთს დღეს სჭირდება არა მხოლოდ თანადგომა, არამედ გონივრული კანონმდებლობა, რომელიც ამ სახეობაში ბიზნესის მოზიდვასა და დამკვიდრებას ხელს შეუწყობს.

**მერაბ მამულაშვილი**

U-19. ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი

# მარცხიანი დასაწყისი

16.10. ზაგრები. ლუჩკო

ხორვატია **2**

საქართველო **0**

1:0 კიში (55), 2:0 ივანჩიჩი (76).

| ხორვატია | საქართველო |
|---|---|
| მალენიცა | თებიძე |
| მაროტი | დვალი |
| პავიჩი | სანდოხაძე |
| ბრლეკი | გეგეჭკორი |
| შიმუნოვიჩი | სამუშია |
| პერიჩი | აბურჯანია |
| ი. მიშიჩი | მარკოზაშვილი |
| ჩანაჯია | უბილავა |
| კიში | ფანცულაია |
| პავიჩიჩი | ჰუფნაგელი |
| პ. მიშიჩი | ნ. კაჭარავა |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი |
| დ. ელიჩიჩი | კ. კაჭარავა |

**ხორვატია**

61. ი. მიშიჩი – **კოვაჩიჩი**
66. პ. მიშიჩი – **კოვაჩიჩი**
73. ჩანაჯია - **ივანჩიჩი**

სათადარიგოები: ფილიპოვიჩი, მიკანოვიჩი, ელეზი, პლუმი,

**საქართველო**

72. კაჭარავა - **მათიაშვილი**
72. მარკოზაშვილი – **ენდელაძე**
83. აბურჯანია - **ლობჟანიძე**

სათადარიგოები: მიქავა, კაკაბაძე, არაბული.

გაფრთხილებები: დვალი (31), პავიჩიჩი (45), ფანცულაია (60), ჩანაჯია (73), ენდელაძე (81).

გაძევება: ფანცულაია (64)

არბიტრი: ი. კრუჟლიაკი (სლოვაკეთი)

ხორვატიაში უეფას 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი საქართველოს ნაკრებმა წარუმატებლად დაიწყო: **კახა კაჭარავას** განვრთნილები სადებიუტო მატჩში მასპინძლებთან 0:2 დამარცხდნენ.

უეფას ვებგვერდის ტექსტური რეპორტაჟიდან უნდა დავასკვნათ, რომ საწყის წუთებში საქართველოს ნაკრები მეტოქეზე მწვავედ უტევდა: მე-9 წუთზე **გიორგი აბურჯანიას** დარტყმის შემდეგ, მასპინძლები მეკარე **მარკო მალენიცამ** გადაარჩინა. მე-16 წუთზე კი უკვე **გიორგი ფანცულაიამ** შეუტია და ხორვატთა მეკარემ ამჯერადაც საიმედოდ ითამაშა.

თუმცა, დაახლოებით მე-20 წუთიდან, ხორვატები გააქტიურდნენ და ახლა უკვე საქმეში ჩვენი მეკარე **გაბრიელ თებიძე** ჩაერთო: მან ჯერ **ანტონიო პავიჩის** სახიფათო შეტევა მოიგერია, შემდეგ - **პეტარ მიშიჩის** დარტყმა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ხორვატებმა უფრო მწვავედ შეუტიეს: განსაკუთრებით **ტომისლავ კიში** აქტიურობდა, მან 51-ე წუთზე სცადა ბედი და თებიძეს ვერ აჯობა.

თუმცა, მან ანგარიში მაინც გახსნა: **ბრუნო მაროტის** ჩაწოდების შემდეგ, ბალკანელთა თავდამსხმელმა ზუსტად დაარტყა – 1:0.

ანგარიშის გათანაბრება სცადა **თემურ მარკოზაშვილმა**, მაგრამ ხორვატთა მეკარე დამაჯერებლად თამაშობდა. საპასუხო შეტევაზე **იოსებ მიშიჩის** აქტიურობას ისევ საგოლე მომენტი მოჰყვა, მაგრამ თებიძეს ვერ აჯობა.

64-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო **გიორგი ფანცულაიამ**, მსაჯმა მოედანი დაატოვებინა და საქართველოს ნაკრები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მასპინძლები ჩვენს კართან რეალურ ხიფათს დიდხანს ვერ ქმნიდნენ. მაგრამ 76-ე წუთზე კაპიტან **იოზო შიმუნოვიჩის** გადაცემის შემდეგ შეცვლაზე შემოსულმა **კრუნო ივანჩიჩმა** საქართველოს კარი მეორედ აიღო და ჩვენს ისედაც მიზერულ იმედებს ცივი წყალი გადაასხა 2:0.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ისლანდიამ აზერბაიჯანი 2:1 დაამარცხა და ხორვატებთან ერთად 3 ქულით ჯგუფის ლიდერი გახდა. საქართველოს ნაკრები მომდევნო შეხვედრას 28 ოქტომბერს აზერბაიჯანთან ჩაატარებს.

**მერაბ მამულაშვილი**



კახა კაჭარავა

ამბები

## დასკვნითი დღეები საგურამოში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპისთვის დასკვნითი მოსამზადებელი შეკრება დაიწყო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა. გუნდის მთავარი მწვრთნელის, **გიორგი დევდარიანის** განკარგულებაში დღეისთვის 22 ფეხბურთელია:

მეკარეები: ოთარ გოშაძე, ბექა ქურდაძე (ორივე საბურთალო);

მცველები: ჯემალ ტაბიძე, გაგი მარგველაშვილი, ნიკა ველიაშვილი (ყველა - საბურთალო), ომარ პატარკაციშვილი (ლოკომოტივი, თბილისი), აკაკი შულაია (მერანი, მარტვილი), ზურაბ გელაშვილი (ტორპედო, ქუთაისი), თემურ ბაგრატიონი (მეტალურგი, რუსთავი);

ნახევარმცველები: გიორგი თევზაძე, გიორგი ხარაიშვილი, ირაკლი რუხაძე (ყველა - საბურთალო), თენგიზ გოროზია (დინამო, თბილისი), ცოტნე მესხი (ლოკომოტივი, თბილისი), ნიკა ლაშხია, ზურაბ მალანია (ორივე - ბაია, ზუგდიდი), დიმიტრი მარგველაშვილი (ტორპედო, ქუთაისი), გიორგი კილასონია (მეტალურგი, რუსთავი);

თავდამსხმელები: ილია კერძევაძე (ზესტაფონი), ლუკა ზარანდია (ლოკომოტივი, თბილისი), რომან ჭანტურია (ემპოლი, იტალია), ოთარ კობახიძე (დინამო, თბილისი).

ამ 22-დან ოფიციალური მატჩებისთვის სამწვრთნელო შტაბს 17 ფეხბურთელის შერჩევა მოუწევს.

გუნდმა ტესტ-მატჩი გამართა საჩხერის "ჩიხურას" ახალგაზრდულ გუნდთან და მინიმალური ანგარიშით, 0:1 დამარცხდა.

დღეიდან დევდარიანის გუნდი ვარჯიშებს საგურამოში ჩაატარებს. შევახსენებთ, თბილისური შესარჩევი ჯგუფი ჩვენს 17-წლამდელებს 30 ოქტომბერს ეწყებათ. საქართველოს ნაკრები ყველა მატჩს "მიხეილ მესხზე" ჩაატარებს და მათზე დასწრება თავისუფალი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## გურია იშლება?!.

გუშინწინ, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე „გურიამ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა — ქედის „ბეთლემი" 6:2 დაამარცხა და ლიდერობა შეინარჩუნა. მიმდინარე სეზონში გურულები ელიტლიგაში დაწინაურების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტები არიან და აქაურ ქომაგს იმედი აქვს, გასული სეზონის მინურულს გაშვებულ ურეალურეს შანსს წლევანდელი წარმატებით გამოასწორებენ.

სამწუხაროა, რომ ასე წარმატებულად მოასპარეზე კლუბი დაშლის პირასაა — ფეხბურთელებს უკვე მეორე თვეა ხელფასები არ მიუღიათ და აქამდე გუნდის ხელმძღვანელობის თხოვნით ითამაშეს. როგორც გავარკვიეთ, ასე იქნება 1 ნოემბერსაც, როცა ფეხბურთელები ისევ გამოვლენ მოედანზე, რის შემდეგაც თუ პრობლემა არ მოგვარდა, „გურია" დაშლის დიდი საფრთხის წინაშე დგება.

არადა, წინა ხელისუფლების პირობებში ადგილობრივი მმართველობა მხარში ედგა კლუბს, დღეს უკვე უმრავლესობაში მოსული „ქართული ოცნების" ლიდერი **ბიძინა ივანიშვილი** ლანჩხუთელებს „გურიის" მხარდაჭერას ლიად დაჰპირდა, რაიონის მაჟორიტარი გახდა კლუბის ლეგენდარული კაპიტანი **თემურ ჩხაიძე...** ყოველივე იმის საფუძველს გვაძლევს, რომ „გურიას" უპატრონოდ არავინ მიატოვებს. თუმცა დროც არ ითმენს და პრობლემა სასწრაფოდ თუ არ მოგვარდა და გუნდი დაიშალა, მერე კიდევ უფრო გაძნელდება მიზნისთვის ბრძოლა და ყველაფრის თავიდან დაწყება გახდება საჭირო.

**მათე გურული**

ლანჩხუთიდან

ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტურის წინ

# ფავორიტები სტემფორდ ბრიჯზე




ელსის ორი კაპიტანი ჯონ ტერი და ვიცე-კაპიტანი ფრენკ ლემპარდი დააკლდება

### დღეს

**ასტონ ვილა-ნორვიჩი 15:45**

**ტრავმა:** კლარკი, ბეიკერი, დანი, გარდნერი, პეტროვი - კეინი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 | +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 38 თამაში: +15=12-11 (57-53)

**არსენალი-ქუინზ პარკი 18:00**

**ტრავმა:** გიბსი, კოშელნი, უოლკოტი, შჩესნი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, როსიცკი, დიაბი, ფაბიანსკი – ჯონსონი, დაიერი, ფაბიო

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 | +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 42 თამაში: +18=12-12 (54-41)

**რედინგი-ფულჰემი 18:00**

**ტრავმა:** ტაბი, კარაჩანი, ჰანტი, ფედერიჩი – რუისი, დაფი, ფრეი, დავისი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 8 თამაში: +3=0-5 (5-10)

**სტოკ სიტი-სანდერლენდი 18:00**

**ტრავმა:** უელანი, ნესი - ბრამბლი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 | +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 86 თამაში: +28=23-35 (96-116)

**უიგანი-ვესტ ჰემი 18:00**

**ტრავმა:** ალკარასი, კრუსატი – დემელი, ვას ტე, დიარა, კოლისონი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +7=2-8 (24-26)

**მანჩესტერ სიტი-სუონსი 20:30**

**ტრავმა:** დ. შილვა, მაიკონი, როდუელი, გარსია – ტეილორი, ბარტლი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=2-0 | +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 6 თამაში: +3=0-3 (11-8)

### ხვალ

**ევერტონი-ლივერპული 16:30**

**ტრავმა:** ფელაინი, გიბსონი – ბორინი, ლუკასი, კელი, რეინა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 | +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 177 თამაში: +52=55-70 (201-243)

**ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი 18:00**

**ტრავმა:** ტეილორი, ელიოტი, ვუკჩიჩი, გოსლინგი – რიდი, ჯოუნსი, მაიჰილი, თომასი, ბრანტი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 97 თამაში: +33=27-37 (159-170)

**საუთჰემპტონი-ტოტენჰემი 18:00**

**ტრავმა:** კორკი, რამირესი, რიჩარდსონი, ფოქსი – კაბული, ასუ-ეკოტო, დემბელე, პარკერი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 | +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 70 თამაში: +23=17-30 (91-118)

**ჩელსი-მანჩესტერ იუნ. 19:00**

**ტრავმა:** ლემპარდი – ვიდიჩი, ლინდეგორი, სმოლინგი, კაგავა, ჯონსი

**დისკვალიფიკაცია:** ტერი -

**ბოლო 6 მატჩი**

+5=1-0 | +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 145 თამაში: +43=40-62 (182-239)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 8 | 7 | 1 | 0 | 19-6 | 22 |
| 2. იუნაიტედი | 8 | 6 | 0 | 2 | 21-11 | 18 |
| 3. სიტი | 8 | 5 | 3 | 0 | 17-9 | 18 |
| 4. ევერტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 15-9 | 15 |
| 5. ტოტენჰემი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-12 | 14 |
| 6. ვესტ ჰემი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-9 | 14 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-9 | 14 |
| 8. ფულჰემი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-11 | 13 |
| 9. არსენალი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-6 | 12 |
| 10. სუონსი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-12 | 11 |
| 11. ნიუკასლი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-12 | 10 |
| 12. ლივერპული | 8 | 2 | 3 | 3 | 10-12 | 9 |
| 13. სტოკი | 8 | 1 | 5 | 2 | 8-9 | 8 |
| 14. სანდერლენდი | 7 | 1 | 5 | 1 | 6-8 | 8 |
| 15. ნორვიჩი | 8 | 1 | 3 | 4 | 6-17 | 6 |
| 16. უიგანი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-15 | 5 |
| 17. ასტონ ვილა | 8 | 1 | 2 | 5 | 6-13 | 5 |
| 18. საუთჰემპტონი | 8 | 1 | 1 | 6 | 13-24 | 4 |
| 19. რედინგი | 7 | 0 | 3 | 4 | 8-14 | 3 |
| 20. ქუინზ პარკი | 8 | 0 | 3 | 5 | 7-17 | 3 |

**რა შეიძლება ითქვას პრემიერლიგის IX ტურზე? ის, რომ ამ უქმეებზე ინგლისში ორი ძალიან დიდი მატჩი გაიმართება. ლივერპულური დერბი "გუდისონ პარკზე" იმით იწვევს ინტერესს, რომ მიუხედავად შარშანდელი წარუმატებელი სეზონისა, "წითლებმა" პრინციპული მეტოქე ჩემპიონატში ორჯერ დაამარცხეს და ამას ასოციაციის თასის 1/2-ფინალში მოგებაც დაუმატეს. კიდევ უფრო მეტ მაყურებელს მიიზიდავს ტელეეკრანებთან "ჩელსი" "მანჩესტერ იუნაიტედის" დაპირისპირება. სპეციალისტები წელს სწორედ ამ გუნდებს მიიჩნევენ ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტებად. ურთიერთშეხვედრები შესაძლოა სატურნირო თვალსაზრისით ბევრი არაფრის გადამწყვეტი იყოს, მაგრამ ფსიქოლოგიურად უშუალო კონკურენტის ძლევა ბევრს ნიშნავს.**

"ასტონ ვილა" წინა ტურის ერთ-ერთი უმთავრესი სენსაციის ავტორს მასპინძლობს. აუტსაიდერმა "ნორვიჩმა" ხომ "არსენალი" დაამარცხა. პატარა გუნდებისთვის კი მსგავს გამარჯვებებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ საკუთარი თავისა ირწმუნონ. ვფიქრობთ, სტუმარს სწორედ ამ მხრივ ექნება მცირე უპირატესობა. **პოლ ლამბერტის** შეგირდებს ხომ ეს ბედნიერება თვეზე მეტია, არ განუცდიათ.

"არსენალმა" მიყოლებით ორი თამაში ჩააგდო და თანაც მათში კინკილა გოლიც კი არ გაუტანია. გუშინ "ემირიტსზე" კლუბის მეწილეების, მმართველი გუნდის, სამწვრთნელო შტაბისა და ფანკლუბების ლიდერების ერთობლივი შეხვედრა გაიმართა, სადაც **არსენ ვენგერი** ყოველი მხრიდან სერიოზული წნეხის ქვეშ მოექცა. ფრანგი ძირითადად ნათელ მომავალსა და საკუთარ პრიორიტეტებზე საუბრობდა: *"ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრემიერლიგაა, შემდეგ ჩემპიონთა ლიგა, ამას ლიგის საგზური მოსდევს, მეოთხეა ასოციაციის თასი და უკანასკნელი, რაზეც ვფიქრობ, ეს ლიგის თასია. ასე გულახდილად იმიტომ ვლაპარაკობ, რომ თუკი ძლიერი ფეხბურთელების მოზიდვა გვინდა, მათთან ვერ ვიამაყებთ იმით, რომ ლიგის თასის გამარჯვებული გუნდი ვართ. ამისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზური მაინც არის საჭირო. ვაღიარებ, "შალკესთან" საშინლად ვითამაშეთ, მაგრამ ეს ხომ 43 თამაშში პირველი საშინაო მარცხი იყო ამ ტურნირში. ამჟამინდელი შემადგენლობით ჩვენ ნამდვილად გვაქვს პერსპექტივა. გავა დრო და თავად დარწმუნდებით, რომ არ ვცდები"*. მიუხედავად ცუდი წინასამატჩო განწყობისა, "მეთოფეები" "ქუინზ პარკთან" უპირობო ფავორიტებად მიგვაჩნია.

"რედინგი" "ფულჰემს" მასპინძლობს. პირადად მიგვაჩნია, რომ **მარტინ იოლის** შეგირდებს "მადეისკიზე" სამი ქულის აღების მშვენიერი შანსები აქვთ. მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, ჰოლანდიელის გუნდი ხომ ჯერჯერობით სრული სვლით მიიწევს დასახული მიზნისკენ.

"სტოკი" და "სანდერლენდი" მსგავსი სტილის და დაახლოებით თანაბარი გაქანების გუნდები არიან. ამ დაპირისპირებაში ფავორიტის გამოყოფა გვიჭირს.

"ვესტ ჰემი" ის გუნდია, ვინც საფეხბურთო ექსპერტებსაც კი მოულოდნელი სიურპრიზი შესთავაზა. "ჩაქუჩების" მე-6 ადგილს ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ერთადერთი, რაც აპტონპარკელებს გამოსასწორებელი აქვთ, ეს თავდამსხმელების თამაშია. გუნდმა 12 თამაში ჩაატარა და აქედან მხოლოდ ერთია **მოდიბო მაიგას** ანგარიშზე. დანარჩენ ბურთებზე მცველები და ნახევარმცველები ზრუნავენ. "უიგანზე" კი იმას ვიტყვით, რომ სასწაული იქნება, **რობერტო მარტინესმა** კიდევ ერთხელ თუ მოახერხა ამ გუნდის ელიტაში დატოვება.

"მანჩესტერ სიტი" შინ თამაშობს და ესე იგი ფავორიტია. გვგონია, რომ ამ წესიდან გამონაკლისი წელსაც ძალიან ცოტა თუ იქნება. "ქალაქელებმა" დე ფაქტო გაინაღდეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენა. ამ გარემოებამ გუნდის ფსიქოლოგიურ განწყობაზე წესით ცუდად უნდა იმოქმედოს, მაგრამ ლიგაზე მოთამაშე "სიტი" ერთია, ჩემპიონატში კი ამ გუნდს გარდასახვა სჩვევია. "სუონსი" ნამდვილად არ გვგონია ის გუნდი, რომელიც დღეს **რობერტო მანჩინის** შეგირდებს რამეს დაუშავებს.

"ევერტონი"-"ლივერპულის" მატჩის პრინციპულობაზე შესავალშივე მოგახსენეთ. რა მნიშვნელობა აქვს, რომელ ადგილზეა ერთი ან მეორე. მინდორზე დანთებული ცეცხლის ალი ამით არ კლებულობს. ამ ეტაპზე უკეთესად მერსისაიდის ლურჯი ნაწილი გამოიყურება. თუმცა გავითვალისწინოთ, რომ დიდწილად ეს წარმატებები **მარუან ფელაინის** მხრებზე გადადიოდა. 24 წლის ბელგიელი დაიმტვრა და მოიესის გუნდმა შეწყვიტა მოგებები. "გუდისონ პარკზე" დიდი ალბათობით ისევ ტრიბუნებზე იჯდება. განსხვავებული განწყობაა "წითლების" ბანაკში. მთელი სეზონის განმავლობაში ჭაკად მოთამა- ეს დაცვამ ბოლო ორ შეხვედრაში პეპე **რეინას** შემცვლელ **ბრედ ჯონსს** ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ავსტრალიელი გოლკიპერი 180 წუთია მშრალად დგას. თუკი უკანა ხაზმა სტაბილურად განაგრძო თამაში, ეს ცხრილზე მალე უნდა აისახოს.

"ნიუკასლი"-"ვესტ ბრომვიჩის" წყვილზე იმას ვიტყვით, რომ ერთი შეხედვით, თუნდაც წარსულის დამსახურებების გათვალისწინებით ფავორიტად "კაჭკაჭები" არიან, მაგრამ მეორე მხრივ რეალობა ასე იოლად "ვესტ ბრომვიჩის" ჩამოწერის უფლებას არ გვაძლევს. **სტივ კლარკის** შეგირდებმა წინა ტურში "სიტისთან" საშინაო შეხვედრა დათმეს, თანაც რიცხვნაკლულ მეტოქესთან, მაგრამ არ გვგონია, წელს შეძენილ ავტორიტეტზე ერთბაშად თქვან უარი და "ნიუკასლსაც" იოლად დანებდნენ. მასპინძლების მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მათ შუა კვირაში ევროპის ლიგის მატჩი ჩაატარეს.

"წმინდანები" "დეზებს" ხვდებიან. ლონდონელებმა ხუთშაბათს ევროპის ლიგაზე მესამე შეხვედრაში მესამე ფრე ითამაშეს და საქმე უკვე სერიოზულად გაირთულეს. ერთია, რომ ჩრდილოლონდონელებს ძალების აღსადგენად ნაკლები დრო ბევრად ჰქონდათ, მაგრამ მეორე მხრივ არც "საუთჰემპტონია" დიდი ხვითო, რომ ადგეს და მეტოქის დაღლილობით უეჭველად ისარგებლოს. მასპინძლებს თუკი ვინმესი უნდა ეშინოდეთ, ეს **გარეთ ბეილია**. 23 წლის უელსელი წინა უქმეებზე ვაჟის მამა გახდა და მოედანზე მას მერე პირველად გადის. ვეჭვობთ, განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე უნდა იყოს.

დაბოლოს, "ჩელსი"-"მანჩესტერ იუნაიტედის" დაპირისპირებაზე არ შეიძლება რომ განსაკუთრებულად არ გავამახვილოთ ყურადღება. ჩემპიონატის ორივე ფავორიტმა ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა. "ჩელსიმ" წლის ყველაზე უსახური მატჩი ჩაატარა და "შახტართან" უშანსოდ დათმო. "იუნაიტედმაც" ძალიან ცუდად დაიწყო "ბრაგასთან" შეხვედრა, მაგრამ კარგად დაამთავრა. *"წელს ჩვენ ჩვენი ძალა არაერთხელ დავამტკიცეთ. ასე მოხდა "ბრაგასთანაც". ახლა "ჩელსისთან" რომ დავმარცხდეთ, საჩემპიონო რბოლაში დაბრუნება წარმოუდგენლად გაგვიჭირდება. ლონდონელებს აშკარად ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავთ, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში – ოსკარი, მატა, აზარი. მათთვის ბურთის წართმევა წარმოუდგენელია. მხოლოდ დრო გვაჩვენებს, ისინი ჩვენზე უკეთესები არიან თუ არა. ისე, "სტემფორდ ბრიჯზე" თამაში ყოველთვის ძალიან ძნელი იყო,"* - აცხადებს **რაიან გიგზი**.

## ამბები

### კაგავა ოთხი კვირა დაისვენებს

**შინჯი კაგავამ** "ბრაგასთან" შეხვედრაში მუხლი დაიშავა და როგორც ექიმები ირწმუნებიან, 23 წლის იაპონელს მინიმუმ ოთხი კვირის გატარება მოუწევს ლაზარეთში. "შინჯიმ ზუსტად ისეთივე ტრავმა მიიღო, როგორიც ცოტა ხნის წინ ემლი იანგმა მოირჩინა. ვფიქრობ, რომ მას ფეხი ადრეც აწუხებდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა, რამაც სიტუაცია მეტისმეტად დაამძიმა. მისი უთამაშებლობა გუნდისთვის სერიოზული დანაკლისია," – განაცხადა სერ ალექს ფერგიუსონმა. შოტლანდიელმა კაგავას გარდა კომენტარი **სმოლინგისა** და **ჯონსის** ჯანმრთელობაზეც გააკეთა. მისი თქმით, ახალგაზრდები სრულფასოვან სანვრთნელ პროცესს ორშაბათიდან დაუბრუნდებიან.

### ლემპარდი მეორედაც გადარჩა

"ჩელსის" 34 წლის ნახევარმცველმა **ფრენკ ლემპარდმა** წვივის უმნიშვნელო დაზიანება ჯერ კიდევ ბოლო სანაკრებო შეკრებაზე მიიღო ვარჯიშისას. ფეხბურთელს ამის გამო ეროვნული გუნდის ორივე თამაში გაუცდა. "ჩელსიში" დაბრუნებულმა სანვრთნელი პროცესი მალევე განაახლა, თუმცა "შახტართან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში წვივმა ხელახლა შეაწუხა. **რობერტო დი მატეომ** ის პირველ ტაიმშივე შეცვალა. აღმოჩნდა, რომ რეციდივი ცოტა უფრო სერიოზულია. ვეტერანს 12-14 დღით მოუწევს უქმობა.

### იუნაიტედი სპონსორს გაეყარა

"დეილი მეილის" ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედმა" კომპანია DHL Express-ისგან გუნდის სანვრთნელ ფორმაზე ლოგოტიპის განთავსების უფლება გამოისყიდა. 4-წლიანი კონტრაქტი გერმანელებთან 2010 წელს გაფორმდა, რომლის თანახმად ამ პერიოდში "ეშმაკებს" 40 მილიონი ევრო უნდა მიეღოთ. რა დაჯდა კონტრაქტის გაუქმება, ამ თემაზე ყველა დუმს. გამოცემის ვარაუდით, **დევიდ გილსა** და კომპანიას უკვე შეგულებული ეყოლებათ ბევრად უფრო სარფიანი პარტნიორი, რომელიც, წესით, მანკუნიანელებმა საზოგადოებას მალე უნდა წარუდგინონ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

იტალია. სერია A. IX ტურის წინ

# გარეთ შერცხვენილები, შინ იმარჯვებენ

## იუვეს კუნძულზე ელოდებიან, კატანია არ არის საჩუქარი

### დღეს

**სიენა-პალერმო 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლარონდო, ვიტიელო, ტერცი, ბელმონტე (სიენა).
**ტრავმა:** როდრიგესი, კამპანიოლო, მარტინესი, ბოგდანი, როზინა - მილანოვიჩი, ერნანდესი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 20 თამაში: +9=4-7, (29-27)

**მილანი-ჯენოა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** კანინი (ჯენოა).
**ტრავმა:** მესბა, რობინიო, აბიატი, შტრასერი, დიდაკ ვილა, მუნტარი - როსი, ანსელიმო, ფერონეტი, ვარგასი, ბორიელო, ხორკერა.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 14 თამაში: +8=4-2, (19-8)

### ხვალ

**კატანია-იუვენტუსი 15.30**

**ტრავმა:** კეკო, ტერაჩანო, ბელუში, აუგუსტინი, შაკა - პეპე.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 12 თამაში: +1=6-5, (12-21)

**ბოლონია-ინტერი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა (ბოლონია).
**ტრავმა:** პერესი, კურჩი, სტოიანოვიჩი, ნატალი, აკვაფრესკა, ხიმენესი - სტანკოვიჩი, მარიგა, სნეიდერი, კივუ, მუდინგაი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 28 თამაში: +6=4-18, (32-53)

**ფიორენტინა-ლაციო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პისარო, რონკალია - სკული.
**ტრავმა:** კამპორეზე - ედერსონი, სტანკევიჩუსი, რადუ, მარკეტი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 35 თამაში: +8=7-20, (32-61)

**პესკარა-ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბლაზი - კარმონა.
**ტრავმა:** კრეშენცი, საველონი - ფერი, რადოვანოვიჩი, ფერეიტა პინტუ, კაპელი, ბიონდინი, ბელინი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 11 თამაში: +1=2-8, (4-20)

**სამპდორია-კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** რომერო, და კოშტა (სამპდორია).
**ტრავმა:** ობიანგი, პოცი, კრსტიჩიჩი - კოსუ, პინილია.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 36 თამაში: +11=13-12, (48-44)

**ტორინო-პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მირანტე (პარმა).
**ტრავმა:** დიოპი, სუჩუ, სანტანა, ვერდი, ოგბონა - სანტაკროჩე, პალადინო, გალოპა.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +2=4-18, (13-31)

**რომა-უდინეზე 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი - დანილო.
**ტრავმა:** ბალცარეტი, ლობონტი, ტადეი - მურიელი, ბასტა, ბენეტია, პასკუალე, პინცი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 40 თამაში: +18=9-13, (64-52)

**ნაპოლი-კიევო 23.45**

**ტრავმა:** მ. რიგონი, სკუიცი, პალოსკი, სარდო, პაპი (კიევო).

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 12 თამაში: +7=1-4, (18-12)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 8 | 7 | 1 | 0 | 19-4 | 22 |
| 2. ნაპოლი | 8 | 6 | 1 | 1 | 14-5 | 19 |
| 3. ლაციო | 8 | 6 | 0 | 2 | 15-8 | 18 |
| 4. ინტერი | 8 | 6 | 0 | 2 | 13-6 | 18 |
| 5. რომა | 8 | 4 | 2 | 2 | 18-13 | 14 |
| 6. ფიორენტინა | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| 7. კატანია | 8 | 3 | 2 | 3 | 9-13 | 11 |
| 8. სამპდორია | 8 | 3 | 2 | 3 | 10-10 | 10 |
| 9. ტორინო | 8 | 2 | 4 | 2 | 9-5 | 9 |
| 10. ჯენოა | 8 | 2 | 3 | 3 | 10-12 | 9 |
| 11. უდინეზე | 8 | 2 | 3 | 3 | 8-11 | 9 |
| 12. პარმა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-11 | 9 |
| 13. კალიარი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-11 | 8 |
| 14. ატალანტა | 8 | 3 | 1 | 4 | 7-12 | 8 |
| 15. მილანი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-10 | 7 |
| 16. ბოლონია | 8 | 2 | 1 | 5 | 9-11 | 7 |
| 17. პესკარა | 8 | 2 | 1 | 5 | 6-15 | 7 |
| 18. კიევო | 8 | 2 | 1 | 5 | 7-15 | 7 |
| 19. პალერმო | 8 | 1 | 3 | 4 | 6-11 | 6 |
| 20. სიენა | 8 | 2 | 2 | 4 | 9-10 | 2 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2 , სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:**

**6 – კავანი (ნაპოლი), კლოზე (ლაციო); 5 – ჯილარდინო (ბოლონია), იოვეტიჩი (ფიორენტინა), ერნანესი (ლაციო), ელ შაარავი (მილანი), კასანო (ინტერი), ოსვალდო (რომა).**



სიცილიაზე ტურინელთა დანდობა არ იქნება

სერია A-ს მე-9 ტური კარს მოგვადგა, მაგრამ იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ჯერ კიდევ შუა კვირის ევრობატალიებზე მსჯელობენ. კერძოდ იმ წარუმატებლობაზე, რომელიც კალჩოს წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ განიცადეს. ჩემპიონთა ლიგაზე და ევროპალიგაზე ექვსმა იტალიურმა გუნდმა იასპარეზა და იქიდან მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა. ის ერთი მოგებაც დიდი ვერაფერი შედეგია - "ინტერმა" საკუთარ კედლებში ბელგრადის "პარტიზანთან' ინვალა და გამარჯვების გოლი ზედ საფინალო სასტვენის წინ გაიტანა. არადა, იქამდე შეგდება უფრო სერბებს შეეძლოთ და თავისუფლად შეიძლებოდა, რომ შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულებულიყო.

ევროპალიგაზე კიდევ სამმა აპენინურმა გუნდმა იასპარეზა - "უდინეზემ" და "ნაპოლიმ" ერთნაირი ანგარიშით, 1:3 წააგეს... ფრიულელები შვეიცარიულ "იანგ ბოიზთან" შერცხვნენ, ნეაპოლელები კი უკრაინულ "დნიპროსთან". ამ ფონზე "ლაციოს" გასვლითი ფრე ბერძნულ "პანათინაიკოსთან", მიღწევად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, "მილანი" "მალაგასთან" დაიჩაგრა ესპანეთში, "იუვენტუსმა" კი გაურკვეველი დასახელების სკანდინავიურ გუნდთან მხოლოდ ქულა აილო, ისიც ილბლის წყალობით. მოკლედ, კალჩოს ბინადრებმა ევროარენაზე კიდევ ერთხელ შეირცხვინეს თავი და ისლა დარჩენიათ, რომ გულშემატკივრის წინაშე, ერთმანეთთან პაექრობაში მოახდინონ რეაბილიტაცია.

### ალეგრის კიდევ ერთი, ბოლო შანსი

"კიდევ ერთი ბოლო შანსი" მართლაც უცნაურად ჟღერს, მაგრამ რეალობა სწორედ ასეთია. უკვე მერამდენე ტურია, **მასიმილიანო ალეგრის** ჟურნალისტები „ბოლო შანსს" აძლევენ, მაგრამ მის გათავისუფლებას არ დაადგა საშველი. არადა, "მილანი" ყველაფერს აგებს, რისი წაგებაც შეიძლება და არ შეიძლება. ბოლოს, ლომბარდიელებმა "მალაგასთან" შეირცხვინეს თავი, თუმცა მწვრთნელი ჯერ ისევ თავის ადგილზეა.

"მილანი" "ჯენოას" მიიღებს, გუნდს, რომელსაც **ლუიჯი დელ ნერი** ჩაუდგა სათავეში. თითქოს ყველანაირი წინაპირობაა იმისთვის, რომ "როსონერიმ" ნავსი გატეხოს და სამი ქულა მოიპოვოს, მაგრამ მეორე მხრივ, ახალი ცოცხის ამბავი ყველას კარგად მოგვეხსენება. მით უმეტეს მაშინ, როდესაც საპირისპირო მხარეს ძალიან ძველი ცოცხია, რომელიც საერთოდ ველარ გვის. მით უფრო საინტერესო ჩვენთვის... "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, "მილანი" 4-3-1-2 ტაქტიკით გაირჯება, შეტევის წინა ხაზზე კი **სტეფან ელ შაარავის** და **ჯამპაოლო პაცინის** ვიხილავთ.

### იუვე კუნძულზე

წინა ტურში "იუვენტუსმა" "ნაპოლის" სძლია და სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. მთავარი უკვე პოზიციების გამტკიცებაა და პიემონტელები სიცილიაზე სამი ქულის მოსაპოვებლად ჩავლენ. თუმცა, "კატანია" საკუთარ კედლებში იოლად არაფერს თმობს და წესით, საინტერესო თამაში უნდა გაჩაღდეს.

"გაძეტას" ვერსიით, ამჯერად "ვეკია სენიორას" წინა ხაზზე **სებასტიან ჯოვინკო** და **მირკო ვუჩინიჩი** გაირჯებიან, მათ უკან კი შემდეგ ხუთეულს ვიხილავთ: **შტეფან ლიხტშტაინერი, პოლ პოგბა, ანდრეა პირლო, კლაუდიო მარკიზიო, კვადვო ასამოა.** როგორც ხედავთ, პოგბა სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება, რომელსაც აშკარად **არტურო ვიდალის** ადგილი უკავია. ტურინული გუნდის მწვრთნელებს უყვართ როტაცია და შესაბამისად, პოგბას ძირითადში დაყენება ვიდალის თადარიგში საფუძვლიანად გადასროლას ნამდვილად არ ნიშნავს. პოლი კარგ ფორმაშია, "ნაპოლისთან" ბრწყინვალე გოლი გაიტანა და ნამდვილად იმსახურებს პერიოდულად ძირითადში მოხვედრას. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

### სერია უნდა გაგრძელდეს

საინტერესო მატჩი გაიმართება "სტადიო დალ არაზე", სადაც "ბოლონია" "ინტერს" უმასპინძლებს. ვერ ვიტყვით, რომ მილანური გრანდი დაფრინავს, მაგრამ მთავარია, რომ თამაშებს იგებს და ქულებს აგროვებს. **ანდრეა სტრამაჩონი** ამბობს, რომ წარმატებული სერია უნდა გაგრძელდეს:

*"ევროპალიგაზე უმნიშვნელოვანესი მატჩი მოვიგეთ და დროა, ისევ სერია A-ზე გადავერთოთ. "ბოლონია" საკუთარ კედლებში ყოველთვის კარგად თამაშობს და თუ წარმატების მიღწევა გვინდა, ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. კალენდარი საკმაოდ რთული გვაქვს, ყოველ მესამე დღეს ვთამაშობთ, მაგრამ ეს არ გვაშინებს... შეგირდები საკმაოდ კარგად არიან ფიზიკურად მომზადებულნი და ასეთი დატვირთვების ატანა შეუძლიათ. არ აქვს მნიშვნელობა გარეთ ვთამაშობთ თუ სახლში, აუცილებლად შევუტევთ და ვეცდებით, მეტოქე საკუთარ ნახევარზე მივაჯაჭვოთ".*

დიდი ალბათობით, შეტევის წინა ხაზზე სტრამაჩონი **დიეგო მილიტოსა** და **ანტონიო კასანოს** ტანდემს გაამწესებს, მათ უკან კი **როდრიგო პალასიო** გაირჯება. ეს უკანასკნელი სწორედ სტრამაჩონიმ დაწია უკან და კლასიკური თავდამსხმელი გამთამაშებლად აქცია. სანამ **ვესლი სნეიდერი** დაშავებულია, ასეც იქნება, შემდეგ კი ვნახოთ...

### ჩავარდნა თუ ლოკალური წარუმატებლობა?

"ნაპოლიმ" ზედიზედ ორი მატჩი წააგო: ჯერ ტურინში "იუვენტუსთან", შემდეგ კი ევროპის ლიგის გათამაშებაში "დნიპროსთან". რასთან გვაქვს საქმე, ლოკალურ წარუმატებლობასთან, თუ ჩარდნასთან, ან გნებავთ კრიზისთან? - თუ **ვალტერ მაცარის** დავუჯერებთ, ყველაფერი რიგზეა და ეს "კიევოსთან" საშინაო შეხვედრაში დამტკიცდება:

*"ორი მნიშვნელოვანი მატჩი წავაგეთ, მაგრამ არა გადამწყვეტი და ეს კარგად უნდა გვესმოდეს. მთავარი ბრძოლები წინ გვაქვს, ამიტომ, ძალები უნდა მოვიკრიბოთ და კიდევ უფრო მეტად მოვინდომოთ. ვერონაში სამი ქულისთვის მივდივართ, სხვა შედეგი ჩვენთვის მიუღებელი იქნება".*

**ედინსონ კავანის** ისევ **გორან პანდევი** შეუწყვილდება, მათ უკან კი **მარეკ ჰამშიკი** გაირჯება. "ნაპოლიმ" უნდა დაამტკიცოს, რომ ბოლო ორ შეხვედრაში უბრალოდ ფეხი დაუცდა, თუმცა ვნახოთ, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება.

### ბონუსად...

ორ ულამაზეს ქალაქში, რომსა და ფლორენციაში ორი ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება: "ფიორენტინა' "ლაციოს" უმასპინძლებს, "რომა' კი "უდინეზეს" მიიღებს. მოახლოებულ პაექრობებს ოთხივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება. მაგალითად, "რომა" ტრადიციული ტრიოთი შეუტევს **ფრანჩესკო ტოტის, დანიელ პაბლო ოსვალდოსა** და **ერიკ ლამელას** შემადგენლობით, "უდინეზე" კი **ანტონიო დი ნატალეს** იმედადად იქნება. "ლაციო" შეტევის წინა ხაზზე ტრადიციულად **მიროსლავ კლოზეს** დაეყრდნობა, 'ფიორენტინას" მთავარი იმედი კი **სტევან იოვეტიჩია**. ვისი აჯობებს, ამას ყველანი ერთად ვნახავთ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. IX ტურის წინ

# ლიდერები მადრიდში, მადრიდელები კუნძულზე

## მადრიდული ელვები და ტაქსისტები ბარსას წინააღმდეგ

### დღეს

**ესპანიოლი–მალაგა 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** კოლოტო
**ტრავმა:** ლოპესი, ალბინი - ბუონანოტე, ბაპტიშტა, ტულალანი, ს. სანჩესი (?), მონრეალი (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +8=1-13, (28-38)

**ბეტისი–ვალენსია 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფეგული (ვალ)
**ტრავმა:** ფაბრისიო, ჩიკა, პოსუელო (?) - კანალესი, გუაიტა (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +6=6-20, (30-53)

**სელტა–დეპორტივო 22:00**

**ტრავმა:** ინსა - პაბლო, ბოდიპო

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 28 თამაში: +8=8-12, (26-39)

**ვალეკანო–ბარსელონა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლაბაკა - მასკერანო
**ტრავმა:** პიტი, კობენიო, ნილსენი, არანა - ალვეში, მუნიესა, ალკანტარა, კვენკა, აბიდალი, პუიოლი, პიკე (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +3=4-9, (14-40)

### ხვალ

**სარაგოსა–სევილია 15:00**

**ტრავმა:** არანდა, ობრადოვიჩი, პინტერი - ტროხოვსკი, კოკე

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 28 თამაში: +9=5-14, (34-48)

**ლევანტე–გრანადა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ირინეი, ბენიტესი (გრან)
**ტრავმა:** დუდკა - ფლორესი, ფ. რიკო, რომერო, იებდა

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +1=0-1, (4-3)

**ბილბაო–ხეტაფე 20:50**

**დისკვალიფიკაცია:** ანდერი (ბილ)
**ტრავმა:** გალარეტა, მუნიაინი (?) (ბილ)

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +4=7-5, (15-16)

**ატლეტიკო–ოსასუნა 22:45**

**ტრავმა:** არდა თურანი (?) - ბერტრანი

**ბოლო 6 მატჩი**

+6=0-0 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +10=5-11, (26-27)

**მალიორკა–რეალი 00:30**

**ტრავმა:** მარკესი, ჟოაო ვიქტორი, ხიმენესი, ლოპესი, ნუნიეში - მარსელო, კოენტრაო, არბელოა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +9=5-18, (36-57)

### ზეგ

**ვალიადოლიდი–სოსიედადი 00:30**

**დისკვალიფიკაცია:** მანუჩო (ვალ)
**ტრავმა:** სასტრე, რუბიო (?) - ზურუტუზა, ელუსტონდო, ბრავო

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +2=0-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +6=5-11, (22-36)

***შენიშვნა:*** *ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 8 | 7 | 1 | 0 | 24-11 | 22 |
| 2. ატლეტიკო | 8 | 7 | 1 | 0 | 19-8 | 22 |
| 3. მალაგა | 8 | 5 | 2 | 1 | 13-5 | 17 |
| 4. რეალი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-7 | 14 |
| 5. სევილია | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| 6. ბეტისი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-13 | 13 |
| 7. ლევანტე | 8 | 4 | 1 | 3 | 9-13 | 13 |
| 8. მალიორკა | 8 | 3 | 2 | 3 | 10-9 | 11 |
| 9. ვალენსია | 8 | 3 | 2 | 3 | 11-11 | 11 |
| 10. ვალიადოლიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-9 | 10 |
| 11. ხეტაფე | 8 | 3 | 1 | 4 | 8-11 | 10 |
| 12. ვალეკანო | 8 | 3 | 1 | 4 | 11-17 | 10 |
| 13. სელტა | 8 | 3 | 0 | 5 | 9-10 | 9 |
| 14. სარაგოსა | 8 | 3 | 0 | 5 | 7-10 | 9 |
| 15. სოსიედადი | 8 | 3 | 0 | 5 | 8-12 | 9 |
| 16. გრანადა | 8 | 2 | 2 | 4 | 7-12 | 8 |
| 17. ბილბაო | 8 | 2 | 2 | 4 | 11-17 | 8 |
| 18. დეპორტივო | 8 | 1 | 3 | 4 | 13-19 | 6 |
| 19. ესპანიოლი | 8 | 1 | 2 | 5 | 11-15 | 5 |
| 20. ოსასუნა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-11 | 5 |

**ბომბარდირები:** 11 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 9 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), კრიშტიანო რონალდო (რეალი).




ჩავი და იკერ კასილიასი ასტურიის პრინცის ორდენით დააჯილდოვეს

**ჩემპიონატის** ერთი ლიდერი მადრიდში ჩადის - „ბარსელონა" „რაიო ვალეკანოს" გამოცდის, ხოლო მეორე ლიდერი „ატლეტიკო" მადრიდში აუტსაიდერ „ოსასუნას" დაუხვდება. როგორც ჩანს, ნაკლებად უნდა ველოდოთ ორხელისუფლებიანობის დარღვევას. აი, ჩემპიონს კი არცთუ იოლი გასეირნება ელის ბალეარის კუნძულებზე, ტურისტული სეზონი დასრულებულია, ეს კი სამუშაო გასვლაა, ჟოზე მოურინიოს მეტი ქულის დაკარგვის უფლება, ალბათ, აღარ აქვს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გალისიური დერბიც, რომელიც შარშან სეგუნდაში გაიმართა, წლეულს კი „სელტაც" და „დეპორტივოც" ელიტას დაუბრუნდნენ.

### ტიტომ დაცვას უნდა მიხედოს

„ბარსელონა" მადრიდის გარეუბანში ჩადის საუკეთესო ბომბარდირით, რომელსაც სულ 4 გოლი აკლია **პელეს** რეკორდამდე, საუკეთესო სტარტით ლა ლიგაში, გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგის მორიგი ტურიდან, მაგრამ უზარმაზარი პრობლემით - ბოლო სამ ტურში კატალონიელებმა 8 გოლი (!) გაუშვეს. დაცვის ცუდი თამაში სახეზეა და ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ის საკადრო პრობლემებმა შვა: დაცვის ძირითადი კვარტეტიდან ტრიო (**დანი ალვეში, კარლეს პუიოლი** და **ჟერარდ პიკე**) ტრავმირებულია. ამათგან ალვეშმა და პიკემ ვარჯიში განაახლეს და „რაიო ვალეკანოსთან" თამაშის შანსიც აქვთ. ბოლო ცნობებით, ბრაზილიელი მცველი უთუოდ იქნება გუნდის განაცხადში. აი, კაპიტან პუიოლსა და ნახევარმცველ **ტიაგო ალკანტარას** კი მოცდა მოუწევთ. ტრავმებს დაცვაში ერთი გაუგონარი პრობლემაც შეემატა, დანი ალვეში ფლანგზე **მარტინ მონტოიამ** ურიგოდ არ შეცვალა, მაგრამ მარტინს პრობლემები აქვს... სამართალდამცველებთან. ახალგაზრდა ფეხბურთელს ერთ-ერთი მადრიდელი ტაქსისტი უჩივის და ამტკიცებს, რომ მონტოიამ მას საფულე „ანაპნა", ეს კი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე მოხდა.

„ელვებს" **პიტი** და **დავიდ კობენიო** დააკლდებათ. მცველმა **ხორდი ამატმა** და ფორვარდმა **ნიკი ბილე ნილსენმა** ვარჯიში განაახლეს, თუმცა ამ უკანასკნელის თამაში მაინც საეჭვოა. ცენტრალური მცველი **მიკელ ლაბაკა** დისკვალიფიცირებულია „ესპანიოლთან" მატჩში გაძევებისთვის. წინა ტურში გააძევეს **ხავიერ მასკერანოც,** თუმცა მას თამაშის შანსი აქვს, რადგან „ბარსამ" საჩივარი შეიტანა და კომისიის პასუხს ელის. „ელვები" ცუდ ფორმაში არიან, მათ ბოლო 5 შეხვედრიდან 4 წააგეს. ბოლოს „რაიომ" „ბარსელონას" 2002 წელს მოუგო - 1:0.

სხვათა შორის, „ელვების" 4 ფეხბურთელი (**რუბენ მარტინესი, ხოსე მანუელ კასადო, სერხიო როდრიგესი** და **რობერტო ტრაშორასი**) „ბარსას" აღზრდილია.

მადრიდელთა თავკაცი **პაკო ხემესი** ამბობს, რომ მარტო **ლიონელ მესის** განეიტრალებით „ბარსელონასთან" დადებითი შედეგის მიღწევა შეუძლებელია: *„ყველაზე მეტად მომავალი მეტოქის ერთიანობის, ერთ გუნდად შეკრულობის მეშინია. რა თქმა უნდა, მესი უპირველესი საფრთხეა, მაგრამ ის არ არის „ბარსას" ერთადერთი იარაღი, კატალონიელებს გუნდში ბევრი ფეხბურთელი ჰყავთ, რომელთაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ. მოკლედ, მძიმე ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი. მაგალითად, პედრო ავილოთ - ასეთი სწრაფი ფეხბურთელი პირადად არასოდეს მინახავს"*, - განაცხადა ხემესმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

**სავარაუდო შემადგენლობები**

***რაიო ვალეკანო:*** *რუბენი - ტიტო, გალვესი, ამატი, კასადო - ფუეგო, ტრაშორასი - ხოსე კარლოსი, ლეო კარილიო, ადრიანი - ა. დომინგესი.*

***ბარსელონა:*** *ვალდესი - ადრიანო, პიკე, სონგი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ფაბრეგასი, მესი, პედრო.*

### ჩავი და იკერი დააჯილდოვეს

გუშინ „ბარსელონას" და „რეალის" ვარჯიშს თითო კაცი დააკლდა, ორივე ქალაქ ოვიედოში გაემგზავრა ძალიან პრესტიჟული ჯილდოს მისაღებად. **ჩავი ერნანდესი** და **იკერ კასილიასი** ესპანური ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ღვაწლის გამო ასტურიის პრინცის ორდენით დაჯილდოვდნენ. საღამოს, ოვიედოს „ტეატრო კამპოამორში" დიდი ღონისძიება გაიმართა - სპორტის დარგში პრიზი კი ამ დუეტმა მოიგო. სხვათა შორის, ჩავიმ „ბარსას" პირველი ვარჯიში არ გამოტოვა მიუხედავად იმისა, რომ **ტიტო ვილანოვამ** ის გაათავისუფლა.

### სამეფო პრობლემები

„რეალს" გერმანიაში სილა გააწნეს - მადრიდელებმა ამ სეზონში უკვე მეოთხედ წააგეს (2-ჯერ ლა ლიგაში), ეს კი მეტისმეტია, როცა საუბარია 13 მატჩზე. არც „მალიორკასთან" ვიზიტი ჩანს იოლი. **ხოაკინ კაპაროსმა** კარგი გუნდი ააწყო, რომელიც 11 ქულით ცხრილის ზედა ნაწილშია. ხუთშაბათს **ჟოზე მოურინიომ** გუნდი დაასვენა, ვარჯიშები გუშინ განახლდა. დორტმუნდში ტრავმა გაუმიზეზდა **სამი ხედირას,** მან შეცვლა პირველივე ტაიმში მოითხოვა. ექიმთა დასკვნით, გერმანელს კიდევ 2 კვირა უნდა ველოდოთ.

ასე რომ, **ჩაბი ალონსოს** სავარაუდოდ ისევ **ლუკა მოდრიჩი** შეეწყვილდება, რადგან **მიკაელ ესიენი** ისევ მარცხენა ფლანგზეა საჭირო, სადაც კვლავ ვერ ითამაშებენ ტრავმირებული **მარსელო** და **ფაბიო კოენტრაო.** „რეალს" არც მთავარი მარჯვენა მცველი ეყოლება, **ალვარო არბელოაც** ლაზარეთშია. კოენტრაომ და არბელოამ ბურთთან ერთად ვარჯიში განაახლეს, თუმცა ამ ტურში ვერ ითამაშებენ. **სერხიო რამოსს** კიდევ ერთხელ მოუწევს ფლანგზე გადასვლა, ცენტრში კი **პეპეს** ისევ ფრანგი **რაფაელ ვარანი** შეეწყვილდება, რადგან, როგორც ჩანს, **რაულ ალბიოლს** მოურინიო აღარ ენდობა.

იტალიური პრესა წერს, რომ იანვარში მოურინიო ისედაც გადატვირთულ შუახაზს „რომას" **დანიელე დე როსის** შეძენით კიდევ უფრო გადატვირთავს.

### მესის და რონალდოს დონის

„ატლეტიკო" „ოსასუნას" მიიღებს და კოლუმბიელ **რადამელ ფალკაოს** თავის გამოჩენის მორიგი შანსი ექნება. დიეგო სიმეონე თავის ლიდერს ზოგავს და ევროთასებზე (სადაც „ატლეტიკო" რეკორდს რეკორდზე ამყარებს) სრული დატვირთვით არ ათამაშებს. აი, რა თქვა ახლახან „ატლეტიკოს" ყოფილმა ფეხბურთელმა, პორტუგალიელმა **პაულუ ფუტრემ:** *„რადამელი უკვე გახდა ლიონელ მესის და კრიშტიანო რონალდოს დონის ფეხბურთელი. დროა, საფეხბურთო საზოგადოებამ ეს შეამჩნიოს, დუეტი ტრიოდ იქცა".*

სხვათა შორის, 26 წლის ცენტრფორვარდის მომავალს მედია ახლა უკვე „ჩელსის" უკავშირებს. იანვარში ლონდონელები სამხრეთამერიკელის სანაცვლოდ 60 მილიონ ევროს შესთავაზებენო. „ატლეტიკო" ერთადერთი გუნდია, რომელმაც ლა ლიგაში ბოლო 6 მატჩი მოიგო და ნავარულ კლუბთანაც უპირობო ფავორიტია, თუმცა ვინც ამ კლუბების დაპირისპირების ისტორიას იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ „როხიბლანკოსთვის" „ოსასუნა" ყოველთვის „კერკეტი კაკალია".

სხვა მატჩებიდან გამოვყოფთ მესამეადგილოსანი „მალაგას" ვიზიტს ბარსელონაში, „ესპანიოლთან" და არაგონულ-ანდალუსიურ დაპირისპირებას „სარაგოსასა" და „სევილიას" შორის. **მიჩელის** გუნდს კარგი სტარტი გამოუვიდა - 14 ქულით მე-5 ადგილზეა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტურის წინ

### გუშინ

**აუგსბურგი-ჰამბურგი** 0:2
0:1 სონი (13). 0:2 რუდნევსი (63)

### დღეს

**შალკე-ნიურნბერგი 17:30**

**ტრავმა:** რ. შეფერი, შტეფანი, პლუშეკი, მენდლერი (ყველა ნიურნბერგი)

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 50 თამაში: +23=13-14, (74:51)

**ფრაიბურგი-ბორუსია (დ) 17:30**

**ტრავმა:** როზენტალი - ოვომოიელა, ბლაშჩიკოვსკი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +3=8-15, (31:51)

**მაინცი-ჰოფენჰაიმი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი)

**ტრავმა:** ჰ. მიულერი, ბუნგერტი, პოლანსკი, ჩუპო-მოტინგი, კლასნიჩი - კრისი, ვუკჩევიჩი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 6 თამაში: +4=1-1, (10:9)

**ფიურტი-ვერდერი 17:30**

**ტრავმა:** პეცოსი, ტირალა, ფალი - ფრიტცი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

**ფორტუნა-ვოლფსბურგი 17:30**

**ტრავმა:** ბრუნო სუარესი, მალეზასი, რაიზინგერი - პილარი, ჰელმესი

**ბოლო მატჩი**

+1=3-2 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

### ხვალ

**შტუტგარტი-აინტრახტი 17:30**

**ტრავმა:** ბოკა, ჰუგლანდი, აუდელი, დიდავი, კაკაუ, თორუნი - ამედიკი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 82 თამაში: +36=18-28, (152:136)

**ბაიერნი-ლევერკუზენი 19:30**

**ტრავმა:** რედერი, გომესი - კადლეცი, რენატო

**ბოლო 6 მატჩი**

+6=0-0 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 66 თამაში: +39=13-14, (129:80)

**ჰანოვერი-ბორუსია (მ) 19:30**

**ტრავმა:** ფელიპე, ანდრეასენი - იანჩკე, ციმერმანი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 44 თამაში: +13=8-23, (64:81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 8 | 8 | 0 | 0 | 26-2 | 24 |
| 2. აინტრახტი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-11 | 19 |
| 3. შალკე | 8 | 5 | 2 | 1 | 17-8 | 17 |
| 4. ჰამბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-11 | 13 |
| 5. ბორუსია (დ) | 8 | 3 | 3 | 2 | 18-11 | 12 |
| 6. ლევერკუზენი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-11 | 12 |
| 7. ჰანოვერი | 8 | 3 | 2 | 3 | 16-13 | 11 |
| 8. ფრაიბურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-10 | 11 |
| 9. მაინცი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-10 | 11 |
| 10. ვერდერი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-13 | 10 |
| 11. ფორტუნა | 8 | 2 | 4 | 2 | 6-8 | 10 |
| 12. შტუტგარტი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-14 | 9 |
| 13. ბორუსია (მ) | 8 | 2 | 3 | 3 | 9-16 | 9 |
| 14. ჰოფენჰაიმი | 8 | 2 | 2 | 4 | 13-17 | 8 |
| 15. ნიურნბერგი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-14 | 8 |
| 16. აუგსბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-13 | 6 |
| 17. ფიურტი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-14 | 5 |
| 18. ვოლფსბურგი | 8 | 1 | 2 | 5 | 2-15 | 5 |

**ბომბარდირები:** 7 – მანჯუკიჩი (ბაიერნი); 6 – თ. მიულერი (ბაიერნი); 5 – კისლინგი (ლევერკუზენი), ა. მაიერი (აინტრახტი), იბიშევიჩი (შტუტგარტი), როისი (ბორუსია /დ/), შაჰინი (ფორტუნა), სონი (ჰამბურგი), სალაი (მაინცი).

# მეგობრების დუელი




შალკეს და ნიურნბერგის ფანები მეგობრობენ

**ჯერ კიდევ ნაადრევია თუ არა, ეს მკითხველმა განსაჯოს, ფაქტი კი ისაა, რომ საფეხბურთო გერმანიას „ბაიერნის" ჩემპიონობაში ეჭვი აღარ ეპარება. თუმცა ცხადია, რეკორდმაისტერი ყველა თამაშს ვერ მოიგებს და შესაბამისად, ისიც ინტრიგაა, რომელი და რამდენი კლუბი მოახერხებს „ბაიერნთან" არნაგებას. საინტერესოა ისიც, თუ ვინ იქნება პირველი. ბუნდესლიგის მეცხრე ტურში ამის შანსი „ლევერკუზენს" ეძლევა - „ბაიერი" „ბაიერნს" მიუნხენში სტუმრობს. მესამეადგილოსანი „შალკე" „ნიურნბერგის" სახით იმ გუნდს ხვდება, რომლის ფანებთან გელზენკირხენელ ქომაგებს ახლო და მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ჩემპიონ „დორტმუნდს", რომელმაც შუა კვირაში მადრიდის „რეალი" დაამარცხა, „ფრაიბურგში" სურს გამარჯვება, ხოლო ფელიქს მაგათის გარეშე დარჩენილი „ვოლფსბურგი" დიუსელდორფში ჩადის.**

## მეგობრების დუელი

„შალკეს" და „ნიურნბერგს" დიდი მეგობრობა აკავშირებთ. ეს განსაკუთრებით მათ ფანებზე ითქმის, რომლებიც ამას არასდროს მალავენ - ერთმანეთში დაპირისპირებების დროს ისინი ყოველთვის ერთად სხედან ხოლმე. რაც შეეხება სპორტულ მხარეს: ფაქტია, რომ ბოლო დროს „შალკე" „ნიურნბერგს" მეგობრულად ნამდვილად არ მასპინძლობს. 2010 წლის შემდეგ „შალკემ" „ნიურნბერგს" გელზენკირხენში ოთხიდან სამი მატჩი მოუგო (ერთი ფრე). **ჰუუბ სტევენსის** შეგირდები დორტმუნდში და ლონდონში მოგებული უმნიშვნელოვანესი მატჩების შემდეგ ბრწყინვალე ხასიათზე არიან. თუმცა ნიურნბერგსაც უნდა უხაროდეს რაღაც და კერძოდ ის, რომ გასვლით მატჩს ატარებს, რადგან ფრანკებს ამ სეზონში მხოლოდ ორი თამაში აქვთ მოგებული და სამი ქულა ორივეჯერ სტუმრად მოიპოვეს.

## დორტმუნდს ყურადღება ბუნდესლიგაზე გადააქვს

ფრაიბურგში ყველა ბედნიერია, განსაკუთრებით კი მთავარი მწვრთნელი **კრისტიან შტრაიხი**, რომელსაც ბრაისგაუში ხელის გულზე ატარებენ. იქ ამის მიზეზი ნამდვილად აქვთ, რადგან 8 ტურის შემდეგ „ფრაი" 11 ქულით მე-7 ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპალიგის ზონასთან ბინადრობს და ამ ეტაპზე გადარჩენისთვის ბრძოლის საფრთხე არ ემუქრება. ფრაიბურგელთა წარმატებების საიდუმლო შტრაიხის მიერ დამყარებული ტაქტიკური დისციპლინა და მცველების კონცენტრირებული თამაშია - ორი ტურია, ფრაიბურგელებს გოლი არ გაუშვიათ.

დორტმუნდის „ბორუსიამ" „რეალი" დაამარცხა და ცხადია, რომ **იურგენ კლოპის** ბიჭებს ფრაიბურგიდან მხოლოდ სამი ქულის წაღება უნდათ. BVB „ბაიერნს" უკვე 12 ქულით ჩამორჩება, რაც ნამდვილად ბევრია და ამიტომაც თქვა კლოპმა „რეალთან" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, დროა, ყურადღება სრულად ბუნდესლიგაზე გადავიტანოთ, რადგან გერმანიის ჩემპიონატში ისე არ გამოვიყურებით, როგორც საჭიროაო.

*„ლიდერთან ჩამორჩენა სასწრაფოდ უნდა შევამციროთ. ვფიქრობ, ზედიზედ მინიმუმ 4-5 თამაშის მოგება გვჭირდება,"* - ეს „დორტმუნდის" დაცვის ბურჯის, **მატს ჰუმელსის** სიტყვებია.

## ბაბელი ვიზეს მაინც ენდობა

„ჰოფენჰაიმმა" რვა ტურში 2 მატჩი მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და 4 წააგო. გუნდის პირველი მეკარე „ვერდერიდან" გადაბირებული **ტიმ ვიზეა**, რომელიც საწყის ტურებში ამაზრზენად თამაშობდა, უპატიებელ შეცდომებს უშვებდა და „ჰოფეს" საშველი არ ჩანდა. მერე დაშავდა, ორი ტური გამოტოვა და „სოფლელებმა" ორივე თამაში მოიგეს. ახლა კი დაბრუნდა და... 3:3 „ფიურტთან"! ჯამში, ვიზე საშუალოდ ერთ მატჩში 3.6 (სათასო შეხვედრებიც ითვლება) გოლს უშვებს და მიუხედავად ამისა, „ჰოფენჰაიმის" თავკაცი **მარკუს ბაბელი** ტიმს მაინც ენდობა! მეტიც: ვიზე გუნდის კაპიტანია. „სოფლელები" დღეს „მაინცს" სტუმრობენ და ვიზესაც იმედი აქვს, რომ „ჰოფენჰაიმთან" ერთად პირველ გამარჯვებას იზეიმებს. თუმცა მაინცელები კარგ ფორმაში არიან: **თომას ტუხელის** გუნდმა ბოლო სამ შეხვედრაში 7 ქულა აიღო.

## ბრემენელები ფიურტში

„ფიურტს" შვიდი ტურის შემდეგ მხოლოდ 2 გოლი ჰქონდა გატანილი და წინა ტურში „ჰოფენჰაიმს" სამი გაუტანა. გამოდის, რომ ფიურტელები მადაზე მოვიდნენ, მაგრამ ეს მართლა ასეა, თუ არა, ამას დღეს გავიგებთ: „ფიურტი" „ვერდერს" მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ ფიურტელებს საკუთარ მოედანზე არათუ ქულა არ აუღიათ, ერთი გოლიც კი არ აქვთ გატანილი (0-0-4, 0:8 საშინაო მატჩებში), რაც „ვერდერისთვის" ნამდვილად კარგი ნიშანია. ბრემენელებმა თავიანთი ფანები წინა ტურში „გლადბახის" 4:0-ზე განადგურებით გაახარეს, რის შემდეგაც „მუსიკოსების" ნახევარმცველმა **აარონ ჰანტმა** თქვა, ახლა ხომ მაინც დაინახა ყველამ, რა შეგვიძლიაო. თუ „ვერდერს" მართლაც შეუძლია რამე, „ფიურტს" უნდა მოუგოს...

## ვოლფსბურგი: პირველი მატჩი მაგათის გარეშე

ბუნდესლიგაში ამოსვლის შემდეგ, დიუსელდორფის „ფორტუნა" პირველად მერვე ტურში განადგურდა - რა თქმა უნდა, მიუნხენის „ბაიერნთან" (0:5). *„იმედი მაქვს, ფეხბურთელები ამ თამაშს მალე დაივიწყებენ და ისე ითამაშებენ, როგორც საჭიროა,"* - განაცხადა დიუსელდორფელთა თავკაცმა **ნორბერტ მაიერმა** გუშინ. დღეს „ფორტუნა" ბოლო ადგილამდე ჩამოქვეითებულ „ვოლფსბურგს" მასპინძლობს. ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ „მგლების" ხელმძღვანელებმა მთავარი მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს მხოლოდ ამ ოთხ წაგებას არ გამოუწვევია. „ვოლფსბურგელებს" ბუნდესლიგაში შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ, რაც პირადად მაგათისთვის ანტირეკორდი იყო. დღეს, „ვოლფების" დამრიგებელი მოყვარულთა გუნდის თავკაცი **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერი** იქნება - სპეციალისტი, რომელიც ერთხელ უკვე იყო გუნდის დროებითი მთავარი მწვრთნელი (2010 წელს, **არმინ ფეეს** გაგდების მერე). კიოსტნერი გუნდს მანამდე უთავკაცებს, სანამ შეფები ახალ მწვრთნელს არ მიიყვანენ.

## ჰაინკესი: ლევერკუზენსაც არაფერს ვაჩუქებთ!

ევროტურნირების გამო ხვალ სამი მატჩი გაიმართება. ნაშუადღევს „შტუტგარტი" „ბაიერნის" პირველ მდევარ „აინტრახტს" მასპინძლობს. შვაბებს საკუთარ მოედანზე არც ერთი მოგება არ აქვთ (ორი ფრე, ორი წაგება). „აინტრახტის" სახით ბრუნო ლაბადიას გუნდს სეზონის აღმოჩენა სტუმრობს, რომელმაც რვა ტურში 19 ქულა აიღო, რაც სენსაციაა.

ამაზე უკეთესი შედეგით დღეს ბუნდესლიგაში მხოლოდ „ბაიერნი" დაიკვეხნის - მიუნხენელებმა რვავე შეხვედრა მოიგეს და ახალი სუპერ-რეკორდი დაამყარეს. რეკორდმაისტერის თავკაცი **იუპ ჰაინკესი** ხვალ ბუნდესლიგაში 301-ე გამარჯვების მოპოვებას თავის ყოფილ გუნდ „ლევერკუზენთან" შეეცდება - „დონ იუპი" „ბაიერში" 2009-დან 2011 წლამდე მუშაობდა. „ფარმაცევტები" მეექვსე ადგილზე არიან, რაც ნამდვილად არ არის ცუდი შედეგი, მაგრამ გუნდი არასტაბილურად გამოიყურება, კაპიტანი **სიმონ როლფესი** კი ამბობს, უკვე ძალიან ბევრი ქულა გავაჩუქეთო. ჰაინკესი კი ყოფილ შეგირდებს საჩუქრებს არ ჰპირდება: *„ლევერკუზენთანაც" მხოლოდ სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ!"*

„ჰანოვერის" და „გლადბახის" მიზანი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა, რაც ევროპალიგის საგზურის მოპოვებას ნიშნავს. დღეს ისინი ერთმანეთს ხვდებიან და წინა ტურში ორივემ წააგო. ფავორიტის სტატუსი „ჰანოვერს" ეკუთვნის, რადგან მასპინძელია და თანაც, **მირკო სლომკას** შეგირდებს საკუთარ კედლებში 22-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ. თუმცა, „ჰანოვერმა" საშინაო შეხვედრა ბოლოს (2011 წლის 30 აპრილს) სწორედ „გლადბახთან" წააგო.

**გოტფრიდ ლენცი**

● სკანდალი

## ბერლუსკონის 4 წელი მიუსაჯეს



იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ **სილვიო ბერლუსკონის**, რომელიც სასამართლომ გადასახადების დამალვის საქმეში დამნაშავედ სცნო, 4-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ 76 წლის მედია მაგნატი ციხეში ჩაჯდება, რადგან იტალიის კანონმდებლობის მიხედვით, იმისთვის, რომ ვერდიქტი საბოლოო იყოს, საქმემ აპელაციის ორი ეტაპი უნდა გაიაროს.

თავად სილვიო ბერლუსკონი პროცესს არ ესწრებოდა, მის ადვოკატებს კი კომენტარი არ გაუკეთებიათ, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ისინი აპელაციას შეიტანენ.

“მილანის” მფლობელის წინააღმდეგ ერთდროულად რამდენიმე საქმეა აღძრული, მათ შორის სილვიოს ბრალად არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირი ედება, თუმცა ყოფილი პრემიერი ყველა ბრალდებას უარყოფს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

ბერლუსკონის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო, თუმცა შემდეგ სილვიო კიდევ ერთხელ გახდა იტალიის პრემიერ-მინისტრი და საქმე დროებით შეჩერდა.

“მედიასეტის” მფლობელი არ არის პირველი ყოფილი პრემიერი, რომელიც სასამართლომ კრიმინალში დამნაშავედ სცნო.

ყოფილი სოციალისტ პრემირ-მინისტრ, **ბეტინო კრაქსის**, კორუფციული გარიგებების გამო, 1994 წელს 8,5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, თუმცა ის ციხეში ასეც არ ჩამჯდარა, რადგან ტუნისში გაქცევა მოასწრო, სადაც ისე გარდაიცვალა, რომ იტალიაში არც დაბრუნებულა.

**ჯულიო ანდრეოტი**, რომელიც სამჯერ იყო იტალიის პრემიერი, მაფიასთან კავშირში და მკვლელობებში დაადანაშაულეს, თუმცა ის არასაკმარისი სამხილების გამო გაათავისუფლეს.

**ტატო ბაციკაძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. X ტურის წინ.


იბრაჰიმოვიჩი თვის საუკეთესო ფეხბურთელია

# ოლიმპიკური დერბი

| | |
|---|---|
| სტ. ეტიენი-რენი | 2:0 |
| 1:0. ობამეიანგი (22), 2:0 კოადი (49) | |
| გაძევება: ერდინგი (90. რენი) | |
| **დღეს** | |
| ლილი-ვალანსიენი | 19:00 |
| ნანსი-პსჟ | 22:00 |
| სოშო-ევიანი | 22:00 |
| მონპელიე-ნიცა | 22:00 |
| რეიმსი-ტრუა | 22:00 |
| ტულუზი-ბრესტი | 22:00 |
| **ხვალ** | |
| ლორიანი-აიაჩო | 17:00 |
| ბასტია-ბორდო | 20:00 |
| მარსელი-ლიონი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 9 | 5 | 4 | 0 | 15-5 | 19 |
| 2. მარსელი | 9 | 6 | 1 | 2 | 12-8 | 19 |
| 3. ლიონი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-8 | 18 |
| 4. ტულუზი | 9 | 4 | 4 | 1 | 15-9 | 16 |
| 5. ვალანსიენი | 9 | 4 | 3 | 2 | 19-9 | 15 |
| 5. სენტ ეტიენი | 10 | 4 | 3 | 3 | 17-7 | 15 |
| 7. ბორდო | 9 | 3 | 6 | 0 | 11-7 | 15 |
| 8. რეიმსი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-7 | 14 |
| 9. ლორიანი | 9 | 3 | 5 | 1 | 15-15 | 14 |
| 10. რენი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-14 | 13 |
| 11. ლილი | 9 | 2 | 5 | 2 | 11-11 | 11 |
| 12. ბასტია | 9 | 3 | 2 | 4 | 12-20 | 11 |
| 13. აიაჩო | 9 | 3 | 3 | 3 | 6-9 | 10 |
| 14. ბრესტი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-14 | 10 |
| 15. ნიცა | 9 | 1 | 6 | 2 | 12-13 | 9 |
| 16. მონპელიე | 9 | 2 | 2 | 5 | 12-14 | 8 |
| 17. ევიანი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-15 | 8 |
| 18. სოშო | 9 | 2 | 1 | 6 | 8-14 | 7 |
| 19. ტრუა | 9 | 1 | 2 | 6 | 9-18 | 5 |
| 20. ნანსი | 9 | 1 | 2 | 6 | 3-15 | 5 |

* აიაჩოს – 2

**ბომბარდირები:** 9 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 6 – ბენ იედერი (ტულუზი); 5 – ობამეიანი (სენტ ეტიენი), ჟინიაკი (მარსელი), გომისი (ლიონი), ხელიფა (ევიანი).

**ფრანგულმა კლუბებმა ევროთასები მოილიეს და ახლა ისევ ეროვნულ პირველობას უბრუნდებიან, სადაც უკვე მე-10 ტური უნდა გაიმართოს. ცენტრალური მატჩი, ტრადიციულად კვირას გაიმართება – "ველოდრომზე" "ოლიმპიკების" დერბი უნდა შედგეს, ლიგა 1-ის ლიდერი პსჟ კი დღეს ნანსიში ჩადის...**

"პარი სენ ჟერმენის" შვედი ლეგიონერი, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ჟურნალისტებმა თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 31 წლის ფორვარდმა ხმათა 56 % მოაგროვა და მეორეზე გასული, ასევე პარიზელი, **მარკო ვერატი** ჩამოიტოვა, რომელმაც 25 % მიიღო. მესამე ადგილი "ლორიანის" ფორვარდმა **ალენ ტრაორემ** დაიკავა. ეს კიდევ ერთი კარგი ამბავია პარიზელებისთვის, რომლებიც ჩემპიონატშიც ლიდერობენ და გარდა ამისა, **კარლო ანჩელოტის** შეგირდების კარგ განწყობაზე შუა კვირაში გამართულმა ჩემპიონთა ლიგის მატჩმაც იმოქმედა. შეგახსენებთ, რომ პსჟ-მ ზაგრების "დინამოს" სტუმრად 2:0 მოუგო და 3 ტურის შემდეგ 6 ქულა მოაგროვა.

ამ ტურში ზლატანს და კომპანიას რთული მატჩი ელით, რადგან "ნანსი" შინ ტრადიციულად კარგად თამაშობს და პსჟ-ს იქ ძალიან დიდი ხანია, კერძოდ 2007 წლის შემდეგ, არ მოუგია. მაშინ "პარი სენ ჟერმენმა" 3:0 მოიგო, გოლები კი პედრო პაულეტამ, **პიერ-ალან ფრომ** და **მარსელო გალიარდომ** გაიტანეს. იქიდან მოყოლებული "ნანსიმ" 3 მატჩი მოიგო და 2 ფრედ ითამაშა. შარშან ამ გუნდების შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა, 2:1.

ტურის ცენტრალური მატჩი კი მარსელში გაიმართება. ზედიზედ 6 მოგების შემდეგ "მარსელს" უკვე 3 ტურია არ გაუმარჯვია, თანაც თუ "პარი სენ ჟერმენთან" ფრე ცუდი შედეგი არ იყო, იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით "ვალანსიენთან" (1:4) და "ტრუასთან" (0:1) მარცხის შესახებ. გარდა ამ მატჩებისა, **ელი ბოპის** გუნდმა შუა კვირაში მიონხენგლადბახის "ბორუსიასთანაც" წააგო და ახლა ჯგუფში მასთან მე-2-3 ადგილებს იყოფს.

"ლიონში" საპირისპირო განწყობაა – გუნდმა ბოლო ტურში "ბრესტს" მოუგო, ევროპალიგაზე კი შინ ბილბაოს "ატლეტიკი" დაამარცხა. **რემი გარდს** რამდენიმე ფეხბურთელი აკლია, მათგან ყველაზე გამორჩეულები **იოან გურკუფი** და **მიშელ ბასტოსი** არიან. ასევე ვერ ითამაშებს **კლემან გრენიე**, რომელიც კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ჯერ სათამაშოდ მზად არ არის. "მარსელის" დანაკლისის შესახებ კი უკვე მოგახსენეთ, **ანდრე-პიერ ჟინიაკი** კიდევ დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ ვრცელდებოდა ინფორმაცია **მატიო ვალბუენას, ანდრე აიუს** და **ლოიკ რემის** ტრავმების შესახებ, მათ ხუთშაბათს ითამაშეს და "ლიონისთვისაც" მზად არიან.

2009 წელს "სტად ჟერლანზე" "ლიონმა" და "მარსელმა" ნამდვილი სპექტაკლი დადგეს. 3 წლის წინ გამართული ის მატჩი 5:5 დასრულდა, 81-ე წუთისთვის ანგარიში 2:4 იყო "მარსელის" სასარგებლოდ, 90-ე წუთზე კი უკვე "ლიონი" იგებდა. მსგავსი შეხვედრის გამეორების ალბათობა, რა თქმა უნდა, მინიმალურია, მაგრამ ეს ორი გუნდი ყოველთვის საინტერესო თამაშს გვთავაზობს და მოსაწყენად ამჯერადაც ვერ უნდა მოვიცალოთ.

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**მარსელი (4-2-3-1):** *მანდანდა – აბდალა, ფანი, ნკულუ, მორელი – კაბორე, შეირუ – ამალფიტანო, ვალბუენა, ა. აიუ – რემი.*

**ლიონი (4-3-3):** *ვერკუტრი – რევეიე, ბიშევაცი, ლოვრენი, დაბო – გონალონი, მალბრანკი, ლაკაზეტი – ბრიანი, ლოპესი, გომისი.*

შაბათის საკითხავი

# 10 გამორჩეული სანაკრებო კონფლიქტი

**ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ყველა საუკეთესო ფეხბურთელი უნდა თამაშობდეს, თუმცა არაერთხელ მომხდარა, რომ მწვრთნელთან კონფლიქტის გამო, ესა თუ ის ფეხბურთელი ნაკრებს მიღმა დარჩენილა. მოდით ერთად გავიხსენოთ, ყველაზე ცნობილი კონფლიქტები ნაკრების მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის და ეს სკანდალები ათეულის სახით წარმოვადგინოთ.**



### 10. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები - რაიმონ დომენეკი (2010).

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც **რაიმონ დომენეკის** და მისი შეგირდების დაპირისპირება იყო.

ყველაფერი მექსიკასთან, მეორე ტურის მატჩის შესვენებაზე დაიწყო, როდესაც **ნიკოლა ანელკა** ნაკრების მთავარ მწვთნელს ეჩხუბა, ამას კი მთელი გუნდის პროტესტი მოჰყვა – მესამე ტურის მატჩის წინ, საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელებმა სავარჯიშოდ გასვლაზე უარი თქვეს და გუნდის ავტობუსი არ დატოვეს. ეს კონფლიქტი იმდენად მასშტაბური იყო, რომ მისი კვალი საფრანგეთის ნაკრების ბანაკში დღემდე შეიმჩნევა.

### 9. ანტონიო კასანო - მარჩელო ლიპი (2010)

**მარჩელო ლიპიმ ანტონიო კასანო** 2006 წლის მუნდიალზე არ წაიყვანა, მაგრამ მაშინ მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებას ყველა გაგებით შეხვდა, რადგან კასანოს "რეალში" ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა, მაგრამ 2010 წელს "ფანტანტონიო" "სამპდორიაში" ბრწყინვალედ გაისარჯა და ბევრის აზრით, იმ პერიოდში საუკეთესო იტალიელი ფორვარდი გახლდათ, თუმცა ლიპიმ კასანო მუნდიალზე არც ამჯერად წაიყვანა.

სპეციალისტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ლიპის კასანოს ხასიათი არ მოსწონდა და ფიქრობდა, რომ ანტონიო გუნდში სიტუაციას არევდა, თუმცა იტალიაში საუბრობდნენ იმაზე, რომ კასანოს მოძულების მთავარი მიზეზი სულ სხვა რამ იყო, კერძოდ ის, რომ ანტონიომ, თავის დროზე, მარჩელო ლიპის შვილს **დავიდე ლიპის**, ვინც საფეხბურთო აგენტი იყო, მის კლიენტად გახდომაზე უარი უთხრა.

### 8. მიდო - ჰასან შეჰატა (2006)

**მიდომ** 2006 წლის აფრიკის ერთა თასის ნახევარფინალში შეცვლა ვერ აიტანა და მწვრთნელი **ჰასან შეჰატა** უშვერი სიტყვებით გამოლანძღა, არადა, მის ნაცვლად შესულმა **ამრ ზაკიმ** უმალვე გოლი გაიტანა და "ფარაონები" ფინალში გაიყვანა. მართალია, მიდომ ბოდიში იმავე დღეს მოიხადა, მაგრამ 6-თვიან დისკვალიფიკაციას მაინც ვერ გადაურჩა, რის გამოც კოტ დივუართან ფინალიც გამოტოვა, რომელიც მისმა ნაკრებმა მოიგო.

### 7. ფერნანდო რედონდო - დანიელ პასარელა (1998)

ფეხბურთელის მოძულების ყველაზე საოცარი და ამავე დროს სულელური მიზეზი **დანიელ პასარელას** ჰქონდა. არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი შეგირდებს თმის შეჭრას თხოვდა, რაზეც **ფერნანდო რედონდოსგან** უარი მიიღო.

*"მე შესანიშნავ ფორმაში ვიყავი, მაგრამ მას დისციპლინასთან დაკავშირებით აკვიატებული იდეები ჰქონდა. პასარელამ თმის დამოკლება მომთხოვა, მე კი ვერ მივხვდი, რა კავშირი ჰქონდა ამას ფეხბურთის თამაშთან და უარი ვუთხარი"* – განაცხადა მოგვიანებით ფერნანდო რედონდომ, რომელმაც მას შემდეგ ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ერთხელ, **მარსელო ბიელსას** ხელმძღვანელობით ითამაშა.

### 6. როი კინი - მიკ მაკარტი (2002)

**როი კინმა** მსოფლიოს ჩემპიონატის წინ პრესასთან საკუთარი გუნდის მომზადების შესახებ ისაუბრა და მწვრთნელის მეთოდები გააკრიტიკა. ამის შემდეგ **მიკ მაკარტისთან** საუბრის დროს, კინმა მას მსოფლიოს ჩემპიონატის "იქ" გაკეთება ურჩია, რის შემდეგაც მწვრთნელმა ის გუნდიდად დაითხოვა. ირლანდიამ საბოლოოდ ესპანეთთან წააგო, ხოლო კინი ამ დროს საკუთარი ძაღლის გასეირნებით იყო დაკავებული.

### 5. პოლ გასკოინი - გლენ ჰოდლი (1998)

**გლენ ჰოდლმა პოლ გასკონი** 22-კაციან განაცხადში არ შეიყვანა, რასაც "გაზას" მწარე რეაქცია მოჰყვა – გასკოინი ჰოდლის სასტუმროს ნომერში ავიდა და იქაურობა მიწასთან გაასწორა. თავად გლენიც ამ დროს ნომერში იყო და მფრინავ ვაზებს თუ სხვა ავეჯს თავიდან იცილებდა.

მოგვიანებით მწვრთნელმა თქვა, რომ "გაზასგან" ხელით შეხებასაც ელოდა, მაგრამ პოლმა მხოლოდ ავეჯი დაამტვრია.

### 4. რუუდ გულიტი — დიკ ადვოკაატი (1994)

1994 წლის ჩემპიონატის წინ **იოჰან კრუიფმა** ჰოლანდიის ნაკრების განვრთნაზე უარი განაცხადა და გუნდის ახალ მწვრთნელად **დიკ ადვოკაატი** დაინიშნა. ჰოლანდიელებს, კრუიფის უარის შემდეგ, **რუუდ გულიტის** იმედი ჰქონდათ, რომელსაც სანაკრებო კარიერა დასრულებული ჰქონდა, მაგრამ მუნდიალზე ნაკრებში თამაში გადაწყვიტა, თუმცა გულიტი ჩემპიონატზე მაინც ვერ გაემგზავრა, რადგან ზედ ტურნირის დაწყების წინ ადვოკაატთან გუნდის ტაქტიკასთან დაკავშირებით შელაპარაკება მოუვიდა და მეორედ და უკვე საბოლოოდ დაასრულა სანაკრებო კარიერა.

### 3. შტეფან ეფენბერგი - ბერტი ფოგტსი (1994)

მუნდიალის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩის დროს შეცვლილმა **შტეფან ეფენბერგმა** საკუთარ გულშემატკივრებს, რომლებიც "ეფეს" სტვენით შეხვდნენ, შუა თითი უჩვენა. **ბერტი ფოგტსმა** შეგირდს ჩემოდნები ჩაალაგებინა და სამშობლოში გაისტუმრა. მას შემდეგ, შტეფან ეფენბერგს გერმანიის ნაკრებში აღარ უთამაშია.



### 2. დავიდ ჟინოლა - ჟერარ ულიე (1993)

საფრანგეთის ნაკრებმა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ვერ მოიპოვა და ამაში მთავარ დამნაშავედ ყველამ, მათ შორის გუნდის მწვრთნელმა **ჟერარ ულიემ**, ერთი ადამიანი მიიჩნია – **დავიდ ჟინოლა**.

ბულგარეთთან გადამწყვეტი მატჩის ბოლო წუთზე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, ჟინოლამ, ნაცვლად იმისა, რომ ბურთი კუთხურის ალმისკენ წაეღო, საჯარიმოში არაზუსტად ჩააწოდა, რასაც ბულგარეთის კონტრშეტევა და გოლი მოჰყვა, რომლის გამოც საფრანგეთი მუნდიალს მიღმა დარჩა.

დავიდ ჟინოლა, რომელსაც სამშობლოში "ფრანგული ფეხბურთის მკვლელი" შეარქვეს, ისეთ წნეხში მოექცა, რომ იძულებული გახდა საფრანგეთი დაეტოვებინა და სათამაშოდ "ნიუკასლში" გადასულიყო.



### 1. ჯორჯო კინალია ფერუჩო ვალკარეჯი (1974).

იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, სანაკრებო კარიერას წერტილი 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჰაიტისთან მატჩის დროს დაუსვა. **ვალკარეჯიმ კინალია** 70-ე წუთზე შეცვალა, როდესაც იტალია 2:1-ს იგებდა. "ლაციოს" ფორვარდი ცვლილებას მტკივნეულად შეხვდა, მწვრთნელი სიტყვიერად და ჟესტიკულაციითაც გამოლანძლა, შემდეგ კი გასახდელში ჩავიდა და იქაურობა მიწასთან გაასწორა.

ვითომ ასეთი გაცხარების მიზეზი სამხრეთული ტემპერამენტი იყო? რალაც არა გვგონია, კინალია ხომ უელსში დაიბადა და იქვე გაიზარდა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

## ქართული სპორტი

ესტაფეტა. ოლიმპიელთა კლუბი



ოლიმპიური ჩემპიონები: კახი კახიაშვილი (მარცხნივ) და გიორგი ასანიძე

# ესტაფეტა – ოლიმპიური ნოვაცია

**გუშინ დასრულდა საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის მიერ ორგანიზებული ოლიმპიური ესტაფეტა „ამირანი-პრომეთეს ცეცხლი", რომლის დასკვნით ნაწილად აღნიშნული კლუბის ოფისში, ბალანჩივაძის 2 ნომერში სპორტის მუზეუმის გახსნა იქცა.**

ესტაფეტის იდეა ოლიმპიური კლუბის თავმჯდომარეს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **კახი კახიაშვილსა** და კლუბის აქტიურ წევრებს ახალგაზრდობის სპორტში, რაც შეიძლება უფრო ფართოდ ჩაბმის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სურვილმა უკარნახათ. ესტაფეტამ სტარტი 22 ოქტომბერს აიღო მეტად ორიგინალურად - მთამსვლელებმა ოლიმპიური ჩირაღდანი 5047 მეტრზე მდებარე მყინვარწვერზე აიტანეს და ცეცხლიც აანთეს. აქედან დაიწყო ჩირაღდანის მოგზაურობა - 24 ოქტომბერს ყაზბეგში ჩამოიტანეს, სადაც ცეცხლი მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტმა **გივი ქართველიშვილმა** მიიღო და სხვა ცნობილ სპორტსმენებთან ერთად ოლიმპიურ ჩემპიონებს - კახიაშვილსა და **გიორგი ასანიძესაც** გადასცა. ყაზბეგიდან ჩირაღდანმა დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე ჩამოინაცვლა, სადაც გუშინ საავტომობილო სპორტის ფედერაციის წარმომადგენლებმა და გინესის რეკორდსმენმა **ჯუმბერ ლეჟავამ** ჩაიბარეს. ბაიკერების თანხლებით მათ ანთებული ჩირაღდანი მცხეთამდე ჩაიტანეს, სადაც ველოსიპედისტებს გადასცეს. აქ მსვლელობას კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი **რომან რურუაც** შეუერთდა, დღის 12 საათისთვის კი ცეცხლი დედაქალაქში შემოვიდა. გაიარა ქალაქის ცენტრალური ნაწილი და, ცხადია, ოლიმპიური კომიტეტის ოფისსაც ესტუმრა მაჩაბლის ქუჩაზე. ესტაფეტაში არაერთი ოლიმპიური ჩემპიონი თუ ცნობილი სპორტსმენი მონაწილეობდა: **რაფაელ ჩიმიშკიანი, ლერი გოგოლაძე, ქეთევან ლოსაბერიძე, გელა კეტაშვილი, რევაზ ლაშხი, დავით გობეჯიშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, ამირან ტოტიკაშვილი, ოლეგ იაძე, ელისო ბედოშვილი, გიორგი თენაძე, გიორგი გოგშელიძე** და სხვები. ესტაფეტაში პარალიმპელებიც ჩაერთნენ.

სპორტის მუზეუმის გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა კეთილი ნებითაც გაიხსნა, რადგან ოფისის შენობა მათი საკუთრებაა. აქვე გეტყვით, რომ სპორტის მუზეუმი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროშიც მუშაობს, ოლონდ თემატიკის გარდა მათ ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ.

ოლიმპიელთა კლუბის სურვილია, ესტაფეტა ტრადიციული გახადონ და ყოველწლიურად ჩაატარონ. თან, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩართონ მასში, ეს კი მართლაც საჭირო საქმეა. მარშრუტიც იგივე იქნება, რაც კავკასიის მთებში მიჯაჭვულ ამირანთან ასოცირდება. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რასაც მთამსვლელები ჰყვებიან - მოგეხსენებათ, მყინვარწვერი იდუმალი მთაა, რომელიც იშვიათად იშორებს ხოლმე ღრუბლებს, მაგრამ მათი ასვლისას თურმე ამინდიც ჩაწყნარებულა, ქარიც ჩამდგარა და ცეცხლიც უპრობლემოდ აუნთიათ.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. მსოფლიოს გუნდური პირველობა

# ქართველთა დებიუტი ბრაზილიაში

ამ უქმეებზე ბრაზილიის სიდიდით მესამე ქალაქში, ბაიას შტატის დედაქალაქ სალვადორში ძიუდოისტთა მსოფლიოს გუნდური პირველობა ჩატარდება, რომელშიც ჩვენი ვაჟთა ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ეს ტურნირი სადებიუტო იქნება ორი ქართველი მწვრთნელისთვის - მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** პირველად უთავკაცებს ჩვენს გუნდს, რუსეთის ქალთა ნაკრებს კი ასევე პირველად გაუძღვება მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **თეა დონღუზაშვილი**. მართალია, რუსი ქალების მთავარი მწვრთნელის ტიტული ვაჟების გამწვრთნელმა და ლონდონში ტრიუმფალური შედეგის დამდებმა იტალიელმა **ეციო გამბამ** შეითავსა, მაგრამ მისივე მოთხოვნით მწვრთნელად დონღუზაშვილი მიიწვიეს. სავარაუდოდ, გამბა ძირითადად კვლავ ვაჟებთან იმუშავებს, თან ქალთა გუნდს საწვრთნელ პროგრამას დაუწერს, ხოლო დონღუზაშვილი ძირითადად მისი შემსრულებელი იქნება.

ცირეკიძემ ბრაზილიაში **შალვა ქარდავა** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (ორივე - 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლევან მატიაშვილი** (+90) წაიყვანა. როგორც ვხედავთ, მის განკარგულებაში არაა გუნდის ლიდერი, ყველაზე ახალგაზრდა ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66), რომელმაც თიაქარის ოპერაცია გაიკეთა და სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი მხოლოდ ხუთ წონით კატეგორიაში ტარდება - ამოღებულია 60 კილოგრამი, ხოლო 90-ს ზევით სამივე წონა გაერთიანებულია.

თავდაპირველი გეგმით, ამ ტურნირში მონაწილეთა შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი რეგიონული პირველობები უნდა ყოფილიყო - ფინალისტები უნდა მიეწვიათ ანუ ამ გზით 10 გუნდი მოგროვებულიყო, რომლებსაც მასპინძელი და მსოფლიოს შარშანდელი პირველობის გამარჯვებულები დაემატებოდნენ. ამდენად, ორივე შეჯიბრებაში 12-12 გუნდი უნდა გამოსულიყო, მაგრამ ზოგმა კვოტის გამოყენებაზე უარი თქვა, ეტყობა, ორგანიზატორებმაც შეცვალეს კრიტერიუმი და ახლა ქალებში 15, ვაჟებში კი 16 ნაკრები ვიხილეთ.

სალვადორში დღეს ქალები იჭიდავებენ, ჩემპიონის ტიტულს კი ერთმანეთს ბრაზილიის, რუსეთის, თურქეთის, იაპონიის, კორეის, ჩინეთის, მონღოლეთის, აშშ-ს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, მექსიკის, უკრაინის, არგენტინის და ალჟირის გუნდები შეეცილებიან. ვაჟები ხვალ გავლენ ტატამზე, თუმცა ეს თბილისის დროით ორშაბათი დილა იქნება (დაახლოებით 7-საათიანი სხვაობაა). აქ ჩემპიონობისთვის საქართველო, ბრაზილია, იაპონია, კორეა, მონღოლეთი, უზბეკეთი, რუსეთი, უკრაინა, კუბა, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, ალჟირი, არგენტინა, ჩინეთი და ვენესუელა იბრძოლებენ. თუმცა ჩემპიონობისა რა გითხრათ, ჩვენებს ისეთი წილისყრა ერგოთ - ჯგუფში იაპონიასთან მოხვდნენ. პირველ შეხვედრას ბრიტანეთთან ჩავატარებთ, მოგების შემთხვევაში კი იაპონია-უზბეკეთს შორის გამარჯვებულს ვხვდებით. პაექრობები [illegible] დროით 14.30-ზე დაიწყება, ფინალები - 19.30-ზე.

დასასრულს ორი ინფორმაცია მსოფლიოს ძიუდოდან, რომლებიც, ვფიქრობ, ძიუდოს ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს. სპორტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა ისრაელის უძლიერესმა ძიუდოისტმა, ევროპის 4-გზის ჩემპიონმა, მსოფლიოს ვერცხლის და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა, 35 წლის **არიელ ზეევმა** (100), რომელიც ჩვენებისთვის ერთ-ერთი უხერხული მეტოქე იყო. მეორე ამბავი უკრაინულ ძიუდოს ეხება, სადაც, ეტყობა, ახლა მიმდინარეობს ის პერიოდი, რაც ქართულმა ძიუდომ, იმედია, უკვე გაიარა - შიდა დაპირისპირება. იქ მწვრთნელთა კორპუსი უპირისპირდება ფედერაციას, კონფლიქტის მოსაგვარებლად კი მწვრთნელებმა დახმარებისთვის უკრაინის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **რავილო საფიულინს** მიმართეს თხოვნით, ჩაერიოს ამ დავაში. აღსანიშნავია, რომ უკრაინული სპორტისთვის ეს არაა პირველი ამგვარი კონფლიქტი - თავისუფალ ჭიდაობაში წლებია, გრძელდება დაპირისპირება ფედერაციის პრეზიდენტსა და ნაკრების წვრთნელებს შორის.

**ირაკლი თავაძე**



ევროპის წლევანდელ პირველობაზე გამარჯვებული საქართველოს ნაკრები. გავახერხებთ დუბლს?

ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ

ჰოლანდიაში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი. ღია ტურნირზე გუშინ მე-8 ტურის შეხვედრები გაიმართა. კვლავ იყოჩაღა **სოფიკო გურამიშვილმა**, რომელმაც თეთრი ფიგურებით დენი რუიტერს (ჰოლანდია) სძლია და 5,5 ქულა მოაგროვა. მეწინავეთა შეხვედრები კი ასე დამთავრდა: რიემერსმა ლი-ფრისო ნაიბორი 0:1, იან ტიმანი-ტომაშ ვილემზე 1:0, ერვინ ლამი-სტელან ბრუნელი 1:0, ნილს გრენდალიუსი-ერნსტ სიპკე 0:1, ლეონარდო ვალდესი-რობინ ვან კამპენი 0:1, ელკე ვიერსმა-სერგეი კასპაროვი 0:1, იდო ბენი-მანუელ ბოსბოომი 0:1.

რვა ტურის შემდეგ: ნაიბორი-7, ლამი, ტიმანი, ვან კამპენი, სიპკე-6-6, კასპაროვი, ლი, გურამიშვილი, ბოსბოომი, ვილემზე, დე იონგი-5,5-5,5 ქულა. ბოლო ტურში გურამიშვილი შავი ფიგურებით ტომაშ ვილემზეს დაუპირისპირდება.

ტიტების ქვეყნის საჭადრაკო ფესტივალზე გუშინ ბოლოსწინა ტურის პარტიები გათამაშდა ოთხთა ტურნირზეც. დაზავდნენ: ჰოუ იფანი-ჰიკარუ ნაკამურა, სერგეი ტივიაკოვი-ანიშ გირი. ნაკამურას 3,5 ქულა აქვს, ტივიაკოვს-3, გირის-2, ჰოუ იფანს-1,5 ქულა.

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა

# გაიხსენეს...

1999-2000 წლებში დაბადებული თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მონაწილეობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორის — **გიორგი გზირიშვილის** მემორიალში, რომელსაც საგარეჯომ უმასპინძლა. საასპარეზოდ თბილისის, აფხაზეთის, გამარჯვების, ყვარლის, ახმეტის, დედოსფლისწყაროს და საგარეჯოს 120-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. გიორგი გზირიშვილის შვილიშვილმა შალვამ მამისა (ასევე, ყოფილი ფალავნის) და პაპის სახელობის პრიზები 81 კილოსა და მძიმე წონებში გამარჯვებულებს — **ნიკო შავლოხაშვილსა** და **გიორგი შამათავას** გადასცა.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები:

**23 კგ.** 1. იგორ აფციაური (გლდანი), 2. ალიკო კაციაშვილი (დიღომი), 3. აბას მაგომედოვი, შალვა დაუშვილი (ორივე — ყვარელი). **26. კგ.** 1. შამილ გაჯიევი, 2. მაგომედ მაგომედოვი (ორივე — ყვარელი), 3. გიგი ქურხული (საგარეჯო), ლაშა ქობელაშვილი (დიღომი). **29 კგ.** 1. დათო ქაქალაშვილი (ყვარელი), 2. გიგი ბაიდარაშვილი (გლდანი), 3. გიორგი ბექაური (თბილისი), ზურაბ ფსიტიძე (დიღომი). **32 კგ.** 1. მაგომედ მაგომედოვი (ყვარელი), 2. გიორგი შათირიშვილი (საგარეჯო), 3. ნიკა ბიკაშვილი, იოსებ კიკალაშვილი (ორივე — დედოფლისწყარო). **35 კგ.** 1. ნიკა მათიაშვილი (აფხაზეთი), 2. ილია ჭუჭულაშვილი (დედოფლისწყარო), 3. თორნიკე ასაბაშვილი, მიშიკო ბერძენიშვილი (ორივე — ყვარელი). **38. კგ.** 1. ბაჩო არველაძე, 2. ვლადიმერ კაკოშვილი (ორივე — გლდანი), 2. ლევან არდოტელი (გამარჯვება), ნიკო შაშიაშვილი (ახმეტა). **42 კგ.** 1. ვასილ მამულაშვილი, 2. დათო ფიცხელაური (ორივე — თბილისი), 3. გიორგი კარატიელი, გიორგი ნატროშვილი (ორივე — დედოფლისწყარო). **46 კგ.** 1. რომან აფციაური, 2. გოგა მამიაური (ორივე — გლდანი), 3. რატი კილანავა, ლევან ნიფიანი (ორივე — აფხაზეთი). **50 კგ.** 1. ირაკლი ბურდული (დედოფლისწყარო), 2. ვალერი ლაფერიშვილი (საგარეჯო), 3. გიორგი ლომიძე (გლდანი), თორნიკე ჯაჭვაძე (გამარჯვება). **54 კგ.** 1. მამუკა ჩაჩუა (თბილისი), 2. სერგო ზაზაძე (გამარჯვება), 3. ალიკო სულაშვილი (დედოფლისწყარო), ჰაბიბი გაჯიევი (ყვარელი). **59 კგ.** 1. ბექა ჭელიძე (თბილისი), 2. თომა რევაზიშვილი, 3. გიორგი ჩუნგიშვილი (ორივე — საგარეჯო), ვახტანგ ტეტებოშვილი (ყვარელი). **66 კგ.** 1. ირაკლი მენთეშაშვილი (დედოფლისწყარო), 2. ჯაბა მაისურაძე (თბილისი), 3. მერაბ მინდიაშვილი, დათო გერმანოზაშვილი (ორივე — ყვარელი). **73 კგ.** 1. გიგა შიოშვილი (საგარეჯო), 2. ლაშა ხუბაშვილი (თბილისი), 3. თენგიზ კანტიძე (აფხაზეთი), ზაურ ტაბატაძე (თბილისი). **81 კგ.** 1. ნიკო შავლოხაშვილი (თბილისი), 2. ნოდარ ქიზიყურაშვილი (საგარეჯო). **+81 კგ.** 1. გიორგი შამათავა (თბილისი), 2. ზურაბ ბუჯიაშვილი (ყვარელი), 3. ზაალ ფსუტური (გლდანი), აკაკი იმნაძე (ბოლნისი).

**ვაჟა დანელია**

მხატვრული ტანვარჯიში

# სეზონის მაჟორული ფინიში

უკვე გაუწყეთ, რომ ქართველმა მხატვრულმა ტანმოვარჯიშე **გაბრიელა ხვედელიძემ** (მწვრთნელი **ბელა კობალაძე**) ბელგრადში ახალგაზრდა სპორტსმენთა საერთაშორისო ტურნირზე ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა. შეჯიბრებაში 15 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის რუსები, რომლებსაც სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო სარბიელზე მოწინავე პოზიციები უკავიათ. ხვედელიძემ მრავალჭიდში ყველა მათგანი ჩამოიტოვა და 98,667 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს 1,250 ქულით ჩამორჩა იულია ბრავიკინა (რუსეთი). 96,950 ქულით მესამე ადგილი რუმინელ ლუიზა ფილიორიანუს ერგო. ცალკეული საგნების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა:

**ბურთი.** 1. გაბრიელა ხვედელიძე (23,900), 2. ლუიზა ფილიორიანუ (23,525), 3. იულია ბრავიკინა (23,508).

**რგოლი.** 1. ოლგა ბელკოვა (რუსეთი, 24,900), 2. გაბრიელა ხვედელიძე (24,642), 3. ლუიზა ფილიორიანუ (24,308).

**გურზები.** 1. იულია ბრავიკინა (25,575), 2. გაბრიელა ხვედელიძე (25,375), 3. ლუიზა ფილიორიანუ (24,467).

**ბაფთი.** 1. იულია ბრავიკინა (25,520), 2. გაბრიელა ხვედელიძე (24,750), 3. ლუიზა ფილიორიანუ (24,650).

*„ბელგრადის საერთაშორისო ტურნირში პირველად ვიასპარეზე. ყველაფერი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ძლიერი კონკურენტები მყავდა. მათ შორის — 6 რუსი, რუმინელი ფილიორიანუ და მოლდოველი ნიკოლეტა დულგაჰერუ, რომელიც წლეულს ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდა და ბურთით ვარჯიშში ფინალურ ეტაპზე მედლებისთვისაც კი იბრძოდა. მართალი გითხრათ, ასე კარგად თუ გამოვიდოდი, არ მეგონა, რადგან წლევანდელი ევროპის პირველობის შემდეგ, სადაც გუნდურსა და გურზებით ვარჯიშში ბრინჯაოს მედლები მოვიპოვე, არსად მიასპარეზია, მაგრამ ჩემს მწვრთნელ ბელა კობალაძესთან ერთად ყველაფერი გავაკეთე წარმატებისთვის. ამ სეზონში, თანაც ამ პროგრამით, ჩემი ბოლო შეჯიბრება იყო და ძალიან მინდოდა, მაჟორული ფინიში მქონოდა. მომავალი წლისთვის ახალ პროგრამას ვამუშავებთ, რომელსაც, ალბათ, გაისად თებერვალში ტარტუს საერთაშორისო ტურნირ „მის ვალენტინზე „გამოვცდი",* — მითხრა ბელგრადიდან დაბრუნებულმა ხვედელიძემ.



გაბრიელა ხვედელიძე

- გაბრიელას წარმატებამ ჩვენც ძალიან გაგვახარა, ჩაერია საუბარში საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ფიქრია ფანქველაშვილი**. — სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სპორტული ფორმა შეინარჩუნა. მტკიცე ხასიათისა და სტაბილური ტანმოვარჯიშეა. მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებს".

**— მხატვრულ ტანვარჯიშში მოსალოდნელ ცვლილებებზე რას იტყვი?**

— ყოველი ოლიმპიადის შემდეგ ჩვენს სახეობაში, ჩვეულებრივ, პროგრამები და შეფასების წესები იცვლება. საერთაშორისო ფედერაციიდან უკვე მივიღეთ შესაბამისი საბუთები და მითითებები, რომელთა მიხედვით ყველა საგანში ახალი ვარჯიშები გვექნება, რათა მომავალი წლისთვის საფუძვლიანად მოვემზადოთ. უფროსებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები გველის. ეს შეჯიბრებები 2013 წელს, შესაბამისად, უკრაინასა და ავსტრიაში გაიმართება. ახალგაზრდებში ევროპის მესამე პრიზიორი სალომე ფაჟავა გაისად უკვე უფროსებში იასპარეზებს. მასთან ერთად ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად ელვირა ზუკაკიშვილი, მედეა გათენაძე, ლია ცეცაძე და სალომე შავდათუაშვილი იბრძოლებენ. რაც შეეხებათ ახალგაზრდებს, გაბრიელა ხვედელიძისა და სოფიკო ფარულავას მონაწილეობით შეგვეძლო ჯგუფურში კარგი ნაკრები ჩამოგვეყალიბებინა, რომელიც ევროპის პირველობაზე აუცილებლად მედლისთვის იბრძოლებდა, მაგრამ ამ ეტაპზე ვარჩიეთ, რომ ორივე სპორტსმენმა 2013 წელს მხოლოდ ინდივიდუალურში აიმაღლონ ოსტატობა, გრან პრის ტურნირებსა და მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოსინჯონ ძალები, რათა 2014 წელს უფროსებში გადანაცვლებისას მეტი საშეჯიბრო გამოცდილება ჰქონდეთ და სხვა ქართველ ტანმოვარჯიშეებთან ერთად 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისთვის წარმატებით იბრძოლონ.

**ვაჟა დანელია**

● სუპერლიგა 2012-13. II ტური

# 22-დან 8 საჯარიმო, ცოტაა!

## ოლუიჩის 8 დაფარება

**პარასკევს საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტური რეგიონებში გაიხსნა. „რუსთავმა“ „სამედიცინოს“ უმასპინძლა, ხოლო „ბათუმმა“ - „დინამოს“. ქვემო ქართლსა და აჭარაში მოსალოდნელი შედეგები დაფიქსირდა, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამ იყო: ჩვენეული სენი ახალ ფაზაში შევიდა - თუ საჯარიმოებს ზოგიერთი გუნდი მეტად დაბალი შედეგიანობით სტყორცნიდა, გუშინ „დინამოს“ გარდა ყველამ ცუდად ისროლა. რუსთაველებმა 32-დან 18 ჩააგდეს, „მედიკოსებმა“ - 12-დან 6, ხოლო ბათუმელებმა - 22-დან 8.**

**რამ შეიძლება გამოიწვიოს სტატიკური მდგომარეობიდან ტყორცნების უზუსტობა, ამაზე მსჯელობა ცალკე შეიძლება, აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ამ კომპონენტს სერიოზული მიხედვა სჭირდება. ვერ ვიტყვით, საჯარიმოების გაცუდებამ გუშინდელ შეხვედრებზე ძალიან იმოქმედა, მაგრამ თანაბარ თამაშში თითო რეალიზებულ საჯარიმოს რომ ოქროს ფასი აქვს, ამაში მკითხველიც დაგვეთანხმება.**



27.10. რუსთავი

| | I | II | III | IV | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 14 | 14 | 26 | 25 | 79 |
| სამედიცინო | 21 | 6 | 11 | 19 | 57 |

| რუსთავი | ნთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 30 | 5 | 4 | 1 | 4 | 0 | 20 |
| ცეკვავა | 30 | 3 | 5 | 3 | 1 | 0 | 8 |
| აბაიშვილი | 13 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ჩაჩანიძე | 10 | 0 | 0 | 1 | 3 | 0 | 7 |
| ბუგაევა | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნელსონი | 25 | 5 | 1 | 2 | 0 | 0 | 13 |
| ჭოჭუა | 29 | 4 | 2 | 1 | 3 | 1 | 14 |
| ტუჯანი | 22 | 10 | 2 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ათანელიშვილი | 13 | 4 | 0 | 1 | 1 | 0 | 3 |
| ხმელიძე | 19 | 3 | 0 | 2 | 3 | 0 | 9 |

| სამედიც. | ნთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიქია | 4 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| არწივიძე | 7 | 0 | 0 | 5 | 1 | 0 | 0 |
| ტუკვაძე | 20 | 5 | 0 | 4 | 2 | 2 | 4 |
| გაგისონია | 17 | 5 | 1 | 1 | 2 | 0 | 10 |
| ლ.რევაზაშვილი | 23 | 5 | 3 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კეველიშვილი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| გაფრინდაშვილი | 27 | 4 | 6 | 4 | 2 | 0 | 4 |
| მაისურაძე | 25 | 5 | 1 | 2 | 2 | 0 | 6 |
| ფერიაშვილი | 20 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 8 |
| გ.რევაზაშვილი | 21 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 11 |
| კორძაძე | 7 | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| ჭიჭვეიშვილი | 20 | 4 | 0 | 0 | 1 | 1 | 9 |

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ირაკლი ბერიშვილი, მიხეილ ვართანოვი

### ბოუი

მატჩის წინ ტელევიზიით რუსთაველთა კომენტარები მოვისმინეთ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ - „სამედიცინოს“ აუცილებლად დავამარცხებთო. როგორც წესი, ასეთ თავდაჯერებას უარყოფითი შედეგი მოაქვს. არ ვამბობთ, გუნდები ნაგებით ისჯებიანო, არც „რუსთავი“ დამარცხებულა, მაგრამ ქვემოქართლელებმა პირველი მეოთხედი კი დათმეს - 14:21. მხოლოდ დიდი შესვენებისთვის მოახერხეს „მედიკოსთა“ გადასწრება - 28:27. მესამე პერიოდისთვის მასპინძლებმა თამაში საბოლოოდ დაალაგეს და გამარჯვებულის ბედიც, ფაქტობრივად, სირენამდე 10 წუთით ადრე გადაწყვიტეს.

შეხვედრის სნაიპერობა აქაც ლეგიონერმა იკისრა, რუსთაველმა **ნეით ბოუიმ** 20 ქულა ჩააგდო.

საინტერესოა, რომ მესამე ტურში, 3 ნოემბერს გუშინდელ გამარჯვებულებს სერიოზული გამოცდა ელით - „დინამო“ და „რუსთავი“ ერთმანეთს თბილისში დაუპირისპირდებიან. მეორე ტურის დანარჩენი სამი შეხვედრა კი დღეს სპორტის სასახლეში გაიმართება.

**მიხეილ ბერუაშვილი** („რუსთავის“ მწვრთნელი):

*- პირველ ტაიმში სათანადო მობილიზება ვერ მოვახერხერთ, თუმცა მეორე ნახევრიდან თამაში ჩვენი უპირატესობით წარიმართა და დამსახურებულად ვიმარჯვეთ. ბიჭებმა დავალებებს თავი კარგად გაართვეს, თუმცა ეს არ არის მაქსიმუმი და უკეთეს შედეგს ველოდები. ტრავმების გამო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს ზურაბ მაჭავარიანმა და გაგა არაბულმა. ისინი გუნდს მომავალი კვირიდან შეუერთდებიან.*

**კახა შენგელია** („სამედიცინოს“ მწვრთნელი):

- მიუხედავად მარცხისა, მიმაჩნია, რომ დღეს ჩემმა გუნდმა უკეთესად ისპარეზა, ვიდრე პირველ ტურში „ქუთაისთან“. სამ მეოთხედში ვიბრძოდით, თუმცა საბოლოოდ ძალა არ გვეყო. „რუსთავს“ წლეულს შესანიშნავი გუნდი ჰყავს. რაც შეეხება „სამედიცინოს“, სამუშაო ბევრი გვაქვს, თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა და ვიმედოვნებ, რომ მატჩიდან მატჩამდე უკეთ შევთამაშდებით და უნივერსიტეტის გუნდებს შორის პირველ ადგილსაც დავიკავებთ. ვფიქრობ, ამ მიზნის მიღწევა რეალურია.



27.10. ბათუმი

| | I | II | III | IV | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 14 | 8 | 16 | 15 | 53 |
| დინამო | 17 | 18 | 15 | 19 | 69 |

| ბათუმი | ნთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემირიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მაისურაძე | 24 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 5 |
| რამიშვილი | 31 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 6 |
| ნანიტაშვილი | 35 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 16 |
| ელიაშვილი | 26 | 6 | 0 | 3 | 2 | 0 | 5 |
| სიგუა | 20 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ყველაშვილი | 19 | 6 | 0 | 1 | 2 | 1 | 10 |
| კეშელავა | 33 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 11 |
| ბაქურიძე | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კენჭოშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოკოზინაძე | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

| ბათუმი | ნთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | ნთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
| კარიმი | 35 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 26 |
| ლეჟავა | 29 | 3 | 1 | 3 | 0 | 1 | 4 |
| ჩიკვილაძე | 25 | 7 | 3 | 2 | 0 | 0 | 9 |
| ლილუაშვილი | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჩოჩია | 10 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ნინიაშვილი | 18 | 8 | 0 | 1 | 0 | 1 | 7 |
| კეიდია | 13 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 4 |
| ორმოცაძე | 13 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გელაზონია | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 |
| ოლუიჩი | 30 | 10 | 2 | 2 | 1 | 8 | 10 |
| კლეიმენი | 13 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე, გურამ მიქელაძე

### მილანი

„დინამო“ აღარ ხუმრობს. თუ შემადგენლობას გედავხედავთ, ამ გუნდს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტთა კოჰორტას ვერ მივაკუთვნებთ, მაგრამ შემადგენლობა იმდენად კარგადაა დაბალანსებული, ახალგაზრდული ჟინი და გამოცდილება ერთმანეთს ისე კარგად ერწყმის, რომ დღესვე შეგვიძლია ვთქვათ - ჩემპიონობის უპირველეს მაძიებლებსაც გაუჭირდებათ დინამოელთა წინააღმდეგობის დაძლევა. ლოგიკურია, რომ დილმელებმა ზღვისპირეთიდან ორი ქულა წამოიღეს. „ბათუმში“ ხომ კიდევ უფრო ახალგაზრდული შემადგენლობაა და თუ არ გაძლიერდა, მხოლოდ ორი-სამი „თანატოლი“ გუნდის წინააღმდეგ ექნება გამარჯვების შანსი.

აჭარლებს განსაკუთრებით ფარქვეშ გაუჭირდათ. მათ სტუმრებთან მოხსნებში 40:53 დათმეს. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა „დინამოს“ სერბი ლეგიონერის **მილან ოლუიჩის** დაცვის გარღვევა, რომელმაც ბურთი 10-ჯერ მოხსნა, ხოლო ბათუმელებს რვაჯერ დაუფარა. თუ იმასაც დავამატებთ, რომ მილანს 10 ქულა მოუგროვდა, შეგვიძლია დავწეროთ - სამმაგ დუბლამდე ორი დაფარება დააკლდა. 8 ბლოკ-შოტი მიმდინარე სუპერლიგის რეკორდია. აბსოლუტური რეკორდიც ოლუიჩის ანგარიშზეა. მან გასულ სეზონში 11 დაფარება გაიფორმა. მატჩის ბომბარდირი „დინამოს“ უკანახაზელი **ლამარ ქარიმი** გახდა, რომელმაც 26 ქულას მოუყარა თავი და ამ კომპონენტში საშუალო მაჩვენებლით სუპერლიგაში პირველია - 27.

| ად. გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 2 | 2 | 0 | 173/119 | 4 |
| 2. დინამო | 2 | 2 | 0 | 154/106 | 4 |
| 3. ქუთაისი | 1 | 1 | 0 | 87/49 | 2 |
| 4. შსს აკადემია | 1 | 1 | 0 | 92/65 | 2 |
| 5. ოლიმპი | 1 | 1 | 0 | 97/78 | 2 |
| 6. ბათუმი-რსუ | 2 | 0 | 2 | 118/161 | 2 |
| 7. სამედიცინო | 2 | 0 | 2 | 106/166 | 2 |
| 8. სოხუმი | 1 | 0 | 1 | 78/97 | 1 |
| 9. თსუ | 1 | 0 | 1 | 53/85 | 1 |
| 10. სტუ | 1 | 0 | 1 | 62/94 | 1 |
| 11. არმია | 0 | 0 | 0 | 0/0 | 0 |



# ქართველი უკრაინაში 20, 10, 5

ზედიზედ ორი ნაგების შემდეგ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია მოახერხა „ბუდიველნიკმა“, რომელმაც კიევში „დნიპროს“ სძლია. **გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელებმა პირველივე პერიოდში 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს (28:18), დარჩენილ დროში სტაბილურად ითამაშეს და 96:79 გაიმარჯვეს.

ქართველი პლეიმეიქერი სასტარტო ხუთეულში იყო და ნაყოფიერადაც იშრომა. მის ანგარიშზე 20 წუთში 10 ქულა, 5 შედეგიანი გადაცემა, 3 ჩაჭრა და 1 მოხსნაა. გიორგიმ 3-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა. კიეველებს **ლეო ლაიონსი** გაუძლვა, რომლის ანგარიშზე 20 ქულაა.

კვირას, 28 ოქტომბერს „ბუდიველნიკი“ „დნიპრო-აზოტს“ მიიღებს.

● ქართველები ევროლიგაზე

# მანუს ბომბა

## სანიკიძემ 13-ჯერ მოხსნა, კვანძი ვერ გახსნა

**„მანუჩარ მარკოიშვილის** შორეულმა „ბომბამ“ რუსული „ხიმკის“ ყოველგვარი იმედი დაასამარა, „კანტუ“ 61:48 დაწინაურდა, რაც უკვე გამარჯვებას ნიშნავდა“, - ვკითხულობთ იტალიურ გაზეთ „დეილიბასკეტში“. სამქულიანამდე ორწუთიან მონაკვეთში მანუმ ორჯერ ჩაჭრა, ერთი შედეგიანი გადაცემა შეასრულა, მანამდეც თანაგუნდელებთან ერთად მტკიცედ იდგა დაცვაში (თუმცა შეტევაში რამდენიმე ტყორცნა გაუცუდდა) და რუს კომენტატორს ათქმევინა: ყველა-ყველას აზღვევს, ასეთი შემჭიდროვებული დაცვის წინააღმდეგ ხიმკელებს შანსი არ აქვთო.

მოკლედ, „კანტუმ“ ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე წლეულს პირველი გამარჯვება მოიპოვა - 67:54. მანუჩარმა 29 წუთში 6 ქულა (6-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა, და 4 პასი მოაგროვა.

■ ■ ■

იმდენად საოცარი სანახავი გამოდგა „უნიკახა“-“მონტეპასკის“ დაპირისპირება, რომ ფორტუნამ მატჩის ძირითად დროში დასრულება არ ინება. არადა, ვიქტორს ბოლო წამებზე მეორე ჯარიმაც რომ ჩაეგდო, იტალიელები შინ ტრიუმფით დაბრუნდებოდნენ. ასეა თუ ისე, ნაგება საკუთარ თავს უნდა დააბრალონ - მეოთხე პერიოდში 14 ქულის სხვაობით იგებდნენ და, როგორც გითხარით, მეტოქეს გათანაბრების შანსი მისცეს.

ოვერტაიმში გადამწყვეტი მალაგელი **ერლ კალუეის** ორქულიანი აღმოჩნდა, რომლის შემდეგ სიენელებს 17 წამი ჰქონდათ, თუმცა ბურთი ვერ ჩააგდეს და 89:91 დამარცხდნენ.

ვიქტორ სანიკიძე „მონტეპასკის“ ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო. ამაში მისი მონაგარიც დაგარწმუნებთ: 27 წუთი, 8 ქულა (5-დან 1 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 13 მოხსნა და 1 პასი.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



მანუჩარ მარკოიშვილი

ლეგიონერები

# ექვსიდან ხუთი ისევ ჩვენია



მარჯვნივ მამუკა გორგოძე

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ევროთასების ორი ტურით გამოწვეული შესვენების შემდეგ, ჩემპიონატი მე-9 ტურის მატჩებით განახლდება. შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის სატურნირო ცხრილში, საპლეიოფო ექვსეულში ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდია. ესენია: „ტულონი", „ტულუზი", „კლემონი", „მონპელიე" და „კასტრი".**

ტურის პირველი შეხვედრა კლერმონში გაიმართება, სადაც **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** ადგილობრივი გუნდი ბასკურ „ბიარიცს" დაუპირისპირდება. „ვულკანებმა" „ჰაინეკენის თასზე" შესანიშნავად იასპარეზეს და ორი თამაშიდან ორივე დამაჯერებლად მოიგეს. საფრანგეთის ჩემპიონატში კი 28 ქულით მე-3 ადგილზე არიან.

„ბიარიცმა" ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ მერე, გზადაგზა ტრავმების გამო ლიდერები **დიმიტრი იაშვილი** და **იმალონ არინორდოკი** დაკარგა. გუნდს კრიზისი დაეწყო და თამაშს თამაშზე აგებდა. ამის გამო ბასკებს ახლა 19 ქულით სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილი უჭირავთ.

ზირაქაშვილი ამ მატჩისთვის სათადარიგოთა შორისაა, კოლელიშვილი განაცხადში არ არის.

გათამაშების ლიდერის **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას** „ტულონი", რომელსაც 32 ქულა დაუგროვდა, შინ ეთამაშება ბასკეთის კიდევ ერთ გუნდს, აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ბაიონს".

ჩვენებურთა ეს გუნდი წლეულს ბრწყინვალედ ასპარეზობს და თანაბრად აცხადებს პრეტენზიას, როგორც საფრანგეთის ჩემპიონატის, ისე „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში. სავარაუდოდ, არასტაბილურად მოასპარეზე „ბაიონთან" ტულონელებს პრობლემა არ უნდა შეექმნათ და ლიდერობის გამყარება უნდა შეძლონ.

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იქნება, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ არიან.

„ტულონს" ოთხი ქულით ჩამორჩება და მე-2 ადგილზეა **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი". ფრანგული რაგბის გრანდი სტუმრად ეთამაშება კიდევ ერთ დიდ გუნდს, **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს". პარიზელები კრიზისიდან თავის დაღწევას ვერაფრით ახერხებენ, თუმცა „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში შესანიშნავად იასპარეზეს და ორი თამაშიდან ორივე მოიგეს. ანალოგიური შედეგი აჩვენა „ტულუზმაც", თუმცა საფანგეთის ჩემპიონები რანგით უფრო მაღალი დონის ტურნირში, „აჰაინეკენის თასის" გათამაშებაში ასპარეზობენ, სადაც მეტოქეებიც უფრო ძლიერები ჰყავთ, ვიდრე პარიზულ გუნდს.

და კიდევ, „ტულუზი" საკუთარ მოედანზე არ აგებს. სამწუხაროდ, ქართველი მორაგბეები ამ შეხვედრაში არ ითამაშებენ. კაკოვინს და ბრეგვაძეს ისევ ტრავმები აწუხებთ. ჟვანიამ კი ორი მატჩი ითამაშა „ემლინ ჩელენჯ კაპზე" და დასვენების საშუალება მისცეს.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელიც 23 ქულით მე-4 ადგილზეა, შინ ეთამაშება „გრენობლს". „ალპელები" ჩვენებურთა ამ გუნდს 22 ქულით კვალში უდგას. აღსანიშნავია, რომ „გრენობლი" პირველი დივიზიონის დებიუტანტია და მისი ასე კარგი ასპარეზობა ბევრისთვის მოულოდნელი გამოდგა.

„მონპელიე" შინ იოლად არავის არაფერს უთმობს, მეტიც, ის ფავორიტია. მით უფრო, რომ ეროვნული ნაკრებიდან არგენტინელებიც დაუბრუნდნენ და შერკინების ქართველი ბურჯი, მიხეილ ნარიაშვილიც გამოჯანმრთელდა. სამივე ქართველი მორაგბე მატჩისთვის გაფართოებულ, 24-კაციან შემადგენლობაში მოხვდა.

საპლეიოფო ექვსეულს ასრულებს ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრი", რომელსაც 20 ქულა დაუგროვდა. კასტრელები სტუმრად ეთამაშებიან მე-12 ადგილზე მყოფ „აჟენს". ჩვენებურთა გუნდი სტუმრად გაცილებით უარესად თამაშობს, ვიდრე შინ, მაგრამ ამჯერად თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა შეკრიბა და გამორიცხული არ არის მასპინძლები განზილებულნი დატოვონ.

ფეიქრიშვილი გამოჯანმრთელდა და ძირითად შემადგენლობაშია.

**I დივიზიონი**

**IX ტური**

**კლერმონი-ბიარიცი, სტად ფრანსე-ტულუზი, მონ დე მარსანი-ბორდო, აჟენი-კასტრი, ტულონი-ბაიონი, მონპელიე-გრენობლი, პერპინიანი-მეტრო რასინგი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 32 ქულა, 2. ტულუზი - 28, 3. კლერმონი - 28, 4. მონპელიე - 23, 5. გრენობლი - 22, 6. კასტრი - 20, 7. ბიარიცი - 19, 8. მეტრო რასინგი - 19, 9. პერპინიანი - 16, 10. სტად ფრანსე - 15, 11. ბაიონი - 15, 12. აჟენი - 14, 13. ბორდო - 11, 14. მონ დე მარსანი - 1.

■ ■ ■

მორიგი, მეშვიდე ტურის შეხვედრები გაიმართება „კელტთა ლიგაში". შეგახსენებთ, რომ აქ მოასპარეზე **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი" 12 ქულით მე-9 ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ეს 12 ქულა ჩვენებურის გუნდმა საწყის ოთხ ტურში დააგროვა. მერე კი ზედიზედ ორი თამაში წააგო. ასევე წარუმატებლად იასპარეზა „ედინბურგმა" „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაშიც, სადაც ორივე შეხვედრაში მშრალი ანგარიშით დამარცხდა.

მე-7 ტურში „ედინბურგი" შინ დაუპირისპირდება უელსურ „ჰლანეჰლის", რომელიც 20 ქულით მე-2 ადგილზეა. ბასილაია ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს.

**კელტთა ლიგა**

**VII ტური**

**ნიუპორტი-ალსტერი, ედინბურგი-ჰლანეჰლი, მანსტერი-ზებრე, ოსფრიზი-ქონოთი, ბენეტონი-გლაზგო, ლენსტერი-კარდიფი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 21 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 20, 3. გლაზგო - 18, 4. ლენსტერი - 17, 5. მანსტერი - 14, 6. ოსფრიზი - 14, 7. კარდიფი - 14, 8. ბენეტონი - 13, 9. ედინბირგი - 12, 10. ქონოთი - 10, 11. ნიუპორტი - 9, 12. ზებრე - 1.



უკანა პლანზე ანტონ ფეიქრიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურთით ბექა ყურაშვილი

# აიას ყურაშვილის პეთ თრიკმა მოაგებინა

**ყოჩები-აია 6:23**

ყოჩები (15-9) კვარაცხელია, აბრამალაძე (ხარშილაძე 57), გარუჩავა, ქუმაშვილი, ხულელიშვილი, გაბუნია, ჯაფარიძე (სიორიძე 59). (1-8) ესაკია (ჭილაძე 57), ცუცქირიძე (სამხარაშვილი 45), შენგელია, ბელაშვილი, ტვილდიანი (კბაური 65), წიკლაური, ცაგარეიშვილი (გუგეშაშვილი 70), მალალურაძე.

2ს: გაბუნია.

აია (15-9) ხამაშურიძე, აბრამაძე (ზიბზიბაძე 23, კუხიანიძე 56), კვერნაძე, ძნელაძე, გოშაძე, სინაურიძე, როხვაძე (გოგია 58). (1-8) რატიშვილი, მატკავა, ულუმბეგაშვილი (წაქაძე 56), ხელაძე (ჩიტეიშვილი 69), შალამბერიძე, დგებუაძე (ჯიმშიტაშვილი 64), ყურაშვილი, თხელიძე.

3ლ: ყურაშვილი (3). 2ს: სინაურიძე. გ: ხამაშურიძე.

მსაჯი: უჩა ნარიმანიძე

საქართველოს ჩემპიონატის მეცხრე ტური „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" გათამაშების მესამეადგილოსნის ქუთაისის „აიასა" და ერთ-ერთი აუტსაიდერის „ყოჩების" დაპირისპირებით გაიხსნა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმართა გამარჯვებით 23:6 დასრულდა.

თბილისელმა მორაგბეებმა მეტოქეს ღირსეული წინააალმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს. მეტიც, საწყისი ათი წუთის განმავლობაში „აია" მისსავე 22-მეტრიან ზონაში ჩაკეტეს და საკმაოდ სახიფათოდაც უტევდნენ. სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს და მასპინძლებს ლელოსთან მიახლოების საშუალება არ მისცეს.

თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ანგარიშის გახსნა მხოლოდ მე-20 წუთზე მოხერხდა. ქუთაისელთა შეტევა მარჯვენა ფრთაზე განვითარდა. „აიას" მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** ბურთი მეტოქის 22-მეტრიან ზონაში ფეხით ორიგინალურად გადაკიდა, ისე, რომ „ყოჩების" დაცვა დაიბნა. ქუთათურთა სავალალოდ, ბურთს ვერც გარემარბმა **ბაკურ გოშაძემ** მიუსწრო. ბოლოს „აიამ" ხუთმეტრიან დრეფანში აუტი ააგდო, მოლი შეკრა, რომელიც რაკში გადავიდა. მორკინალთა ორი დარტყმის შემდეგ ბურთი ლელოში **ბექა ყურაშვილმა** შეიტანა. ხამაშურიძემ გარდასახვა გაიტანა - 7:0.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისელთა მესამეხაზელმა ბექა ყურაშვილმა, რომელიც მშობლიურ გუნდში რუსეთიდან წლეულს მობრუნდა, კიდევ ორჯერ იყოჩალა. თუმცა ეს მეორე ტაიმში იყო. პირველ ნახევარში კი „ყოჩებმა" საჯარიმოთი ანგარიში ოთხ ქულამდე შეამცირეს. მგეზავმა **გიგი გაბუნიამ** 49 მეტრიდან გაიტანა - 3:7. ტაიმის დასრულებამდე ხამაშურიძეს თავისიანების დაწინაურება კიდევ ორჯერ შეეძლო, მაგრამ ორჯერვე საჯარიმოდან ვერ გაიტანა.

შესვენების შემდეგ „აია" საგრძნობლად გააქტიურდა და სრულ სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს. „აიას" მგეზავის **გაგა სინაურიძის** ზუსტ დარტყმას, ისევ გაბუნიამ უპასუხა - 6:10.

„აიამ" მეტოქის წინაალმდეგობა საბოლოოდ მატჩის ბოლო 20 წუთში გატეხა. 61-ე წუთზე ქუთაისელთა სასარგებლოდ შერკინება მარჯვენა ფრთზე „ყოჩების" ჩათვლის მოედნიდან ათ მეტრში დაინიშნა. რასაც რაკი მოჰყვა მორკინალების მოკლე დარტყმის შემდეგ. ცხრა ნომერმა **გიორგი როხვაძემ** იქიდან გამოტანილი ბურთი მესამეხაზელ ბექა ყურაშვილს მოკლე ფრთაზე გაუტანა, მისი შეჩერება მასპინძლებმა ვერ შეძლეს. სინაურიძეს გარდასახვა გაუცუდდა - 15:6. თუმცა ხუთ წუთში მანვე საჯარიმოდან ზუსტად დაარტყა და „აია" 12 ქულით დააწინაურა - 18:6.

პრემიალური ქულის მოსაპოვებლად ქუთათურებს კიდევ ერთი ლელო სჭირდებოდათ. თამაშის დასრულებამდე ორი წუთი აკლდა, როცა ხუთმეტრიანი დერეფნიდან „აიამ" მოლი შეკრა, დაიძრა და ყველასთვის მოულოდნელად მას ყურაშვილი მოსწყდა. ლელო ისევ სინაურიძემ ვერ გარდასახა - 23:6.

მიუხედავად ამისა, „აიამ" სატურნირო ცხრილში ხუთი ქულა მიითვალა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მგ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 8 | 7 | 0 | 1 | +119 | 33 |
| 2. არმია | 8 | 7 | 0 | 1 | +96 | 32 |
| 3. აია | 9 | 6 | 1 | 2 | +120 | 30 |
| 4. არმაზი | 8 | 5 | 0 | 3 | +20 | 21 |
| 5. ჯიქები | 8 | 4 | 0 | 4 | +13 | 20 |
| 6. ლოკომოტივი | 8 | 3 | 1 | 4 | +17 | 18 |
| 7. ბათუმი | 7 | 3 | 0 | 4 | -22 | 14 |
| 8. ხარები | 7 | 2 | 0 | 5 | -77 | 9 |
| 9. ყოჩები | 9 | 1 | 0 | 8 | -92 | 7 |
| 10. აკადემია | 8 | 1 | 0 | 7 | -194 | 5 |

**დღეს**

**ილიაური ჯიქი-არმაზი, არმია-ბათუმი, აკადემია-ლოკომოტივი, ხარები-ლელო.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## საფეხბურთო ბურთების ევოლუცია

*დასაწყისი იხ. „ლელო“ N237*



16. საფრანგეთი, 1998 წელი. საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს ბურთი „Tricolor“-ი მასპინძლობდა, ეს გახლდათ პირველი ფერადი ბურთი. ესეც ადიდასის დამზადებულია.



17. სამხრეთ კორეა / იაპონია, 2002 წელი. დიზაინი უკვე იცვლება და ახლა მორიგი შედევრი ბურთი „Fevernova“.



18. გერმანია, 2006 წელი. 2006 წელს, იტალიის ნაკრებმა მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, მათ იმ დროისათვის საუკეთესო ფორმაში მყოფი საფრანგეთის ეროვნული ნაკრები დაამარცხეს. ბურთი „Timgayst“-ი და მსოფლიო ფეხბურთი ლეგენდარულ ზინედინ ზიდანს დაემშვიდობა.



19. სამხრეთ აფრიკა, 2010 წელი. ძალზედ უცნაური ბურთი, რომელსაც დიდი კრიტიკა მოჰყვა. ეგრეთ წოდებული „ჯაბულანი“, სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთის ეროვნულმა ნაკრებმა მოიგო.

*www.narin.ge*

*დასასრული.*

### თარიღი

**27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი**

**27. 1938 წ.** ინგლისის ფეხბურთი 75 წლისა გახდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გამართულ მატჩში იუბილარმა 3:0 მოუგო ევროპის ნაკრებს.

**27. 1957 წ.** დაიბადა **გლენ ჰოდლი** — ფეხბურთელი, მწვრთნელი (ინგლისი).

**27. 1968 წ.** მეხიკოში დაიხურა ზაფხულის მე-19 ოლიმპიური თამაშები.

**28. 1933 წ.** დაიბადა **გარინჩა** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**29. 1949 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ონიშჩენკო** — ფეხბურთი (უკრაინა).

**29. 1960 წ.** კარიერაში პირველი ორთაბრძოლა ჩაატარა პროფესიულ კრივში **კასიუს კლეიმ** (მუჰამედ ალი).

**30. 1960 წ.** დაიბადა **დიეგო მარადონა** — ფეხბურთი (არგენტინა).

**31. 1908 წ.** ლონდონში დაიხურა ზაფხულის მეოთხე ოლიმპიური თამაშები.

**31. 1921 წ.** აშშ-ში დაარსდა ქალ სპორტსმენთა საერთაშორისო ასოციაცია.

**31. 1964 წ.** დაიბადა **მარკო ვან ბასტენი** — ფეხბურთი (ჰოლანდია).

**01. IX. 1892 წ.** დაიბადა **ალექსანდრ ალიოხინი** — ჭადრაკი (რუსეთი, საფრანგეთი).

### ვიქტორინა

**1. დაასახელეთ ჩოგბურთელი, რომელმაც სარეკორდო მიღწევით — შვიდჯერ მოიგო „როლან გაროსი“...**

ა — ნოვაკ ჯოკოვიჩი

ბ — რაფაელ ნადალი

გ — ბიორნ ბორგი

**2. რას ნიშნავს ამერიკულად „მედია დღე“?**

ა — პრესკონფერენციას

ბ — ჟურნალისტთა პროფესიულ დღეს

გ — ღია ვარჯიშს

**3. დაასახელეთ მძიმეწონოსანი ლეგენდარული მოკრივე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რომელმაც პატრიოტული მოსაზრებით უარი თქვა პროფესიონალებში გადასვლაზე.**

ა — ლასლო პაპი

ბ — თეოფილო სტივენსონი

გ — ფელიქს სავონი

**4. დაასახელეთ ფეხბურთელი, რომელმაც ზედიზედ 6 კლასიკოში გაიტანა გოლი (2012 წლის მონაცემებით).**

ა — ლიონელ მესი

ბ — ვალტერ სამუელი

გ — კრიშტიანო რონალდო

**5. რომელ წელს დაადგინა გოლფი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიურ სახეობად?**

ა — 2009 წელს

ბ — 2010 წელს

გ — 2012 წელს

პასუხები: 1 — ბ, 2 — გ, 3 — ბ, 4 — გ, 5 — ა.


**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.


### ოლიმპიური მედლები




სიდნეი, 2000



### პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

**პირველი** ცხენოსნობაში ქალთაგან ოლიმპიური ჩემპიონი გახდა გერმანელი **ლოზოლეტე ლიზენჰოფი** 1968 წელს.

* * *

**პირველმა** კრივში მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ოთხ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოიპოვა **ტომას ჰარნსმა.**

* * *

**პირველად** ამერიკულ პროფესიულ საფეხბურთო ლიგაში „ყველა ვარსკვლავის“ ნაკრები შეადგინეს 1968 წელს.

### არა არს რა დაფარული

## მუღლო, შენ ...

გაიხსნა აფიორა რუსეთის კამჩატკაზე. სამართალდამცავებმა შეიპყრეს მხარის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი ვიქტორ კრავჩენკო. თურმე შარშან კრავჩენკომ ერთ-ერთი ინდსაქმისანს მონაწილეობა მიიღებინა ტენდერში, სადაც წყდებოდა საკითხი, თუ ვის უნდა მოემარაგებინა კამჩატკა სპორტინვენტარით. ქრთამის საფასურად საქმოსანმა თავისი დაბალხარისხოვანი პროდუქცია საეჭვოდ ჩუქნების შეაჩეჩა (კონკურენტების „დამარცხების“ შემდეგ, რასაკვირველია), თანაც უაღრესად მაღალ ფასებში. მხარემ 6 900 000 რუბლის ზარალი ნახა, კრავჩენკო კი პეტროპავლოვსკ-კამჩატსკის აეროპორტში გასკვნეს დოლარებითა და საკრედიტო ბარათებით ჯიბეში.

საინტერესოა, კამჩატკიდან მოშორებითაც თუ ხდება ამგვარი რამ?






### საინტერესო ამბების აბგიდან

**თანამედროვე სპორტულ სამყაროში ყველაზე ცრუმორწმუნეებად ჩოგბურთელები ითვლებიან. ამ პროფესიის წარმომადგენლები ამ მხრივ განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევიან.**

გასახდელებში ჩოგბურთელთა კარადები, ანუ ლოკერები საკულტო ობიექტებს წარმოადგენენ. ჩემპიონებს ურჩევნიათ არ შეცვალონ თავიანთი კარადები. უიმბლდონზე, როლან გაროსზე და აშშ-ის ღია პირველობაზე საკუთარი ლოკერები გააჩნიათ ენდი როდიკს, როჯერ ფედერერს და მარია შარაპოვას. ლოკერებს შეუძლიათ გამარჯვების ენერგიის გადაცემაც. ორი წლის წინ, ხორვატი ივან ლუბიჩიჩი მესამე წრის შეხვედრისათვის ემზადებოდა. მან საკუთარი კარადა გაალო და იქ, მისდა გასაოცრად, სრულიად შიშველი კოლეგა, მიხაელ ლოდრა აღმოაჩინა. ბოლო დროს იმდენ მატჩებს იგებ, რომ შენი ენერგიით დამუხტვა მინდოდა, განუცხადა კარადის გაოგნებულ მეპატრონეს ფრანგმა ჩოგბურთელმა. ჩოგბურთელთა რიტუალები მრავალფეროვანია მატჩის მოგების შემდეგაც. რუსი მიხაილ იუჟნი თავზე ჩოგანს იდებს და ამავდროულად, სამხედრო ყაიდაზე ემშვიდობება მაყურებელს. ძმები ბრაიანები მატჩის მოგების შემდეგ ნახტომს აკეთებენ და ჰაერში ერთმანეთს მკერდით ეჯახებიან. სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი კი მაყურებლებში ისვრის ბურთს. ჩოგბურთის ისტორიას შემორჩა ილიე ნასტასეს მიერ მატჩის მოგებისათვის ერთხელ გამოყენებული ოინი. რუმინელმა კარგად გამოიყენა იტალიელი ადრიანო პანატას ცრუმორწმუნეობა. ნასტასემ მოთელვის დროს თავისი სპორტული ჩანთა გახსნა და იქიდან შავი კატა ამოუშვა. შიშისგან გაგიჟებული ცხოველი პანატას მიმართულებით გაიქცა, ჩოგბურთელი კი იმდენად დაიბნა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში გონს ვერ მოვიდა და შეხვედრა პირწმინდად წააგო.

*www.for.ge*

*დასასრული. დასაწყისი იხ. ლელო N249*

### სერიიდან: უცნაური სტადიონები

**სტადიონი, რომელსაც თქვენ სურათზე ხედავთ, განსაკუთრებულია თავისი უცნაურობით და მომხიბვლელობით. მთები რომელიც არქიტექტორებმა ლითონის ჩარჩოთი შეკრეს, შესანიშნავ ხედს მატებს სტადიონს, და რა თქმა უნდა, ლითონის ჩარჩო უზრუნველყოფს გარკვეულ დაცვას მთის მერყეობისას. ბუნება დაცული უნდა იყოს.**



უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA

# სტერნი: ნახევარი წელი პენსიამდე

## სტატისტიკურად ლეიკერსი ფინალში ვერ გავა



დევიდ სტერნი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" დაასრულა წინასასეზონო მატჩები. შედეგი კატასტროფულია: გუნდმა, რომელმაც ყველაზე მეტად იზრუნა შემადგენლობის გაძლიერებაზე, დამდეგი სეზონის წინ რვიდან რვა მატჩი წააგო.

გუშინ, კალიფორნიული გრანდი კიდევ ერთხელ შეხვდა „საკრამენტოს". როგორც იცით, ამ მატჩში „ლეიკერსს" ტრავმირებული **კობი ბრაიანტი** აკლდა, რომელმაც, შესაძლოა, რეგულარული ჩემპიონატის სტარტი გამოტოვოს. სამაგიეროდ, მოედანზე იყო **დუაიტ ჰოვარდი**, მაგრამ მას მეტად მოკრძალებული მონაგარი ჰქონდა – 9 ქულა და 8 მოხსნა. ერთადერთი, ვინც მასპინძელთა რიგებში ათქულიანი ზღვარი გადალახა, **დევინ ებენქსი** იყო – მის ანგარიშზე 14 ქულა მოდის.

„ლეიკერსმა" ჯამში 21 შეცდომა დაუშვა და ამის ბრალი იყო, რომ „საკრამენტო" მატჩის მსვლელობისას 28 ქულით დაწინაურდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოჰკიდა სერიოზულად საქმეს ხელი ფავორიტმა, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ 12 ქულამდე შეამცირა სხვაობა. მეტის საშუალება „ლეიკერსს" მეტოქემ არ მისცა, რომლის რიგებში 20-20 ქულით საუკეთესოები იყვნენ **ტომასი** და **კაზინსი**. ამ უკანასკნელის ანგარიშზე 13 მოხსნაც იყო.

სეზონისთვის მზადება „საკრამენტომაც" დაასრულა, თანაც ღირსეული შედეგით: 5 მოგება და 2 წაგება.

ცნობისთვის, NBA-ის ისტორიაში ფინალურ სერიამდე არასოდეს მიუღწევია გუნდს, რომელმაც სეზონის წინ, საგამოფენო შეხვედრებში ვერც ერთ გამარჯვებას ვერ მიაღწია.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2014 წლის თებერვალში დატოვებს თავის პოსტს, რომელიც, აგერ უკვე 30 წელია უკავია.

სტერნის ნაცვლად, მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგას **ადამ სილვერი** ჩაიბარებს, რომელიც ამჟამად სტერნის თანაშემწე გახლავთ. ეს ინფორმაცია NBA-ის გუნდების მფლობელთა საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა.

70 წლის სტერნი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას 1984 წლის პირველი თებერვლიდან ხელმძღვანელობს. ასე დიდხანს NBA-ის კომისრის თანამდებობაზე არავის უმუშავია.

■ ■ ■

ეროვნული კალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი **ტრეისი მაკგრეიდი** ჩინეთში ჩავიდა, სადაც იქაური ლიგის ბინადარ „ცინდაოში" გააგრძელებს კარიერას. ტი-მაკს ჩინელებმა გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რამდენიმე ასეულობით ფანი ჭყლეტაში მოხვდა, მაგრამ, საბედნიეროდ, სასიკვდილო შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

**იუტა–პორტლენდი 97:91**

22:23, 23:24, 26:22, 26:22

ი: კანტერი (21+12 მოხსნა), ფეივორსი (21+6 მოხსნა), ჯეფერსონი (15+9 მოხსნა), მილსეპი (10+5 ჩაჭრა), ჰეივორდი (10).

პ: მეტიუზი (24), ოლდრიჯი (19+11 მოხსნა), ბატუმი (17+10 მოხსნა), ლილარდი (12+5 პასი), ჰიქსონი (11+6 მოხსნა).

**შარლოტი–მილუოკი 90:100**

22:20, 33:23, 24:29, 11:28

შ: უოკერი (20+7 პასი), ჰენდერსონი (13), მულენსი (11+5 მოხსნა), გორდონი (11+5 პასი).

მ: ჰარისი (18+5 მოხსნა), დანლივი (17+5 მოხსნა), ლემბი (12), უდო (11+7 მოხსნა).

**ლეიკერსი–საკრამენტო 82:94**

18:30, 21:10, 18:34, 25:20

ლ: იბენქსი (14+7 მოხსნა).

ს: ტომასი (20), კაზინსი (20+13 მოხსნა), ევანსი (14+5 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), ტომპსონი (12+5 მოხსნა), ტორნტონი (10).

**დენვერი–კლიპერსი 94:106**

25:28, 30:33, 20:32, 19:13

დ: ბრიუერი (15), მაკგი (13+8 მოხსნა+4 დაფარება), კუფოსი (12+10 მოხსნა), იგუოდალა (11+7 პასი), გალინარი (10) ლოუსონი (10+5 პასი).

კ: გრიფინი (25+11 მოხსნა), ბატლერი (16), კროუფორდი (14), ბლედსოუ (11), პოლი (10+12 პასი).

ჰოკეი

# სრული სეზონი ვერ გადაარჩინეს

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ლოკაუტთან დაკავშირებით სიტუაცია უკეთესობისკენ არ იცვლება. შეგახსენებთ, რომ გუშინ, NHL-ში ბოლო დღე იყო, როცა დაპირისპირებულ მხარეებს კონსენსუსამდე მისვლა და სრული სეზონის გადარჩენა შეეძლოთ, მაგრამ ლიგა და პროფკავშირები არც კი შეხვედრიან ერთმანეთს.

ამ მიზეზით, ლიგის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა უკან წაეღო თავისი ბოლო წინადადება, რომელიც საერთო შემოსავლის თანაბრად გაყოფას ითვალისწინებდა.

*„დაახლოებით ერთი კვირის წინ ვამბობდით, რომ ეს წინადადება 26 ოქტომბრამდე იქნებოდა ძალაში. ახლა ის უკან მიგვაქვს და მოგვიწევს საერთო სურათის შეფასება.*

*პრობლემა იმაშია, რომ ეს წინადადება მოფიქრებული იყო 82-მატჩიანი სეზონისთვის. ახლა უნდა გავაანალიზოთ, როგორი ჩემპიონატის ჩატარება მოხერხდება და აქედან გამომდინარე, რა წინადადება უნდა შევთავაზოთ ასეთ პირობებში"*, - ამბობს NHL-ის ვიცე-პრეზიდენტი **ბილ დეილი**.

*„ეს სტანდარტული ტაქტიკაა, ასე რომ, არაფერია გასაკვირი. გასულ წელს NBA-ში მოვლენები სწორედ ამგვარი სცენარით ვითარდებოდა"*, - აღნიშნა პროფკავშირების შეფმა **დონ ფერმა**.

გუშინ, პროფკავშირი მზად იყო ლიგის წარმომადგენლებთან შესახვედრად, მაგრამ NHL-ს ზუსტად განსაზღვრული დღის წესრიგის მოსმენა სურდა – მათი აზრით, შეხვედრაზე უნდა განხილულიყო მათი წინადადება ან პროფკავშირს უნდა წარმოედგინა პრობლემის მოგვარების ახალი ვარიანტი. ჰოკეისტებმა არ მოისურვეს გეგმის შედგენა, ამიტომაც NHL არ წავიდა დიალოგზე.

დღეს ჰოკეის ეროვნული ლიგის შეფობა ნოემბრის ყველა მატჩს გააუქმებს.



გერი ბეტმენი

ჩოგბურთი

### პრიზი ვიქტორიას

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ვიქტორია აზარენკამ** სტამბოლში მიიღო ქალ ჩოგბურთელთა ტურის (WTA) პრიზი - Diamond ACES Award. ეს ჯილდო ბელარუსმა 2012 წელს, ქალთა ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვისა და WTA-ის პრომოაქციებში აქტიური მონაწილეობისთვის მიიღო.

*„ძალიან სასიამოვნოა ამ პრიზის მიღება და WTA-ის მხრიდან აღიარება. ამას არ ველოდი და მოხარული ვარ, თუ ადამიანებს სიხარული მივანიჭე"*, - განაცხადა WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე აზარენკამ.

Diamond ACES Award 1995 წელს დაარსდა და ამ პრიზის მფლობელები იყვნენ: **არანჩა სანჩეს-ვიკარიო, გაბრიელა საბატინი, ამანდა კიოტცერი, ლინდსი დევენპორტი, მარტინა ჰინგისი, ანასტასია მისკინა, სვეტლანა კუზნეცოვა, ელენა იანკოვიჩი, ანა ივანოვიჩი, ელენა დემენტიევა, სამანტა სტოსური** და **კაროლინ ვოზნიაცკი**.

### ფედერერს გრანტი მისცეს

მამაკაცთა ჩოგბურთის ლიდერმა **როჯერ ფედერერმა** ბაზელში საშინაო ტურნირის მსვლელობისას ATP-გან მიიღო გრანტი 10 ათასი ევროს ოდენობით. ეს თანხა შვეიცარიელი ჩოგბურთელის საქველმოქმედო ფონდს ეკუთვნის.

*„ჩვენთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ნებისმიერი შემოწირულობა მნიშვნელოვანია, ეს კი დიდი თანხაა, ასე რომ, მადლობას ვუხდით ასოციაციას.*

*ჩვენს ფონდში ამ ტურნირის წინ სხდომა გაიმართა და რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ. ამის შესახებ ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით მეტი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ"*, - ამბობს ფედერერი ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

### დელ პოტროც ლონდონში მიდის

მამაკაცთა წლის შემაჯამებელი ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე გახდა არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**. მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო ლონდონში გამოსვლაზე **რაფაელ ნადალმა** უარი განაცხადა, დელ პოტრო ავტომატურად გახდა პროფესიული ტურის ფინალის რიგით მეექვსე მონაწილე. არგენტინელი შეუერთდა **როჯერ ფედერერს, ნოვაკ ჯოკოვიჩს, ენდი მიურეის, დავიდ ფერერსა** და **ტომაშ ბერდიხს**, რომლებმაც უფრო ადრე გაინაღდეს ლონდონში თამაში.

24 წლის ხუან მარტინი მესამედ ითამაშებს შემაჯამებელ ტურნირში. შეგახსენებთ, რომ 2009 წელს, არგენტინელმა ფინალამდე მიაღწია და იქ **ნიკოლაი დავიდენკოსთან** წააგო. წელს დელ პოტრომ სამი ტურნირი მოიგო – მარსელი, ეშტორილი და ვენა.

ახლა, წლის შემაჯამებელ ტურნირზე ვაკანტურია ორი საგზური.

### ამერიკაში ლეგენდა გარდაიცვალა

გუშინ, ტეხასის შტატში 94 წლის ასაკში გარდაიცვალა წარსულში სახელოვანი ამერიკელი ჩოგბურთელი **მარგარეტ ოსბორნ-დიუპონი**, - იტყობინება WTA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

ოსბორნ-დიუპონი – „დიდი სლემის" ტურნირების 34-გზის გამარჯვებულია, მათ შორის ექვსჯერ მან ერთეულთა თანრიგში იმარჯვა (როლან გაროსი – 1946, 1949, უიმბლდონი – 1947, აშშ-ის ღია პირველობა – 1948-50).

1967 წელს, ოსბორნ-დიუპონი ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს. ის რეკორდსმენია ამერიკის ღია პირველობაზე მოპოვებული ტიტულების რაოდენობით (25).

WTA-ის ჩემპიონატი

# აზარენკას მხოლოდ მოგება უნდა

სტამბოლში, წლის შემაჯამებელ ტურნირზე დასასრულს უახლოვდება ჯგუფური ეტაპი. თეთრ ჯგუფში ჩასატარებელი დარჩა ერთი შეხვედრა, რომელიც გამოავლენს მეორე ნახევარფინალისტს.

სამიდან სამი წაგებით დაასრულა ჯგუფური ეტაპი გერმანელმა **ანჟელიკ კერბერმა. სერენა უილიამსთან** და **ვიქტორია აზარენკასთან** დაძაბული ბრძოლების შემდეგ, კერბერმა ველარ მოასწრო ძალების აღდგენა ჩინელი **ნა ლის** წინააღმდეგ და თითქმის უშანსოდ დამარცხდა.

ორივე ჩოგბურთელი ძალიან ბევრს სცოდავდა საკუთარი მოწოდების დროს. ნა ლიმ ერთბაშად ექვსი ბრეიკის გაკეთება მოასწრო, რაც მის მიერ მოგებული გეიმების ზუსტად ნახევარი იყო, კერბერმა კი ოთხჯერ აილო მეტოქის მოწოდება, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მოგებისთვის.

6:4, 6:3 - ასეთი ანგარიშით მოიგო მატჩი ნა ლიმ და კერბერთან ურთიერთშეხვედრებში კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა - 6:1. რაც მთავარია, ამ მოგებით ჩინელმა დაიტოვა ნახევარფინალში გასვლის შანსი.

■ ■ ■

თეთრ ჯგუფში გაიმართა მთლიანად პირველი ეტაპის ცენტრალური მატჩი: სერენა უილიამსი-ვიქტორია აზარენკა.

უილიამსისთვის ეს იყო სამ დღეში მესამე შეხვედრა, მაგრამ ამას ამერიკელის ფიზიკურ მდგომარეობაზე არ უმოქმედია. პირველ სეტში პირველი ბრეიკი სწორედ სერენამ გააკეთა და თითქოს იოლად უნდა მოეგო საწყისი პარტია, მაგრამ სეტზე ჩაწოდებისას აზარენკამ გაიბრძოლა და საპასუხო ბრეიკით გაათანაბრა ანგარიში. და მაინც, ბელარუსმა ვერ შეძლო ინიციატივის შენარჩუნება, კიდევ ერთხელ წააგო საკუთარი გეიმი და მასთან ერთად სეტი - 4:6.

მეორე სეტი უკეთ აზარენკამ დაიწყო და 3:0 წაიყვანა ანგარიში. სერენამ მეტოქის ამ სერიას არანაკლებ შთამბეჭდავად უპასუხა - ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და გამარჯვება გამოსტაცა ბელარუსს - 6:4. საერთო ჯამში, მატჩი საათსა და 35 წუთს გაგრძელდა. ახლა, უილიამსი ურთიერთშეხვედრებში 11:1-ს უგებს აზარენკას.

საინტერესოა, რომ სერენასთვის ეს იყო ზედიზედ მე-16 გამარჯვება ტოპ-ხუთეულის ჩოგბურთელებთან, ზედიზედ მე-11 რეიტინგის პირველ ორ საფეხურზე მყოფ მოთამაშეებთან და ზედიზედ მეექვსე – მსოფლიოს მოქმედ პირველ ნომრებთან.

*„პირველ ორ მატჩში მოწოდება არ გამომდიოდა. მაგრამ ვიცოდი, რომ უკეთესად შემეძლო ამის გაკეთება და ამჯერად, ეს გამომივიდა. ვიქტორიას დასამარცხებლად მაქსიმალურად კარგი თამაში იყო საჭირო. ეჭვი მაქვს, ამ ტურნირზე ისევ შევხვდებით ერთმანეთს"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ამერიკელმა.

როგორც გითხარით, მეორე სეტში უილიამსი 0:3-ს აგებდა, მაგრამ მომდევნო შვიდი გეიმიდან ექვსი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

*„უბრალოდ, ბრძოლა გადავწყვიტე. მართალია, ორი ბრეიკით ვიყავი ჩამორჩენილი, მაგრამ სიმშვიდეს ვინარჩუნებდი. ამჯერად შევძელი საკუთარი ემოციების გაკონტროლება"*, - აგრძელებს სერენა.

დავამატებთ, რომ აზარენკაზე გამარჯვება უმცროსი უილიამსისთვის მეთექვსმეტეა კარიერაში რეიტინგის მოქმედ ლიდერებზე და ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ ლეგენდარულ **მარტინა ნავრატილოვას** ჩამორჩება (18).

ასე რომ, სერენა უილიამსმა სამი მოგებით დაასრულა ჯგუფში ასპარეზობა და ნახევარფინალში ითამაშებს. მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა აზარენკასა და ნა ლის მატჩში გაირკვევა - მოგებული ჯგუფიდან გავა.



სერენა უილიამსი

■ ■ ■

წითელ ჯგუფში იტალიელმა **სარა ერანიმ** პირველ გამარჯვებას მიაღწია სტამბოლში. მან სამ სეტში დაამარცხა ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**, რომელმაც ტურნირის მსვლელობისას შეცვალა ტრავმირებული პეტრა კვიტოვა.

ერანი პირველი სეტი დამაჯერებლად მოიგო - 6:3, მაგრამ მეორეში ჩავარდნა დაეწყო, რითაც ავსტრალიელმა კარგად ისარგებლა - 6:2 სტოსურის სასარგებლოდა და სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

როცა ყველას ეგონა, რომ მესამე პარტიაში დაძაბული ბრძოლა იქნებოდა, ერანიმ მაღალ დონეზე ჩაატარა ეს სეტი და „მშრალი" ანგარიშით დაამარცხა სტოსური - 6:0. ამ მატჩის მოგებამ ერანის ნახევარფინალში გასვლის შანსი დაუტოვა.

წითელ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა: შარაპოვას ორიდან ორი მოგება აქვს, თითო-თითო მატჩი მოიგეს ერანიმ და რადვანსკამ, სტოსურს არც ერთი მოგება არ აქვს. ბოლო ტურში რადვანსკა ერანის ხვდება, სტოსური შარაპოვას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ფორმულა 1. ინდოეთის გრანპრი

# ფეტელმა დუბლით დაიწყო

გუშინ ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო ინდოეთის გრანპრი. პირველმა ვარჯიშმა აჩვენა, რომ არც ერთ გუნდს არ ჰქონდა აშკარა უპირატესობა. საათნახევრიანი სესიის განმავლობაში ლიდერი ძალიან ბევრჯერ შეიცვალა, თუმცა, საბოლოოდ, საუკეთესო დრო რბოლის შარშანდელ გამარჯვებულს **სებასტიან ფეტელს** ჰქონდა – 1:27,619. მისი კონკურენტები "მაკლარენიდან" და "ფერარიდან" საკმაოდ ახლოს იყვნენ ჩემპიონატის ლიდერთან.

ვარჯიშის წინ ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდა მექსიკელი **სერხიო პერესი**. ამიტომაც, მისი ადგილი "ზაუბერის" ბოლიდში ასევე მექსიკელმა **ესტებან გუტიერესმა** დაიკავა. სწორედ ეს ახალგაზრდა პილოტი გახდა ყველაზე სახიფათო შემთხვევის ავტორი – ის ძალიან ადრე შევიდა მეცხრე მოსახვევში, მანქანაზე კონტროლი დაკარგა და კინაღამ ბარიერს შეეჯახა.

სხვა მხრივ, ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. რაღაც მომენტში **ჯენსონ ბატონი** ყველას 2.5 წამით უსწრებდა, მაგრამ ტემპი მუდმივად იზრდებოდა და კონკურენტებმა შეძლეს ბრიტანელის დაწევა. შემდეგ, ფეტელსა და **ფერნანდო ალონსოს** ზუსტად ერთნაირი დრო ჰქონდათ. მოგვიანებით, მათ შორის ბატონი ჩადგა, ალონსომ კი მხოლოდ 2 მეათასედით გაუსწრო ჰემილტონს.

უნდა აღვნიშნოთ ორი რეზერვისტის კარგი ტემპი – **ვალტერი ბოტასმა** "უილიამსში" თანაგუნდელ **პასტორ მალდონადოს** გაუსწრო, **გიდო ვან დერ გარდემ** კი თითქმის არაფერი დაუთმო "კატერჰემში" **ვიტალი პეტროვს**.

■ ■ ■

მეორე სესიის დაწყებიდან 20 წუთი იყო გასული, როცა **ფელიპე მასა** გადავარდა ტრასიდან – ის მე-11 მოსახვევში მოცურდა, თუმცა მანქანა სერიოზულად არ დაზიანებულა. რამდენიმე წუთში, იმავე ადგილას **რომენ გროსჟანი** მოსრიალდა, ორ წუთში კი მესამე მოსახვევში არ გაუმართლა **ბრუნო სენას**... ტრასის მდგომარეობას სანიმუშო ნამდვილად არ ეთქმოდა.

სესიის დასრულებამდე 40 წუთით ადრე, მასა ისევ ტრასის მიღმა აღმოჩნდა. ამჯერად მანქანა მწყობრიდან გამოვიდა და ბრაზილიელს ბოქსებში დაბრუნება მოუწია.

ისევე, როგორც დილის ვარჯიშზე, ოქმს სათავეში ფეტელი ჩაუდგა, რომელმაც საუკეთესო დრო (1:26.221) რბილი საბურავით მოკლე წრეების სერიისას აჩვენა. წამზე ნაკლები წააგო გერმანელთან ექვსმა პილოტმა.



სებასტიან ფეტელი

## ველოსპორტი

# დოპინგის საქმე გრძელდება

ბრიტანულმა ველოსაჯინიბომ Sky-მ გამოაცხადა გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელის **ბობი ჯულიჩის** განთავისუფლების შესახებ. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სპეციალისტმა აღიარა – სარბოლო კარიერის დროს დოპინგს ვიყენებდიო.

ჯულიჩმა, რომელიც 1998 წელს მესამე იყო ტურ დე ფრანის საერთო ჩათვლაში, ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, თუ როგორ იღებდა აკრძალულ პრეპარატებს 90-იანი წლების ბოლოს.

## მოტოგრანპრი

# სპისმა სეზონი დაასრულა

"იამაჰას" საქარხნო გუნდის ამერიკელი მოტომრბოლი **ბენ სპისი** მსოფლიოს ჩემპიონატის დარჩენილ ორ ეტაპს გამოტოვებს.

სპისმა ტრავმა ერთი კვირის წინ, მალაიზიის გრანპრის დროს მიიღო – ექიმებმა ამერიკელს ნეკნების მოტეხილობა და სხვა დაზიანებები დაუდგინეს. მაგალითად, ამერიკელს ოპერაცია გაუკეთეს ლავიწის ძვლის აღსადგენად. რეაბილიტაციის პროცესს 10-12 კვირა დასჭირდება.

ალსანიშნავია, რომ ტრავმის გამო სპისი გამოტოვებს არა მხოლოდ სეზონის დარჩენილ რბოლებს, არამედ 2013 წლის წინასასეზონო ტესტებს "დუკატისთან" ერთად. შეგახსენებთ, რომ ამერიკელი სწორედ ამ გუნდში გააგრძელებს კარიერას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევრო 2013**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| ჩრ. ირლანდია-ინგლისი | 2:3 |
| უელსი-ესტონეთი | 0:0 |

**ინგლისი**

**ნაციონალი**

| | |
|---|---|
| დარტფორდი-მენსფილდი | 2:0 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| სასუოლო-იუვე სტაბია | 1:0 |
| ლივორნო-ჩეზენა | 1:0 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ფროსინონე-ბარლეტა | 3:1 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა B-რეკრეატივო | 2:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ჰამბურგი | 0:2 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კიოლნი-კაიზერი | 3:3 |
| კოტბუსი-მიუნხენი | 1:0 |
| ინგოლშტადტი-აალენი | 2:0 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| მეპენი-გოსლარერი | 3:1 |

**რეგიონალლიგა (ჩრ-აღმ)**

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-აუერბახი | 5:3 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ელტერსდორფი-როზენჰაიმი | 1:1 |
| ჰელმსშტეტენი-ბუხბახი | 3:2 |
| მემინგენი-ინგოლშტადტი II | 2:4 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| სტ. ეტიენი-რენი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანჟერსი-შატორუ | 1:0 |
| არლი-კაენი | 0:2 |
| დიჟონი-ოსერი | 0:1 |
| გინგამი-სედანი | 2:0 |
| ისტრი-ტური | 4:1 |
| ჰავრი-ნიმი | 1:1 |
| ლე მანი-ლავალი | 2:0 |
| გფკო აიაჩო-ნიორი | გადაიდო |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| უტრეხტი-გრონინგენი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კამბური-მაასტრიხტი | 1:3 |
| გრააფსხაპი-ტოპ ოსი | 1:1 |
| ემენი-ჰელმონდი | 1:1 |
| ექსელსიორი-აპელდოორნი | 0:0 |
| ეინდჰოვენი-სპარტა | 3:0 |
| ფორტუნა-ტელსტარი | 2:0 |
| იგლზი-დორდრეჰტი | 0:2 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სტარნდარდი-სერკლი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რუზელარე-ეუპენი | 1:1 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-სეტუბალი | 2:1 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| მოზერველი-ჰიბერნიანი | 0:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-ოლბორგი | 1:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ჰაუგესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მალმიო-იურგორდენი | 3:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვარბერგსი-ბრომაპიოკარნა | 2:2 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-ბლაუ ვაისი | 1:1 |
| კაპფენბერგი-ჰარტბერგი | 1:2 |
| გრიოდიგი-ავსტრია (ლ) | 1:0 |
| ჰორნი-სტ. პოლტენი | 2:1 |
| ლუშტენაუ-ვენა | 2:1 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ელაზიგი-ესქისეჰირი | 1:1 |
| ქასიმფაშა-ბეშიქთაში | 1:3 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დროგედა | 1:4 |
| დანდალკი-ბრეი | 2:1 |
| სლიგო-შემროკი | 0:2 |
| სტ. პატსი-კორკი | 1:0 |
| უნივერსიტი-შელბურნი | 1:1 |

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| უოტერფორდი-ლონგფორდი | 1:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ეირბასი-ტნს | 2:1 |
| ქონეჰსი-ბანგორი | 2:6 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| დუკლა-იჰლავა | 2:2 |
| ბოლესლავი-ბრნო | 1:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ამკარი | 1:2 |
| ყუბანი-როსტოვი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ნეფტიხიმიკი | 0:0 |
| ტორპედო-უფა | 2:2 |
| ენისეი-ურალი | 0:1 |
| მეტალურგი-შინიკი | 1:0 |
| ტომი-პეტროტრესტი | 2:1 |
| ვოლგარი-ბალტიკა | 0:2 |
| სალუტი-ხიმკი | 0:1 |
| როტორი-სიბირი | 2:0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ვოლინი | 1:1 |
| მეტალურგი (ზ)-ჩერნომორეცი | 0:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პოდბესკიცე-ლეჩია | 2:3 |
| ვიძევი-ვისლა | 1:2 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ინტერი | 2:3 |
| ზაგრები-ოსიეკი | 2:1 |
| ისტრა-სლავენი | 0:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| შიოფოკი-კეჩმეკეტი | 0:2 |
| ეგერი-ლომბარდი | 1:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| უნივერსიტატეა-ოცელული | 1:1 |
| ბრაშოვი-პეტროლული | 0:1 |
| ასტრა-ლაში | 1:0 |

**მოლდოვა**

| | |
|---|---|
| კოსტულენი-ზიმბრუ | 1:0 |
| აკადემია-ისკრა | 3:2 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ძიაფაზი-სუმგაიტი | 0:0 |
| ბაქი-ინტერი | 0:0 |
| სიმურგი-აზალ | 1:1 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| სერო პორტენო-დეპორტივო | 1:0 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-მელბურნი ვ. | 2:1 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ეფესი-ცედევიტა | 85:66 |
| კანტუ-ხიმკი | 67:54 |
| ოლიმპია-პანათინაიკოსი | 67:85 |
| უნიკახა-მონტეპასკი | 91:89 (ო) |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ვილერბანი-შოლე | 70:67 |
| ლიმოჟი-ლე მანი | 65:66 |
| პარიზი-ნანტი | 77:81 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ტორპედო-სკა | 4:2 |
| ვიტიაზი-იუგრა | 3:4 (ბ) |
| სპარტაკი-მეტალურგი (მ) | 2:7 |
| დინამო (მნ)-ბარისი | 2:1 (ო) |
| დინამო (რ)-ავტომობილისტი | 6:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-ზნოიმო | 3:1 |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 5:4 |
| დორნბირნი-ზალცბურგი | 3:2 (ო) |
| ლინცი-ზაგრები | 1:5 |
| ალბა-გრაცი | 2:1 (ო) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ნიურნბერგი | 3:3 (ბ) |
| დიუსელდორფი-ვოლფსბურგი | 2:5 |
| ინგოლშტადტი-მიუნხენი | 5:4 (ბ) |
| იზერლონი-ჰანოვერი | 3:0 |
| კრეფელდი-კიოლნი | 3:4 (ო) |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 4:1 |
| შტრაუბინგი-აისბარენი | 5:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ფრედრიკშავნი-ჰერნინგი | 1:4 |
| კოპენჰაგენი-ჰერლევი | 1:2 |
| ოდენსე-ოლბორგი | 2:3 |
| სონდერიისკი-როდოვრე | 6:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-მარტინი | 3:2 |
| ნიტრა-სკალიცა | 3:1 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 4:3 (ო) |
| კოშიცე-ბისტრიცა | 4:0 |
| პიესტანი-პოპრადი | 4:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ილვესი | 2:0 |
| ტაპარა-ჰამეენლინა | 1:4 |
| ჰიფკ-ესეტი | 1:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კლადნო-ვიტკოვიცე | 4:1 |
| ლიტვინოვი-სლავია | 4:2 |
| კარლოვი ვარი-ზლინი | 2:4 |
| პარდუბიცე-პლზენი | 3:4 (ბ) |
| ბრნო-ტრშინეცი | 5:3 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 2:6 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბერნი-კლოტენი | 3:2 |
| ბილი-ლანგნაუ | 6:1 |
| დავოსი-ლუგანო | 6:5 (ბ) |
| ფრიბურგი-ამბრი | 2:3 (ბ) |
| ციურიხი-რაპერსვილი | 4:1 |

### ჩოგბურთი

**ATP. ვალენსია**

| | |
|---|---|
| გოფენი-მელცერი | 6:7, 4:6 |
| დოლგოპოლოვი-გრანოლერსი | 6:0, 6:2 |
| ფერერი-ალმაგრო | 6:3, 7:5 |
| ჩილიჩი-დოდიგი | 2:6, 6:7 |

**ATP. ბაზელი**

| | |
|---|---|
| გასკე-იუზნი | 6:2, 7:6 |
| დელ პოტრო-ანდერსონი | 3:6, 7:6, 6:2 |
| დიმიტროვი-მატიო | 6:7, 6:7 |
| ფედერერი-პერი | 6:2, 6:2 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| შარაპოვა-სტოსური | 6:0, 6:3 |
| ა. რადვანსკა-ერანი | 6:7, 7:5, 6:4 |
| აზარენკა-ნა ლი | 7:6, 6:3 |

## TV პროგრამა

**27 ოქტომბერი, შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. აუგსბურგი-ჰამბურგი.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. III ტურის მიმოხილვა.
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. ასტონ ვილა-ნორვიჩი (LIVE).
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. არსენალი-ქუინზ პარკი (LIVE).
20:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:30 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. მანჩესტერ სიტი-სუონსი (LIVE).
22:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ინტერნასიონალი-პალმეირასი (LIVE).
00:20 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლივერპული-ანჟი.
12:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. მაიკლ ჯორდანი. საუკეთესო მატჩები. ჩიკაგო-ფინიქსი. 1993 წ.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 საკალათბურთო პროგრამა - მაღალი ევროპა.
16:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. შალკე-ნიურბერგი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. III ტური. შალონი-მაქაბი.
23:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. მაიკლ ჯორდანი. საუკეთესო მატჩები. ჩიკაგო-ფინიქსი. 1993 წ.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).

**I არხი**

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-ზესტაფონი (LIVE).

**28 ოქტომბერი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ინტერნასიონალი-პალმეირასი.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
12:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. III ტურის მიმოხილვა.
15:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. X ტური. ფეიენოორდი-აიაქსი (LIVE).
16:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. ევერტონი-ლივერპული (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტური. რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. ბაიერნი-ლევერკუზენი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი.
12:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. მაიკლ ჯორდანი. საუკეთესო მატჩები. იუტა-ჩიკაგო. 1997 წ.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
16:00 საკალათბურთო პროგრამა - მაღალი ევროპა.
17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. შტუტგარტი-აინტრახტი (LIVE).
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 ძიუდო. მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი. ბრაზილია (LIVE).
01:30 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. მაიკლ ჯორდანი. საუკეთესო მატჩები. იუტა-ჩიკაგო. 1997 წ.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
22.00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლესტერი-ოსპრეი.
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 13 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 14 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 12 | 21 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 11 | 21 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 11 | 21 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 10 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 5 | 15 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 9 | 18 | (მზე) |
| მესტია | 5 | 15 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1383 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6590 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6705 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2703 |

ეს საინტერესოა




მფრინავი ფინელი მიკა ჰაკინენი

# საიდან მოდიან მფრინავი ფინელები?

100 წლის წინ, 1912 წლის ივლისში, სტოკჰოლმი თანამედროვეობის მეხუთე ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობდა. მაშინდელი დღევანდელ ოლიმპიადას ნაკლებად ჰგავდა - მედლები თამაშდებოდა ბაგირის გადაწევაში, კულტურის სფეროებში (მუსიკა, სკულპტურა, პოეზია), აგრეთვე გუნდურ ჩოგბურთში, სადაც კორტის თითო მხარეს შვიდ-შვიდი სპორტსმენი იდგა. შვედეთში სულ 28 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, პირველად ასეთი დონის სპორტულ ფორუმზე წარმოდგენილი იყო აზია - იაპონიის სამკაციანი დელეგაციის წყალობით.

გასული საუკუნის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი იყო **იუჰო-პეტარი კოლეჰმაინენი** - ფინელი ქვის მთლელი, რომელმაც სამი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიგო გრძელ დისტანციებზე სირბილში. სწორედ სარბენ ბილიკზე წარმატებების გამო კოლეჰმაინენს "მფრინავი ფინელი" შეარქვეს. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ტერმინი წარმატებით დამკვიდრდებოდა და მალე არა მხოლოდ მძლეოსანთა მიმართ, არამედ ისეთ სახეობაში გამოიყენებდნენ, რომელიც არ არის მიჩნეული ოლიმპიურ სპორტად.

■ ■ ■

ეს ტერმინი, რომელიც დროებით ამოილეს ხმარებიდან, 60-იანი წლების ბოლოს ისევ გაიხსენეს. მაგრამ, ახლა სულ სხვა სახეობაში - რალის მსოფლიოს ჩემპიონატში. მონტე კარლოს სამთო სერპანტინებზე ფინელები ისეთ სიჩქარეს აჩვენებდნენ, რომ მეტოქეებს ისლა რჩებოდათ დამარცხებას შერიგებოდნენ. **ტიმო მიაკინენის, რაუნო აალტონენისა** და მათი თანამემამულეების წარმატებები რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული. რა თქმა უნდა, თავად ფინეთის გზები - სწორი, სწრაფი, საინტერესო მოსახვევებით - ხელს უწყობდა იმას, რომ რალი სპორტის ეროვნული სახეობა გამხდარიყო, ბიჭები ხანდახან სკოლის დასრულებისთანავე სხდებოდნენ საჭესთან.

მაგრამ იყო კიდევ ერთი ფაქტორი - საბურავები. ცივი კლიმატის გამო, ფინელებმა პირველად მოიგონეს სპეციალური ზამთრის საბურავი. ეს მოხდა 1934 წელს, უკვე 1936 წელს კი სამყარომ პირველად იხილა Nokian Hakkapelita-ს საბურავი. მან თავისი სახელწოდება XVII საუკუნის ცხენოსანი რაინდების საპატივცემულოდ მიილო. ეს საბურავები ერთგულად ემსახურებოდნენ ფინელ და შემდეგ ევროპელ მძღოლებს მთელი ათწლეულების განმავლობაში. და სწორედ ამ საბურავის ბოლო მოდელით გამოდიოდნენ მაშინ მონტე კარლოს რალის ტრიუმფატორები, რადგან Nokian Hakkapelita აუმჯობესებდა დინამიკასა და მართვას.

ავტომობილები რეალურად დაფრინავდნენ მცირე ტრამპლინებზე ახტომისას და სიჩქარეში უპირატესობას იძლეოდნენ, ასე რომ, "მფრინავი ფინელები" მათ შემთხვევით არ უწოდეს. თანაც ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ - **მარკუ ალენი, იუჰა კანკუნენი,** ტომი მიაკინენი. ახლა, წინამორბედთა ტრადიციებს რალის ტრასებზე აგრძელებენ **მიკო ჰირვონენი, იარი-მატი ლატვალა** და სხვა პილოტები.

■ ■ ■

მაგრამ მხოლოდ რალის შეჯიბრებებში არ აღწევდნენ წარმატებას ფინელები. 70-იანი წლების დასაწყისში, მოტორბოლების სამყაროში შემოიჭრა **იარნო საარინენი**. ის არად აგდებდა ავტორიტეტებს და მაშინვე გამარჯვებები მოიპოვა. თავის მეორე სრულფასოვან სეზონში იარნომ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მასაც უწოდეს "მფრინავი ფინელი". სამწუხაროდ, ის კარიერის ადრეულ ეტაპზე დაიღუპა, როცა ავარიაში მოხვდა "მონცას" ავტოდრომზე.

იმ რბოლას ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ისინი მალე პირველი შვილის დაბადებას ელოდნენ. და როცა ვაჟი ეყოლათ, სახელად სწორედ **იარნო** დაარქვეს – უშიშარი მოტომრბოლის საპატივცემულოდ. 23 წლის შემდეგ, 23 წლის იარნო ტრულის დებიუტი ჰქონდა ფორმულა 1-ში.

■ ■ ■

ფორმულა 1-ში ფინეთის პირველი წარმომადგენლები იყვნენ **ლეო კინუნენი** და **მიკო კოზაროვიცკი**. მათ 70-იანი წლების შუაში დიდ წარმატებებს ვერ მიაღწიეს, მაგრამ თავიანთ თანამემამულეებს დაანახეს, რომ ფორმულა 1 სავსებით ხელმისაწვდომია – მხოლოდ მონდომებაა საჭირო. სწორედ ასეთი მიზანი დაისახა **კეკე როსბერგმა**: თავიდან მისი კარიერა არასტაბილურად ვითარდებოდა, მაგრამ, რაღაც მომენტში მრბოლელს ბედნიერი ბილეთი შეხვდა – სრულიად შემთხვევით "უილიამსში" მოხვდა, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში აშკარა პროგრესს განიცდიდა. ულვაშა კეკე პირველივე ცდაზე გახდა ჩემპიონი ამ საჯინიბოს ბოლიდით.

მას შემდეგ, "მფრინავი ფინელები" საფუძვლიანად დამკვიდრდნენ ფორმულა 1-ში და დღემდე იქ რჩებიან. შეიძლება, ამ ქვეყნის წარმომადგენლები იმდენი არ ყოფილან, რამდენიც იტალიელები ან ინგლისელები, მაგრამ თითქმის ყოველივე მათგანს შეეძლო კარგი შედეგების მიღწევა – მინიმუმ პოდიუმზე ასვლა.

გამარჯვებების ესტაფეტა **მიკა ჰაკინენმა** გადაიბარა, რომელიც, თავის მხრივ, **კიმი რაიკონენმა** შეცვალა. თუმცა განსაკუთრებული ქარიზმის გამო, კიმის სხვა მეტსახელიც მოუგონეს – "აისმენი", მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ისიც მიკუთვნებულია "მფრინავი ფინელების" რიცხვს.

დღეს ფორმულა 1-ში რაიკონენი გარდა, ფინეთის ღირსებას იცავს **ჰეიკი კოვალაინენი**. გარდა ამისა, გამოჩნდნენ პოტენციური ვარსკვლავები – **ვალტერი ბოტასი, აარო ვაინიო, მატიას ლაინე** და სხვები. გამორიცხული არ არის, ისინი სულ მალე ავლენ მწვერვალებზე და გააგრძელებენ "მფრინავი ფინელების" ტრადიციებს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა **იუჰო-პეტარი კოლეჰმაინენმა** და ნახევარი საუკუნის შემდეგ აალორძინეს Nokian-ის მესაბურავეებმა.

ფორმულა 1

# ფორმულა გადაიტანს ექლსტოუნის ჩამოშორებას?

ლონდონური "თაიმსის" პარასკევის ნომრის სპორტული ნაწილი იწყება სტატიით, რომლის სათაურია – "ექლსტოუნს, შესაძლოა, საფინიშო დროშა აუფრიალონ". ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის მეპატრონეები აქტიურად ეძებენ კანდიდატს, რომელმაც შეიძლება **ბერნი** "დიდი პრიზის" მთავარი პრომოუტერის თანამდებობაზე შეცვალოს. მიუხედავად ამისა, - წერს გაზეთი, - ფორმულა 1-ის მენეჯმენტის შეფი ამბობს, რომ ასეთ ინფორმაციებს ყურადღებას არ აქცევს.

ექლსტოუნი სპორტის კომერციული მხარით უკვე 30 წელზე მეტია დაკავებული, მაგრამ ახლა მეტად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა: გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი – BayernLB მისგან ზარალის ანაზღაურების სახით 400 მილიონ დოლარს ითხოვს, რაც შვიდი წლის წინანდელ ამბებს უკავშირდება. ამასთან, ქალაქ მიუნხენის პროკურორი ეძებს საფუძველს ბრიტანელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით.

"თაიმსის" ინფორმაციით, ფორმულა 1-ის დირექტორთა საბჭომ მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს საკადრო სააგენტოს სთხოვა ფორმულა 1-ის ჩემპიონატის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატები მონახოს.

კომპანია Egon Zehndler International, რომლის ფილიალები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს, ამ საქმეს ჩაუდგა სათავეში და სწორედ ის ეცდება ექლსტოუნის შემცვლელის პოვნას - თუ მოვლენები ყველაზე ცუდი სცენარით განვითარდება და ბერნის მოუწევს გერმანული მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა.

მაგრამ, თავად ფორმულა 1-ის მენეჯმენტის თავმჯდომარე ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ არ უნდა გააგრძელოს თავისი მოვალეობების შესრულება, თუნდაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიუხედავად. ბერნის სიტყვებით, თუ BayernLB-ს სურს საკომპენსაციო თანხის მიღება, მაშინ სარჩელი ბრიტანულ სასამართლოში უნდა შეიტანოს.



ბერნი ექლსტოუნი

*"უკვე სამი წელია ეჭვმიტანილი ვარ,* - მოჰყავს "თაიმსს" ექლსტოუნის სიტყვები. – *სანერვიულო არაფერი მაქვს".*

გარდა ამისა, "თაიმსი", ბავარიული პროკურატურის წარმომადგენელზე დაყრდნობით წერს, რომ მიუნხენში ბერნი ექლსტოუნის ადვოკატებისგან მიიღეს დაწვრილებითი განცხადება, რომელიც დაპატიმრებული ბანკირის – **გერჰარდ გრიბოვსკის** საქმეს ეხება და ამ მრავლისმნახველ დოკუმენტს დეტალურად გააანალიზებენ. ამ დოკუმენტისა და სხვა ჩვენებების თანახმად მიიღებს პროკურატურა გადაწყვეტილებას – აღძრას თუ არა საქმე ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის წინააღმდეგ. არ სახელდება კონკრეტული ვადები, როდის შეიძლება ეს მოხდეს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:05
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჰდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**